გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
ხუთშაბათი, 29 სექტემბერი, 2005 წელი.
№226 (5259)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## ფინეთი მხარს უჭერს საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას



### გუშინ საქართველოს ოფიციალურ ვიზიტად ესტუმრა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ტარია ჰალონენი

**საქართველოში** გუშინ ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ტარია ჰალონენი ჩამოვიდა.

ფინელ სტუმარს აეროპორტში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე დახვდნენ.

ფინეთი მხარს უჭერს საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას. ამის შესახებ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ტარია ჰალონენმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ტარია ჰალონენის განცხადებით, ევროკავშირი დაინტერესებულია საქართველოს კონფლიქტების მოგვარებით, მაგრამ ეს მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს.

— ფინეთმა მხარი დაუჭირა და კვლავაც გააგრძელებს მხარდაჭერას მშვიდობიანი გზით კონფლიქტების მოგვარებას, — განაცხადა ფინეთის პრეზიდენტმა.

იხ. მე-2 გვ.




## მინდა, პრეზიდენტმა იცოდეს




იხ. მე-3 გვ.

## გაუმჯობესებული ენერგეტიკის „ავარიული პრობლემები“,

### ანუ ზამთარი ჩვენი მღელვარებისა

იხ. მე-2 გვ.




იხ. მე-3 გვ.

## ◉ ინფორმაცია

### ნინო ბურჯანაძე ბრალდების დამტკიცებას ითხოვს

**პარლამენტის** თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე რუსეთისგან იმ დოკუმენტების გადმოცემას ითხოვს, რომელიც რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ ცხინვალის კონფლიქტის ზონის დაბომბვასთან დაკავშირებით გააჩნია.

საქართველოს პარლამენტში ნინო ბურჯანაძემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთს თუ მართლაც გააჩნია დოკუმენტური მასალები, მაშინ ის ქართულ მხარეს უნდა გადმოსცეს. მისი თქმით, ქართული მხარე მზად არის განიხილოს ეს მასალები და საერთაშორისო ექსპერტებსაც გააცნოს ისინი.

— თუ ვინმეს ხელს არ აძლევდა კონფლიქტის ზონის დაბომბვა, ეს საქართველოა, ვინაიდან ეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური იმიჯის საწინააღმდეგო ქმედება იქნებოდა, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

### ცხინვალის მხარემ საქმე აღძრა

**სამხრეთ ოსეთის** თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში შემავალი ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაურის პაატა ბედიანიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება ქართული მხარისაგან პაატა ბედიანიშვილის გადაცემას მოითხოვს. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, პაატა ბედიანიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და ცხინვალის ხელისუფლებისათვის გადაცემის მოთხოვნის შესახებ განცხადება სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელ როი რივთან დღეს ცხინვალში გამართულ შეხვედრაზე გააკეთა.

კოკოითის მტკიცებით, ისინი ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 20 სექტემბერს ქალაქ ცხინვალის ნაღმტყორცნებიდან დაბომბვას, რომლის შედეგადაც 10 მოქალაქე დაიჭრა, პაატა ბედიანიშვილი ხელმძღვანელობდა.

### მოლაპარაკებების განახლება აუცილებელია

**რუსეთის** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვალერი ლოშჩინინის განცხადებით, რუსულ მხარეს შეუძლია დოკუმენტურად დაასაბუთოს, რომ 20 სექტემბერს ცხინვალი ქართულმა მხარემ დაბომბა, რაც შერეული საკონტროლო კომისიის მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზი გახდა.

ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ ამ ფაქტის მიუხედავად, რუსული მხარე შერეული კომისიის მუშაობის განახლების მომხრეა.

— მოლაპარაკებების განახლება აუცილებელია. მთავარია, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსის თუ დეპუტატის არაკორექტული განცხადებებით დაპირისპირება, არ გავაღრმავოთ. ვიმედოვნებ, რომ შერეული საკონტროლო კომისია მუშაობას ოქტომბრის დასაწყისში განაახლებს. სწორედ ეს იქნება საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივან გელა ბეჟუაშვილისა და სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას მოსკოვში ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, — აცხადებს ვალერი ლოშჩინინი.

ინტერპრესნიუსი

## ◉ პანორამა

**კორსიკის** კუნძულზე საფრანგეთის სპეციალური დანიშნულების რაზმმა დააკავა პროფკავშირული აქტივისტების მიერ გატაცებული მშრალტვირთიანი გე-



მი. დესანტის გადასხმაში მონაწილეობდა 50-მდე სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლი და საზღვაო კომანდოსი. მშრალტვირთიან გემს მიუახლოვდა ხუთი ვერტმფრენი, რომლებიდანაც, სპეციალური ბაგირების მეშვეობით, გემბანზე გადასხეს მედესანტეები. გემი გაიტაცეს სამშაბათს პროფკავშირული აქტივისტების ჯგუფის წევრებმა, რომლებმაც გაფიცვა გამოაცხადეს.

* * *

**გამოაქვეყნეს** 2005 წლის 10 ყველაზე ძვირად ღირებული ავტომობილის სია, რომელიც შეადგინა ჟურნალმა „ფორბსმა“. ამ რეიტინგში პირველი ადგილი



დაიკავა შეერთებულ შტატებში გამოშვებულმა მანქანამ. გარდა ამისა, სიაში შედიან იტალიური, შვედური, გერმანული, ინგლისური და ჰოლანდიური მანქანები.

* * *

**ევროკავშირი** ამკაცრებს მოთხოვნებს თურქეთის მიმართ. ბრიტანეთი, რომელიც ამჟამად თავმჯდომარეობს ევროკავშირში, მოლაპარაკების დაწყებამდე დარჩენილ დროში ეცდება შეარბილოს ევროკავშირში თურქეთის მიღების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის წარმოქმნილი უთანხმოება. ყველაზე მეტად გაძნელდება ავსტრიის დაყოლიება, რომელიც არანაირად არ ეთანხმება იმას, რომ ანკარას მიანიჭონ კავშირის სრულუფლებიანი წევრის სტატუსი.

## რას წერენ რუსები საკუთარ თავზე

**როგორც** „ოგონიოკისთვის“ გახდა ცნობილი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი გენერალი ვალენტინ ვარენიკოვი აპირებს შეიტანოს წინადადება უკრაინაში რუსეთის ფედერაციის ამჟამინდელი ელჩის და წარსულში რუსეთის მთავრობის მეთაურის ვიქტორ ჩერნომირდინის საქმიანობის ირგვლივ საპარლამენტო გამოძიების დაწყების შესახებ. ვარენიკოვი დარწმუნებულია, რომ სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობაზე ჩერნომირდინის საქმიანობის დროს „რუსეთის ფედერაციამ განიცადა უდიდესი ზარალი“. დეპუტატი-გენერლის მიერ შედგენილი ჩერნომირდინის დანაშაულობათა ნუსხა საკმაოდ ვრცელია — ვიქტორ ჩერნომირდინს ბრალად ედება არა მარტო დეფოლტის ორგზის ორგანიზება (1995 და 1998 წლები) და მოლაპარაკება ტერორისტ ბასაევთან, არამედ დანაშაულებრივი სიბეცეც, ელჩად მუშაობის დროს: „...მან დროულად არ მოგვახსენა იმის შესახებ, რომ ისახებოდა „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მომზადების ნიშნები და არ მიიღო ამასთან დაკავშირებით არანაირი ზომები... ვერ შენიშნა კრიზისი უკრაინის ხელმძღვანელობაში“. თუმცა, როგორც მიაჩნიათ, ეს საკმაოდ კარგად გათვლილი სვლაა: თუ ისეთი მოღვაწე, როგორიც ვარენიკოვია, მოითხოვს ელჩის თანამდებობიდან გადაყენებას, მას იმის იმედი უნდა ჰქონდეს, რომ თვითონ ნამდვილად შეინარჩუნებს თავის სავარძელს.



Í ÀÎ Í ÀÉ № 39.

## ◉ ციფრების ენით

## ყველაზე გაუნათლებელი ქვეყნები

### წერა-კითხვის უცოდინარობა უფროსი ასაკის მოქალაქეთა შორის პროცენტებში

1. ნიგერია — 84,3;
2. ბურკინა ფასო — 77,0;
3. ავღანეთი — 63,7;
4. სიერა ლეონე — 63,7;
5. გამბია — 63,5;
6. გვინეა ბისაუ — 63,2;
7. სენეგალი — 62,7;
8. ბენინი — 62,5;
9. ეთიოპია — 61,3;
10. მავრიტანია — 60,1.



№ 226. ხუთშაბათი, 29 სექტემბერი, 2005 წელი.

◎ ვიზიტი

# ფინეთი მხარს უჭერს საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას



(პირველი გვერდიდან)

**ევროკავშირი, ისევე როგორც აშშ და რუსეთი, საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში აქტიურად უნდა ჩაერთოს. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ფინეთის პრეზიდენტ ტარია ჰალონენთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, 2006 წლიდან ფინეთი ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება. შესაბამისად, ფინეთს დიდი როლი მიენიჭება საქართველოში კონფლიქტების მოგვარების საკითხებში.**

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, გარდა ამისა, ფინეთი არის ქვეყანა, სადაც კორუფციის მასშტაბები ძალზე მცირეა. მისივე თქმით, საქართველომ აქტურად უნდა ითანამშრომლოს ასეთ ქვეყანასთან და მასთან ეკონომიკური ურთიერთოებები გააღრმაოს.

— ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თუ საქართველოში ფინური ინვესტიციები შემოვა. ქართული კომპანიები აქტიურად ითანამშრომლებენ ფინურ კომპანიებთან, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ფინეთი სკანდინავიური ქვეყნების პირველი სახელმწიფოა, რომლის პრეზიდენტიც საქართველოს ეწვია.

* * *

**საქართველოს პარლამენტში ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ტარია ჰალონენის დახვედრის საზეიმო ცერემონია გაიმართა. ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დახვდა.**

საზეიმო ცერემონიალზე შესრულდა ფინეთისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები, რის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ფინეთის პრეზიდენტს საქართველოს მთავრობის წევრები გააცნო.

ფინეთის პრეზიდენტი გუშინვე შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და თბილისის ღირსშესანიშნაობების დათვალიერების შემდეგ მცხეთაში გაემგზავრა.

* * *

**ფინეთი საქართველოსთვის კარგი მაგალითია და ამიტომ, საქართველო ამ ქვეყანასთან როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებას გეგმავს. ეს განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ გუშინ ფინეთის პრეზიდენტ ტარია ჰალონენთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ იგი კმაყოფილია და მიესალმება იმ ხედვას რაც ფინეთის პრეზიდენტს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებისა და ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხებთან დაკავშირებით გააჩნია.**

ტარია ჰალონენის განცხადებით კი ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრაზე ისაუბრეს თანამედროვე დემოკრატიის განვითარებაში პარლამენტის როლის შესახებ. — მე კმაყოფილი ვარ იმით, რაც საქართველოს პარლამენტში გაკეთდა, — განაცხადა ფინეთის პრეზიდენტმა.

* * *

**ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით ქართულ მხარეს ფინეთის დახმარების იმედი აქვს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, იგი კმაყოფილი არ არის იმ სამოქმედო გეგმის მიმდინარეობით, რომელიც მომავალში საქართველოს ევროკავშირში გააწევრიანებს.**

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან საუბრის თემა იქნება, თუ როგორ შეიძლება ფინეთმა საქართველოს დახმარება გაუწიოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მით უმეტეს, რომ მომავალ წელს ფინეთი ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს პარლამენტში ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ტარია ჰალონენის დახვედრის ცერემონიალის წინ.

**ინტერპრესნიუსი**





◎ მთავრობა

## პირი კარგი უჩანს, ვნახოთ...

### სახელმწიფომ, განათლებისა და მეცნიერებისთვის ფულს არ დაიშურებო

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწყებს სოციალური გრანტების სამთავრობო პროგრამას მაღალმთიანი რეგიონების აბიტურიენტების მხარდასაჭერად. ამ საკითხზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაია ჟურნალისტებს მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ ესაუბრა. 90 სახელმწიფო სასწავლო გრანტი მიეცემათ მაღალმთიანი რეგიონების აბიტურიენტებს. ეს გრანტები მათ ასი პროცენტით დაუფარავს სწავლის ღირებულებას. გრანტები გადაეცემათ ქედის, შუახევის, ხულოს, მესტიის, ლენტეხის, ონის, ყაზბეგის, დუშეთის, წალკის, ადიგენის, დმანისის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ახმეტის რაიონების აბიტურიენტებს.**

ამის გარდა, 20 გრანტია განკუთვნილი მათთვის, ვისაც ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ომში მშობელი დაეღუპა, ხოლო კონფლიქტური რეგიონებიდან, კერძოდ, აფხაზეთიდან ჩარიცხულთათვის 55 გრანტი გამოიყოფა, ცხინვალის რეგიონის აბიტურიენტთათვის კი — 35.

გრანტები გადაეცემათ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებსაც.

კახა ლომაიას თქმით, ჯანმრთელობის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად მუშავდება ახალი კანონპროექტი „სახელმწიფო კომპენსაციების შესახებ“, რომლის მიხედვითაც კომპენსაცია, ანუ სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია გადაეცემათ ხანდაზმულ მეცნიერებს, რათა ისინი 28-ლარიანი პენსიის ანაბარა არ დარჩნენ.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინფორმაციით, იწყება აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რეაბილიტაციის დიდი პროგრამა. კონკრეტულად, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო რეგიონული უმაღლესი ეკონომიკური სკოლა შეიქმნება, სადაც ქართველებთან ერთად ისწავლიან სომხეთის, აზერბაიჯანის, სამხრეთ რუსეთის, თურქეთის მოქალაქეებიც.

პროგრამის განსახორციელებლად ჯერჯერობით 10 მილიონი ლარია გათვალისწინებული. კახა ლომაიას თქმით, პროექტს შვედეთის და ნორვეგიის მთავრობებიც დააფინანსებენ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ბრიფინგი

## საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი, შესაძლოა, 2008 წელს დაისვას

**საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელს სალომე ზურაბიშვილს იმედი აქვს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხზე საუბარი უფრო და უფრო აქტიური გახდება.**

როგორც სალომე ზურაბიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, 2006 წლის მეორე ნახევარში რიგაში ჩატარდება ნატოს წევრი ქვეყნების არაფორმალური სამიტი, სადაც ქართული მხარე გეგმავს ნატოს ხელმძღვანელობას მიმართოს თხოვნით, დაიწყოს საქართველოსთან მიმართებაში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ზურაბიშვილს იმედი აქვს, რომ ქართული მხარის ამ თხოვნას ნატო გაითვალისწინებს და დადებით პასუხს მიიღებს.

სალომე ზურაბიშვილის მოსაზრებით, საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი ოფიციალურად, შესაძლოა, 2008 წლის მეორე ნახევარში დაისვას. ამავდროულად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას გარკვეულ პრობლემებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეთნოკონფლიქტები, კერძოდ, მწვავე ვითარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

თუმცა, საგარეო უწყების ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო დააკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ნატოში გაწევრიანების მსურველმა ქვეყანამ უნდა შეასრულოს, აღნიშნული საკითხი არცთუ ისე აქტუალურად იქნება განხილული.

სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივებზე ნოემბრის დასაწყისში რუმინეთში იმსჯელებენ, სადაც საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები შეიკრიბებიან.

**ინტერპრესნიუსი**

◎ კანონმდებლები

## გაუმჯობესებული ენერგეტიკის „ავარიული პრობლემები“,

### ანუ ზამთარი ჩვენი მღელვარებისა

**გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა ენერგეტიკის მინისტრი მიიწვია იმ საკითხის გასარკვევად, რომელიც ზამთრის მოახლოებასთან ერთად უფრო და უფრო მეტად აღელვებს მოსახლეობას. მართალია, მთავრობის დაპირების მიუხედავად, ელექტროენერგია უწყვეტად არ მოგვეწოდება, მაგრამ, მინისტრის თქმით, პრობლემა მომდევნო წლის დასასრულისთვის საბოლოოდ გადაიჭრება. სკეპტიკოსები ხელს ჩაიქნევენ — შარშანაც ასე გვაიმედებდნენო. მართალიც იქნებიან, მაგრამ ნიკა გილაური ირწმუნება, წლეულს იმდენი სარეაბილიტაციო სამუშაო ჩავატარეთ, ბოლო თხუთმეტი წლის ნამოღვაწარის ერთად აღებულს, გადასწონისო. თუ მას დავუჯერებთ, წელს უკეთესი ზამთარი გველის, გაისად კი საერთოდ არ გვექნება ღელვის საფუძველი. ასეთ დროს ხალხი ამბობს — აღდგომა და ხვალეო.**

ენერგეტიკის მინისტრმა დაწვრილებით მიმოიხილა გაწეული სარეაბილიტაციო სამუშაო. მაგალითად, აღუდგენიათ „თბილსრესის“ მე-3 და მე-4 ბლოკები, რომლებიც ოქტომბერში ჩაირთვება და სტაბილურად იმუშავებს. გილაურის თქმით, ამ ბლოკების აღდგენის იმედი ბევრს არ ჰქონდა და მათ ჯართად გაყიდვაზეც კი ლაპარაკობდნენ. სხვადასხვა ჰესის და აგრეგატის აღდგენით სამუშაოების დეტალურად გაცნობით თავს არ შეგაწყენთ. ერთს კი გეტყვით — გარკვეული ტექნიკური სიახლეების დანერგვაც იგეგმება. მაგალითად, მომავალ ზამთარს, ალბათ, ნაკლებად გავიგებთ, კოდორის ხეობაში ზვავმა ანძა წააქცია, რამაც ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხება გამოიწვიაო. ენერგეტიკის სამინისტრო ბაგირების სისტემაზე გადასვლას აპირებს და კოდორის ხეობაში, ზვავსაშიშროების ზონაში რვიდან მხოლოდ ერთ ანძას დატოვებს.

ნიკა გილაურმა აზერბაიჯანთან პარალელურ რეჟიმში მუშაობაზეც ისაუბრა, რაც იმას ნიშნავს, რომ კავკასიონის ხაზის დაზიანების შემთხვევაში აზერბაიჯანიდან შემოვა ელექტროენერგია. მართალია, ეს ხაზი კავკასიონის ხაზზე ნაკლები სიმძლავრის იქნება, მაგრამ სრულ ჩაბნელებას მაინც აგვაცილებს. ამას გარდა, მინისტრის თქმით, აჭარა და გურიის ნაწილი თურქეთის ელექტროენერგეტიკაზე იქნება მიბმული. ალბათ, გახსოვთ, რომ მიღწეული შეთანხმების თანახმად საქართველო და თურქეთი ელექტროენერგიას ცვლიან — ზაფხულში ჩვენ ვაწვდით, ზამთარში ისინი შეგვეშველებიან. ერთი სიტყვით, ადგილობრივი ჰიდრორესურსის თითქმის სრულად გამოყენების გარდა, სარეზერვო საშუალებებიც მოგულებულია. ასე რომ, წესით, თბილისს ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნდა მიეწოდოს დენი, დანარჩენ საქართველოს კი საგრძნობლად უნდა გაუუმჯობესდეს გრაფიკი. მაგრამ არსებობს „ავარიული პრობლემა“: — სისტემა მდგრადი არ არის, 15 წელიწადია, ასეთი დატვირთვის რეჟიმში არ უმუშავია და ავარიებისგან დაზღვეული ვერ ვიქნებითო, — ამბობს ნიკა გილაური. მოკლედ, ალბათ, ძველებურად ხან ერთი ბლოკი გამოირთვება, ხან — მეორე.

დარბაზში ოპოზიციის წარმომადგენელთაგან მემარჯვენე ირაკლი იაშვილის გარდა არავინ იყო, ასე რომ, კომიტეტის სხდომამ მშვიდად ჩაიარა. ცოტა ხნით, ოპოზიციის ფუნქცია სოფლის მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარემ გია ხევიაშვილმა იტვირთა და ენერგეტიკის მინისტრს ძველი დაპირება შეახსენა ელექტროენერგიის უწყვეტად მიწოდების შესახებ. ისიც თქვა, რომ დენის გათიშვის გამო პროდუქცია გაუფუჭდათ ღვინის ქარხნებსა და ჩაის ფაბრიკებს. როგორც აღმოჩნდა, გილაურს ეს ნაკლებად აღელვებს: — ურჩ გადამხდელებს ელექტროენერგია არ უნდა მიეწოდოთ, — ასეთი იყო მინისტრის პასუხი. დაპირება წელსაც დაპირებად დარჩა — ურჩ კი არა, დამჯერე გადამხდელებსაც ვერ მიეწოდება დენი შეუზღუდავად. „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“, ალბათ, გაგრძელდება.



**რუსუდან გახარია**

◎ მესამე სექტორი

## როცა ხელისუფლებას ზნეობრივ სახედ ბექაური ჰყავს...

**საზოგადოების ერთი ნაწილი ხელისუფლების მუშაობით უკმაყოფილოა. მათ რიცხვს მესამე სექტორის წარმომადგენლებიც მიეკუთვნებიან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება უნიათო პოლიტიკას ახორციელებს. ამასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციები მრგვალი მაგიდის მოწყობის, ანუ არასამთავრობოთა ფორუმის ჩატარებას გეგმავენ, სადაც გაანალიზებენ თუ რამდენად ხარისხიანად ილვაწა როგორც ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ისე დედაქალაქის მთავრობამ — ამის შესახებ გვესაუბრება საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის თავმჯდომარე დავით ლილუაშვილი.**

**— ბატონო დავით, კონკრეტულად რა სახის პრეტენზიები აქვს მესამე სექტორის ხელისუფლებასთან?**

— თავდაპირველად ქართულ მედიაზე გეტყვით. დღეს მედიაზე ზეწოლა აშკარაა, ილახება თვითონ მედიის წარმომადგენელთა უფლებები, იზღუდება სიტყვის თავისუფლება, იმ მარტივი პოლიტიკიდან გამომდინარე, რომ მასმედია არის ტრიბუნა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის. ხელისუფლების მხრიდან მედია-ორგანიზაციების მეპატრონეებზე ან გაბედულ ჟურნალისტებზე ზეწოლაც სწორედ იმიტომ ხდება, რომ მართვადი გახდეს ტრიბუნა, რომელსაც ხალხი საკუთარი განცხადებების, კომენტარებისთვის იყენებს.

კრიტიკის საფუძველს იძლევა, აგრეთვე, დედაქალაქის ამჟამინდელი მერის ნაჩქარევი გადაწყვეტილებები. მან დედაქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა აკრძალა, თანაც მოსახლეობას ვერანაირი ალტერნატივა ვერ შესთავაზა და დღემდე ეს საკითხი მოუგვარებელია. სოციალურად გაჭირვებული მოქალაქეები გადადგილებისას ორ-სამ ტრანსპორტს იცვლიან, რაც ისევ მათ ჯიბეს აწვება.

დაუშვებელია მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ჩამორთმევა ბავშვთა მრავალათასიანი არმიისთვის.

**— ეს საკითხი ხომ შეჩერდა?**

— დროებით დაკონსერვდა, მაგრამ როდის „გაიღვიძებს“, არავინ იცის. საზოგადოების აქტივობა რომ არა, სასახლე უეჭველად „შეიცვლიდა პროფილს“. ბატონი მერის მუქარა და მკაცრი ტონი ყველამ მოვისმინეთ.

**— როგორია თქვენი პოზიცია ეროვნული სამხედრო აკადემიის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით?**

— სამხედრო აკადემიის კურსანტების გარეთ გამოყრა დაუშვებელია. ახალგაზრდები ეუფლებოდნენ სამხედრო დისციპლინებს და შუა პროცესში გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მათ არც აკადემიაში ეძლევათ სწავლის გაგრძელების საშუალება და ვერც მათი სხვა სასწავლებელში გადაყვანა უზრუნველყვეს, რათა სწავლის ციკლი არ შეწყვეტილიყო. რაღაც პარადოქსული ვითარებაა: ხელისუფლება თან ჩვენში მხედრული სულის წამოწევას ცდილობს, საქმით კი საპირისპიროს აკეთებს.

**— ხელისუფლებამ რამდენიმე თვის წინათ საზოგადოების, არასამთავრობოების და „სახალხო ფორუმის“ მიერ ინიცირებული საკითხი მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის შესახებ დაბლოკა. როგორ შეაფასებდით ამ გადაწყვეტილებას?**

— დღეს დედაქალაქის მერს პრეზიდენტი ნიშნავს, ჭიაბერაშვილის მერობის შემხედვარეთ გვაქვს იმის ნათელი მაგალითი თუ „ზემოდან“ დანიშნულმა პირმა როგორ ვერ გაამართლა იმედები, რა წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა თბილისელებთან. უკვე იკვეთება გიგი უგულავასადმიც საზოგადოების ასეთივე დამოკიდებულება. მერის პირდაპირი არჩევის უფლება რომ გვქონოდა, ვფიქრობ, მერს თავის ელექტორატთან ასეთი ურთიერთობა არ ჩამოუყალიბდებოდა.

**— ბატონო დავით, დღეს საკმაოდ სერიოზული დაპირისპირებაა იუსტიციის მინისტრისა და მონიტორინგის საბჭოს წევრებს შორის, თქვენი აზრით, რატომ?**

— რამდენიმე თვის წინათ მინისტრი და საბჭო ერთ გუნდად მოიაზრებოდა, მაგრამ შემდეგ, ერთ-ერთ პრივილეგირებულ და ხელისუფლებისგან მეტად პატივცემულ ორგანიზაციას, რომელსაც „თავისუფლების ინსტიტუტი“ ჰქვია, გაუჩნდა მორიგი ამბიცია, თავისი კადრი დაენიშნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ასეთ „დანიშვნებს“ „თავისუფლების ინსტიტუტი“ კარგად ახერხებს, თუნდაც ბოლოდროინდელი ფაქტი ავიღოთ. თავისი წარმომადგენლის „არჩევა“ საზოგადოებრივი ტელევიზიის ხელმძღვანელად. იმას აღარ ჩამოვთვლი, რომ მთავრობა და პარლამენტი მათი კადრებით არის გადაჭედილი.

სამწუხაროა, რომ ხელისუფლებასა და ხალხს შორის ნაპრალი დღითი დღე ფართოვდება. ეს ხელისუფლებას კარგს არაფერს მოუტანს.

**— შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს მესამე სექტორი რაში ხედავს? აქვე ისიც მინდა გითხრათ, რომ მესამე სექტორი ერთობ პასიურია...**

— გეთანხმებით. არასამთავრობოები ურთიერთთანამშრომლობას ახლა ვიწყებთ, ჩამოვყალიბდებით იმაზეც, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ მიმდინარე ნეგატიურ პროცესებს მშვიდობიანი ფორმით. არასამთავრობოები ხელისუფლებასთან გარკვეული დიალოგის, კონსტრუქციული ურთიერთობების მომხრე ვართ, მაგრამ, ისიც ვიცით, რომ ძნელი იქნება იმ ხელისუფლებასთან დიალოგი, რომელსაც ზნეობრივ სახედ კობა ბექაური, უმაღლეს ქურუმად კი გიგა ბოკერია ჰყავს, მაგრამ რას ვიზამთ, ურთიერთობის ფორმები აუცილებლად უნდა გამოინახოს.

**ესაუბრა**
**ლელა ხვადაგიანი**

◎ ინფორმაცია

## ინვესტიციების მძლავრი ნაკადი

**„ჯეოსელის“ თანამფლობელი კომპანიები შვედურ-ფინური „ტელია-სონერა“ და თურქული „ფიტნერ-ჰოლდინგსი“ 5 წლის განმავლობაში საქართველოს ტელეკომუნიკაციების სფეროში დაახლოებით 160 მილიონდოლარიანი ინვესტიციის განხორციელებას გეგმავენ. ამ კომპანიების ხელმძღვანელები ანდრეს იგელი და ერდალ დურუკანი გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდნენ. შეხვედრაზე მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.**

**როგორც პრეზიდენტთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ანდრეს იგელმა და ერდალ დურუკანმა განაცხადეს, ისინი კმაყოფილნი არიან საქართველოში არსებული ბიზნესგარემოთი და იმ რეფორმებით, რომელსაც ქვეყნის ხელისუფლება ეკონომიკის სფეროში ახორციელებს.**

## პრობლემა მხოლოდ ინფორმაციის ნაკლებობაა

**აზერბაიჯანის სახელმწიფო დელეგაცია ქვემო ქართლის რეგიონს რამდენიმე დღეა სტუმრობს. დელეგაციის შემადგენლობაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარგარეთ მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნაზიმ იბრაგიმოვი, კომიტეტის წევრები და აზერბაიჯანელი ჟურნალისტები შედიან. მათ შეხვედრები უკვე გამართეს ბოლნისში, დმანისსა და მარნეულის რაიონებში მცხოვრებ აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეებთან და იქ არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს. დელეგაციას მასპინძლობას უწევდა ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული ზურაბ მელიქიშვილი.**

**გუშინ ნაზიმ იბრაგიროვმა და ზურაბ მელიქიშვილმა აზერბაიჯანელი და ქართველი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართეს. შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო. გავარკვიეთ იმ პრობლემებისა და საკითხების წრე, რაზეც შემდგომში ერთობლივად ვიმუშავებთ. ერთადერთი პრობლემა, რაც ჩვენს შორის არსებობს, ინფორმაციის ნაკლებობაა. დადებით მხარეებზე არავინ საუბრობს. ჩამოვედით, რომ ადგილზე ვნახოთ, სინამდვილეში რა ხდება ქვემო ქართლის რეგიონში, რადგან ყოველთვის მოიძებნება მესამე მხარე, რომელიც არსებულ პრობლემებს უარყოფითი კუთხით განიხილავს. რაზეც ვსაუბრობთ, არ არის პოლიტიკური პრობლემა, ეს სოციალურ ფონზეა წარმოქმნილი. ამ პრობლემებს მარტო საქართველოს მთავრობა ერთ დღეში ვერ მოაგვარებს, ამიტომ ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს ჩვენი დახმარება შევთავაზეთ, — განაცხადა იბრაგიმოვმა.**

**როგორც აზერბაიჯანის დელეგაციის შემადგენლობაში მყოფი ჟურნალისტები აცხადებენ, ქვემო ქართლში აზერბაიჯანელთა უფლებები შელახულია და მათი თანამდებობებზე დანიშვნა არ ხდება. პრეზიდენტის რწმუნებულმა ზურაბ მელიქიშვილმა მათ განუცხადა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში სოფლის გამგებლების 80 პროცენტი აზერბაიჯანელი ეროვნებისაა.**

**შეხვედრის ბოლოს როგორც აზერბაიჯანული, ასევე ქართული მხარე შეთანხმდნენ, რომ მომავალში აქტიურად ითანამშრომლებენ იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაც ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეებს გააჩნიათ.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ მინდა, პრეზიდენტმა იცოდეს

# საუნის ლოგინზე გადაწყვეტილი სიახლეები

## სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი პროგრესის მუხრუჭად იქცა

**საშუალო** სკოლის მერხიდან ვეწევი საგამომგონებლო საქმიანობას. ვარ 30 გამოგონების ავტორი. მაღალკონკურენტუნარიანი გამოგონებების შექმნისა და მათი პრაქტიკაში დანერგვისათვის სახელმწიფომ დამაჯილდოვა ოქროს მედლებითა და უმაღლესი [illegible] ლოთი, პირველი ფულადი ჯილდო, 20 ათასი მანეთი 1986 წელს გადავრიცხე ნერგების დამზადების ფონდში. 34 წლის ასაკში მიმენიჭა „საქართველოს დამსახურებული გამომგონებლის“ წოდება. ჩემს მიერ შექმნილი სიახლეები ხშირად დაუთვალიერებიათ ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფო მინისტრს, თვალსაჩინო უცხოელ სტუმრებს, ათასობით მევენახეს კი შრომა გაუიოლდა.



მევენახეობა ასეთი მხარდაჭერით იმედმოცემულმა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოვეცი მონოგრაფიები „მევენახეობა ახლებურად“, რომელიც აშშ-ის, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების მევენახეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებმა მაღალი შეფასებით [illegible].

2004 წლის 9 ივნისს პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან ბატონმა კახა ბენდუქიძემ აღნიშნა, „საქართველომ უნდა იამაყოს არა მარტო იმით, რომ გვაქვს ბორჯომი ან კარგი ბუნება, ან რაც მოხდა 800 წლის წინათ, არამედ დღევანდელი დღითაც“. ამ გონივრული მოსაზრების და 2005 წლის მსოფლიოს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დევიზის: — „იფიქრე, წარმოაჩინე, შექმენი“, — გათვალისწინებით, საქართველოს მევენახეობის კიდევ უფრო უკეთ წარმოჩენის მიზნით, **პრაქტიკულად ვახორციელებ საკუთარ გამოგონებას (პატენტი № 245-1664182) „ვენახების გაშენება მაღალ-დაბალი ფორმირებებით“. იგი კარდინალურად ცვლის მექანიზებულ სამუშაოებს, ახდენს ტექნიკის მოდერნიზაციას და იწვევს ინტენსიფიკაციის თვალსაჩინო ძვრებს — 50 პროცენტით მცირდება ტექნიკისა და საწვავის გამოყენება მევენახეობაში; ნოლამდე მცირდება ვაზის ფესვთა სისტემაზე მძიმე ტექნიკის ზეწოლა, თავისუფლდება ათასობით ჰექტარი მიწა**. ამას უდიდესი ეროვნული და ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისთვის, რასაც გვიდასტურებენ გამოჩენილი მეცნიერი სპეციალისტები („საქართველოს რესპუბლიკა“ — 2001 წლის 11 ნოემბერი: „გვინდა პრეზიდენტმა იცოდეს“).

ნათქვამის საილუსტრაციოდ მომ[illegible]კავს საქართველოს პარლამენტის წევრების [illegible] წერილი, რომელშიც ნათქვამია: „არსებითად ვეთანხმებით მრავალი სასიკეთო სიახლის ინიციატორისა და ორგანიზატორის, საქართველოს დამსახურებული გამომგონებლის თამაზ ქვლივიძის [illegible]“.

ბატონი ჩხარტიშვილი ცილისწამებით და დემაგოგიით [illegible] ნოვაციების პრაქტიკული განხორციელებას. სამწუხაროდ, ინსტიტუტში წარმატებით მუშაობს საუნები (?!), ხოლო 25 მეცნიერის ავტორობით 1985 წელს გამოცემულ „მევენახეობის აგროწესებში“ (რომელიც 50 წლის წინათ შედგენილი ნაშრომისაგან მაგარი ყდითა და 25 გვერდის მეტობით განსხვავდება) [illegible]

კომპეტენტური მეცნიერ-სპეციალისტების დასკვნები. ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ამ გამოგონების დანერგვას [illegible] ეროვნულ და ეკონომიკურ ინტერესებს. ბატონი თამაზ ქვლივიძე გამოგონების დონეზე გვთავაზობს ვენახების „მაღალ-დაბალი ფორმირებით“ გაშენების უნიკალურ, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური დონის მეთოდს, სადაც ორიგინალური გადაწყვეტილებებით ტექნიკა მორგებულია ვენახს. ამით საქართველოს მევენახეობისთვის წყდება ინტენსიფიკაციის არსებითი პრობლემები, რომლის გვერდის ავლა შეუძლებელია არა მარტო მცირემიწიანი, არამედ მიწის რესურსებით მდიდარ მევენახეობის სხვა ქვეყნებისთვისაც კი. **ზურაბ ტყემალაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, ზურაბ შხვაცაბაია, ვანო ხუხუნაიშვილი, ოთარ ღორჯომელიძე, როლანდ კემულარია“.**

ამავე აზრისანი არიან საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერები და მოღვაწეები **თამაზ შილაკაძე, ვახტანგ ბურკაძე, ნოდარ ცინცაძე, გივი გეთია, რევაზ მახარობლიძე, კონსტანტინე სარაჯიშვილი, აზირ მათიაშვილი, რევაზ ასათიანი, ელგუჯა შაფაქიძე, გივი ცაგურიშვილი, თენგიზ ურუშაძე, შალვა შათირიშვილი** და სხვები.

ამიტომ გავბედე და საკუთარი ღირსების, გამოგონების დაცვის მიზნით კალამს ხელი მოვკიდე. მართლაც მინდა, ქვეყნის პრეზიდენტმა იცოდეს, რომ ზოგიერთი პიროვნება შეგნებულად აკნინებს ჩემი გამოგონების მნიშვნელობას, ხელს მიშლის მათ რეალიზაციაში. ჭეშმარიტებისა და საქართველოს მევენახეობის განვითარების ინტერესები მავალებს გაცნობოთ პარადოქსული ფაქტი: საქართველოს დღეს მევენახეობის მეცნიერებათა დოქტორი არა ჰყავს! ეს პირდაპირი შედეგი იმისა, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ მოღვაწეობს მევენახეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი [illegible] ჩხარტიშვილი, რომელიც [illegible]

ჭიგოზე გაშენებულ ვენახზე მსჯელობს, სიახლეებს კი [illegible] ეწინააღმდეგება. [illegible] უნდა ყოფილიყო ინტენსიური მევენახეობისა და არა ექსტენსიური, ანუ, მის მიერ „მომავლის ნარგაობად წოდებულ ფართორიგიანი ვენახებისკენ“.** მისთვის ასევე წამგებიანი გამოდგა მათზე „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ჩემი წერილები „გაჩეხილი ვაზის ტირილი“, „დაუნახაობის და განუკითხაობის აპოგეა“ (1998-1999 წლები), რის საპასუხოდ აკადემიკოსმა ჩხარტიშვილმა შანტაჟს მიმართა, ხოლო მრავალ კითხვაზე პასუხის გაცემას გაქცევა ამჯობინა.

აქვე უმორჩილესად ვთხოვ უზენაეს სასამართლოს, წარმოებაში მიიღოს წლეულს საოლქო სასამართლოდან გადმოგზავნილი საქმე № 2/ა100, რათა გამომზეურდეს აკადემიკოსის მანტიას ამოფარებული დემაგოგი და მედროვე ჩხარტიშვილი, რომელიც წლების მანძილზე ბოროტად იყენებდა თანამდებობას და ნოვაციების მესაფლავედ იქცა.

**ბატონო პრეზიდენტო, რაც მე მაღელვებს, ერთი კონკრეტული ადამიანის ინტერესებზე ბევრად მეტია, ამიტომ, თუ დროს გამონახავთ და მიმიღებთ, ამით დარგიც ბევრს მოიგებს და ქვეყნის ეკონომიკაც.**

**თამაზ ქვლივიძე**

◉ ბანკი

# ფულის გარდა ინფორმაციაც ინახება...

**ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ნებისმიერ დარგში არის აუცილებელი. საქართველოს ეროვნული ბანკი ამ მიმართულებითაც ლიდერია. საქმე ის გახლავთ, რომ მიმდინარე წლის მაისში ეროვნულ ბანკში დაინერგა მაღალმდგრადი და სწრაფადაღდგენადი სისტემა, რომელიც თანამედროვე კომპიუტერიზაციის ეპოქაში გაცილებით უფრო მოსახერხებელი და ფინანსურად გაცილებით მომგებიანია. ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს ბიზნესუწყვეტობას ნებისმიერ ფორსმაჟორულ მდგომარეობაში, მაშინაც კი, როდესაც შესაძლებელია ელექტროენერგია გაითიშოს ან მოხდეს სტიქიური უბედურება, ტერორისტული აქტები, ფიზიკური დაზიანება და სხვა. ასეთ დროს საქართველოს ეროვნული ბანკის შემთხვევაში ბანკის ფუნქციონირება მაინც შენარჩუნდება.**

ამიტომაც ასეთი ტექნოლოგიების დანერგვა აუცილებელია სხვა კომერციულ ბანკებშიც. საქართველოს ეროვნულ ბანკში სწორედ ამ მიზნით გაიმართა სემინარი თემაზე: „ბიზნესუწყვეტობის კონცეფცია, მაღალმდგრადი და სწრაფადაღდგენადი სისტემები საბანკო სექტორში“.

დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი გიგი ღლონტი მიესალმა და აღნიშნა, რომ „ნებისმიერ კომპანიაში გარკვეულ ეტაპზე აუცილებელი ხდება ახალი სისტემების დანერგვა. დღევანდელ საბანკო სისტემაში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ბანკის საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფის საკითხი და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების განვითარება. აღნიშნული ბანკი ხელს შეუწყობს კომერციული ბანკების ტექნოლოგიური ნაწილის გაძლიერებას, რისკების მინიმუმამდე დაყვანას და კრიზისული სიტუაციების ეფექტიანად მართვას“.

სემინარზე საქართველოს კომერციული ბანკების ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერებმა მოისმინეს მსოფლიოში პროგრამული უზრუნველყოფის შემმუშავებელი ერთ-ერთი ლიდერის,| „VERITAS“-ის მენეჯერების ალექსანდრე პროხოროვის და პაველ ხრაპკინის ინფორმაციები თემაზე „ბიზნესის უწყვეტობის კონცეფცია და მისი აუცილებლობა საბანკო სექტორში“.

მონაცემთა შენახვის ტექნოლოგიებზე ისაუბრა „UGT-ის წარმომადგენელმა გიორგი ბეროშვილმა, ხოლო „სერვერულ გადაწყვეტილებებზე“ კომპანია „Pelta-Comm-ის წარმომადგენელმა დავით ხუბულურმა.

ძალზე საქმიანი და საინტერესო იყო სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის, პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტის ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ნოდარ დოლიძის მოსაზრება საბანკო სექტორში ტრანსინფორმაციულ ნაკადებზე დაფუძნებული ავტომატიზებული სამუშაო მაგიდების დაფუძნებასა და ინფორმაციის შენახვის თანამედროვე ტექნოლოგიებზე. მისი აზრით, მონაცემთა შენახვის ტექნოლოგიები აქტუალური საკითხია არა მარტო საბანკო საქმიანობაში, არამედ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში და მით უმეტეს ბიზნესში.

ნოდარ დოლიძემ აღნიშნა, რომ ავტომატიზებული სამუშაო მაგიდის კონცეფცია ახალი არ არის და ამ მიმართულებით ბევრი რამ არის გაკეთებული მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ ავტომატიზებული სამუშაო მაგიდების ინტეგრირებული გარემოს შექმნის იდეა „საქართველოს სახალხო ბანკის“ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში დაიბადა.

„ასმიგ“-ის პრეზენტაციაზე ნოდარ დოლიძემ ვრცლად მიმოიხილა ინფორმაციების ნაკადის სახესხვაობები, ხოლო გარემოს, რომელშიც ის წარმოიშვება, ტრანსნაციონალური გარემო უწოდა. ამდენად ეს გარემო შეხებაშია ნებისმიერ მათგანთან, მთავარია, მოვახერხოთ მისი დამუშავება [illegible]

ამ ტექნოლოგიის გამოყენება საბანკო სისტემაში და მისი დანერგვა უფრო მოხერხებულს და ეფექტურს გახდის ნებისმიერი ბანკის საქმიანობას.

საქართველოს ეროვნული ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა გიორგი ლობჟანიძემ ეროვნულ ბანკში დანერგილ მდგრად საინფორმაციო-ტექნოლოგიურ სისტემაზე ისაუბრა. იგი წარმატებით მუშაობს და ამ პროექტით უცხოური ფირმებიც დაინტერესდნენ. საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობაში კვლავ ახალი პერსპექტივებია, რაზეც ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

იმედია, კომერციული ბანკები მიბაძავენ მას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში დროის უკან არ ჩამორჩებიან.

როგორც გიორგი ლობჟანიძემ განმარტა, მთავარია სისტემის დაგეგმვის პროცესში არ შემოვიფარგლოთ აპრობირებული ტექნოლოგიებით, რომელსაც ხშირად გვთავაზობენ მწარმოებლები და მათი პარტნიორები, რადგან ყოველი, თითქოს უმნიშვნელო გადაწყვეტილება გარკვეულ მომენტში ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება, ყოველ გარკვეულ ამოცანას კი სჭირდება ინდივიდუალური, ტრადიციებისგან თავისუფალი მიდგომა, ირგვლივ ხომ ამდენი შესაძლებლობებია.

**ლალი ქინქლაძე**

◉ ინფორმაცია

## შერეულმა კომისიამ შესაძლებლობები ამოწურა

**საქართველოს უშიშროების მდივანი გელა ბეჟუაშვილი და კონფლიქტების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა 28 სექტემბერს დილით მოსკოვში გაემგზავრნენ.**

**კონფლიქტების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ განაცხადა, რომ საქართველოს დელეგაციის ვიზიტის მიზანი მოსკოვში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით რუსეთის პოზიციის დაზუსტებაა.**

**მოსკოვში ისინი შეხვდებიან რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივან იგორ ივანოვს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს [illegible]**

**ქართული მხარე ივანოვთან და ლავროვთან შეხვედრაზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებას გამართავს.**

**ხაინდრავას განცხადებით, შერეული საკონტროლო კომისიამ ცხინვალის რეგიონში ამოწურა თავისი შესაძლებლობები [illegible]**

**[illegible] - განაცხადა ხაინდრავამ.**

## ტრენინგები პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის

**[illegible]**

## ექიმები და ექიმები „პრაქტიკას“ გადიან

**[illegible] უდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის სპეციალისტები ატარებენ. ანალოგიური ტრენინგები უკვე ჩაუტარდათ იმერეთის, სამეგრელოს, აჭარისა და გურიის რეგიონების 03-ის ექიმებს. ოქტომბრის ბოლოს კი თბილისში ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების სასწრაფო სამედიცინო დახმარება 03-ის ექიმებისათვის ტრენინგები გაიმართება.**

**ინტერპრესნიუსი.**

◉ უნივერსიტეტი

# პროფესორ-მასწავლებლები შველას ითხოვენ

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე ცვლილებებით უკმაყოფილო პროფესორ-მასწავლებლები დახმარებისათვის საერთაშორისო საზოგადოებრიობას მიმართავენ. უნივერსიტეტის ალტერნატიული აკადემიური საბჭო „რეფორმადწოდებული ნგრევისა და ქაოსის“ შეჩერების თხოვნით უნივერსიტეტების ევროპის საერთაშორისო ასოციაციას, ბოლონიის პროცესის მონაწილე უნივერსიტეტებსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსებს მიმართავს.**

**პროფესორ-მასწავლებელთა მიერ მომზადებულ მიმართვაში ხაზგასმულია, რომ უნივერსიტეტში გაუქმებულია ავტონომია და მას „ხელისუფლებისგან თავსმოხვეული ადმინისტრაცია“ ხელმძღვანელობს, რომელმაც თვითნებურად გააუქმა ფაკულტეტები. მიმართვაში ასევე ნათქვამია, რომ გაუქმდა უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილი, მიმდინარეობს პროფესორ-მასწავლებელთა წმენდა ასაკობრივი ცენზისა და ხელისუფლების პოლიტიკური გემოვნების გათვალისწინებით. წერილში აღნიშნულია, რომ სამსახურიდან დათხოვნილია უნივერსიტეტის 800-ზე მეტი თანამშრომელი, უმუშევრობის პერსპექტივა კი კიდევ ათობით პროფესორ-მასწავლებელს ემუქრება. მიმართვის ავტორთა განცხადებით, უნივერსიტეტში საკადრო წმენდას ხელისუფლებასთან მოთანამშრომლე ორგანიზაციები - „თავისუფლების ინსტიტუტი“, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ და „კავკასიის ინსტიტუტი“ ახორციელებენ.**

**“გაუწყებთ, რომ ამგვარი მიზანმიმართული პრაქტიკა მიმართულია საქართველოში უპირველესი ევროპული უნივერსიტეტის ნგრევისა და განათლების ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ. საბოლოოდ კი ქართული ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების მოშლისკენ“, - აღნიშნულია წერილში.**

**უნივერსიტეტის ალტენატიული აკადემიური საბჭოს წევრები გუშინდელ შეხვედრაზე მათი დევნა-შევიწროვების შესახებაც ალაპარაკდნენ. მათი განცხადებით, იმ საბაბით, რომ საბჭოს რამდენიმე წარმომადგენელს თან უნივერსიტეტის თანამშრომლის მოწმობა არ ჰქონდა, 28 სექტემბერს მათ დაცვა უნივერსიტეტის შენობაში არ უშვებდა. გარდა ამისა, საბჭოს დაკეტილი დახვდა თსუ-ს პირველი კორპუსის 93-ე აუდიტორია, სადაც გუშინდელი შეხვედრა უნდა ჩატარებულიყო.**

**როგორც საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ნესტან კირთაძემ განაცხადა, საბჭომ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის აუდიტორიებსა და სხდომათა დარბაზებში შეხვედრების ჩატარებაზე უარი პრორექტორ კახა კორძაიასგან მიიღო. მან საბჭოს წევრებს შეხვედრის გამართვა უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მდებარე თსუ-ს ბიბლიოთეკაში ურჩია.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ პენსიონერთა ბედი

# გეკუთვნის, მაგრამ... არ გეკუთვნის?!

**ბატონი შოთა ნოზაძე ოზურგეთის რაიონიდან გახლავთ. ვინ იცის მერამდენედ ჩამოდის თბილისში და კარგად ვერ გაურკვევია, ვისთან მივიდეს. ხან ერთ, ხან მეორე ორგანიზაციის კარებისკენ უთითებენ და ისიც დადის! დადის და დაეძებს სამართალს. მერე, ვიღაც დალოცვილმა ჩვენი რედაქციისკენ მიუთითა და აი, ისიც გვეწვია...**

— არ ვიცი, შვილო, ვინ დამდებს პატივს და პასუხს გამცემს! ახლა თქვენთან მოვედი და, იქნებ, თქვენ მაინც მოუთხროთ ჩემი ამბავი ქვეყანას, თქვენ მაინც მითხარით, როდის მომცემენ ჩემს პენსიას და იმ კაპიკებით ცოტას მაინც გავიხანგრძლივებ სიცოცხლეს... 86 წლის ვარ უკვე და ამდენი სიარული არ შემიძლია!.. — ბატონი შოთა ხელკეტს ეყრდნობა და დიდი ხვნეშითა და მორიდებით ჯდება სკამზე.

— კადრის ოფიცერი ვიყავი... 1937 წელს გამიწვიეს შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებში. ჯერ შორეულ აღმოსავლეთში ვმუშაობდი, მერე ირანში გადამიყვანეს... შემდეგ აფხაზეთში ვიბრძოდი, სოფელ ფსოუს რაიონში. ორჯერ დავიჭერი. მეორედ რომ დავიჭერი, ვიხვეწებოდი, არ ქნათ ეს-მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა, — კანონი კანონობდა მაშინ, — და „ნესტროევოიში“ გამიშვეს და ზურგში გამანაწილეს, პატრულად ვიყავი თბილისში... გვირაბები რომ არის ყაზბეგის გზებზე, იმასაც ვაშენებდი და ასე წავიდა ჩემი საქმე. 1969 წელს კი პენსიაზე გავედი. დამინიშნეს ერთი შრომის პენსია 120 მანეთი და მეორე პენსია საბრძოლო 45 მანეთი... კაი, ფული იყო და ვღებულობდი, მაგრამ მორჩა კაი ცხოვრება!

მას მერე რამდენჯერმე ვიჩივლე სასამართლოში, მაგრამ...

ბატონი შოთა უბიდან ქაღალდების კარგა მოზრდილ დასტას იღებს და მაწვდის.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე სასამართლოს გადაწყვეტილებას უგზავნის სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ოზურგეთის რაიონული ფილიალის უფროსს გ. ხარაბაძეს. იმდენად, რამდენადაც იურისპრუდენცია მეტად ფაქიზი საქმეა და აქ ყოველ სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ზედმიწევნით ზუსტად მოგაწვდით ციტატებს ამ გადაწყვეტილებიდან:

**„...დადგენილია, რომ შოთა ნოზაძეს, 1941-45 წლების სამამულო ომის მონაწილეს, II ჯგუფის ინვალიდს, რომელსაც ინვალიდობა მიღებული აქვს სამამულო ომის ფრონტზე, 75 წლის ასაკს გადაცილებულს, „სამხედრო შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 60-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაენიშნა მეორე სახის პენსია მოხუცებულობის გამო და ამავე პენსიაზე დანამატი მოხუცებულობისთვის დაწესებული ორი მინიმალური პენსიის ოდენობით. ვინაიდან პენსიის დანიშვნა ხდება მიმართვის დღიდან, შოთა ნოზაძეს მეორე სახის პენსია და დანამატი ეძლევა 2003 წლის 12 სექტემბრიდან, ანუ სასამართლოში სარჩელის შეტანის დღიდან... ხოლო 2005 წლის 1 იანვრიდან, პენსიების გაზრდასთან დაკავშირებით ღებულობს 129 ლარს...“**



ღებულობს, მაგრამ არ ღებულობს! — და სწორედ ეს აწუხებს ბატონ შოთას. სასამართლო კი დაჟინებით მოითხოვს:

**„...საქართველოს კანონის 50-ე მუხლის თანახმად თუ პენსიონერმა მიიღო პენსიის მომატების უფლება და დროულად არ მიმართა სათანადო ორგანოებს პენსიის მისაღებად, მაშინ მას ახალ და ადრინდელ პენსიებს შორის სხვაობა შეიძლება გადაუხადონ წარსული დროისთვის, მაგრამ არა უმეტეს 12 თვისა... რაც 12 თვეზე გადაანგარიშებით შეადგენს 504 (ხუთას ოთხ) ლარს და, რომლის ანაზღაურებასაც მოითხოვს მოსამართლე მოპასუხისგან... ვსარგებლობ რა „სამხედრო შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“, საქართველოს კანონის 50-ე მუხლით, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 1-ლი, 9-ე, 12-ე და 25 პრიმა მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243, 244, 247, 249 და 369 მუხლებით გადავწყვიტე: — სარჩელი საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს. მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ოზურგეთის რაიონული ფილიალს, მოსარჩელე შოთა ნოზაძის სასარგებლოდ ДАЕКИСРОС ახალ და ადრინდელ პენსიებს შორის სხვაობის, 504 (ხუთას ოთხი) ლარის ГАДАХДА“.**

მე მგონი ყველაფერი ნათელია! გადასახდელი უნდა გადაიხადოს გადამხდელმა, მაგრამ...

უჭირსო სახელმწიფოს, — პასუხობენ ამ პატიოსან კაცს და იმაზე კი არავინ ფიქრობს, — იქნებ მასაც სახელმწიფოზე უფრო ძალიან უჭირს?!

...მერე მოგცემთო, მეუბნებიან! მერე... 86 წლის კაცი ვარ და ვინ იცის დღეს თუ ხვალ რა მოხდება, შვილო... ვის მისცემენ მერე ამ ფულს? სახელმწიფოს სახელმწიფო თუ ჰქვია, არ უნდა უჭირდეს ჩვენი ვალის გადახდა... ისედაც ცოტანი დავრჩით სამამულო ომის მონაწილენი!

**ზაურ ფიფია**

◉ აქტუალური თემა

# პურის საჭმელად მოთმინებით... ჩეჩმაში!

**ისტორიული** ფაქტია: როდესაც **რომში იმპერატორმა ვესპასიანემ ფასიანი საზოგადოებრივი ტუალეტები გახსნა, მას საკუთარი შვილი შეეწინააღმდეგა. არგუმენტი ასეთი გახლდათ: ტუალეტებიდან შემოსული ფული ბინძური და ჭუჭყიანია. გაბრაზებულმა იმპერატორმა რამდენიმე მონეტა შვილს ცხვირთან მიუტანა და უთხრა: ფულს სუნი არა აქვს.**

ეს მოკლე ისტორიული ექსკურსი იმის ხაზგასასმელად დამჭირდა, რომ საზოგადოებრივი ტუალეტები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო საჭირო და დღეს ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებში საჭირო ოთახებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით, ხალხმრავალი ადგილებით დაწყებული და ავტობანებით დამთავრებული. ბუნებრივი მოთხოვნილება ხომ დროსა და ადგილს არ ექვემდებარება, არც უსაშველო მოთმენასაც.

**თბილისი საზოგადოებრივი ტუალეტების ნაკლებობას ნამდვილად განიცდის. მით უმეტეს, ისეთ ადგილებში, სადაც მუდმივი ხალხმრავლობაა და ადამიანები დღედაღამ მოძრაობენ. ასე გასინჯეთ, მთელს ამხელა რუსთაველის პროსპექტზე ბუნებამ რომ მოულოდნელად „თავანის ჩაბარება“ მოგთხოვოს, თუ რომელიმე კაფეში არ შევარდები, ან მოთხოვნილებას საჯაროდ არ დაიკმაყოფილებ, შერცხვენის სრულიად რეალური საფრთხე გემუქრება.**

**თუმც ესეც არაფერი. თუ კაცი ძალიან მოინდომებს, თვალის დახუჭვა ამაზეც შეიძლება, მაგრამ გაოგნებას ვერსად წაუხვალთ მაშინ, როცა ძველ ნაცნობ ადგილს, სადაც საპირფარეშო გეგულებოდათ, სულმოუთქმელად მიაშურებთ და იქ... არც მეტი არც ნაკლები, რესტორანი დაგხვდებათ. ან უფრო მსუბუქ შემთხვევაში — სილამაზის სალონი მაინც.**

არაფერს ვაზუქებ. ასეთი რამის დაწერაზე თავს ნამდვილად არ ვიდებდი, რეალური ვითარება რომ არ მაიძულებდეს.

თვალსაჩინოებისთვის რამდენიმე მაგალითს მოვიყვან: მთაწმინდის ასასვლელში, დანიელ ჭონქაძის ქუჩაზე, საზოგადოებრივ ტუალეტში რესტორანია გახსნილი, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობის გვერდით კი ყოფილი საპირფარეშო სილამაზის სალონად გადაუკეთებიათ.

დიდუბეში, მეტროს სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთ-ერთ ტუალეტში, ქალთათვის განყოფილებას კაცთა ოთახებიც „მიუერთეს“. მამაკაცების ყოფილ განყოფილებაში კი კვების პროდუქტების საკმაოდ ფართო ასორტიმენტია წარმოდგენილი.



დედაქალაქში ანტისანიტარია ყოველ ფეხის ნაბიჯზე აშკარაა, მაგრამ ტუალეტებში რესტორნების გახსნა და კვების პროდუქტებით ვაჭრობა ისეთი რამ გახლავთ, რომელიც ვერანაირი მორალის ფარგლებშიც არ თავსდება და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ქართული ხასიათის მეტად უგერგილო შტრიხზე მიუთითებს. ყველაზე ორიგინალურად მოაზროვნე თავიც ვერ მოიფიქრებდა ამგვარ რამეს, ან თუ მოიფიქრებდა, შესრულებას ვერ გაბედავდა.

მართალია საქართველოს სოციალურად და ეკონომიკურად დღეს ნამდვილად არ ულხინს, მაგრამ არც ისეთი გაუსაძლისობაა, რომ საპირფარეშოში რესტორნის, სილამაზის სალონისა და სხვა ათასი ობიექტის განთავსება იყოს ლუკმაპურის შოვნის უალტერნატივო გზა.

ბუნებრივია, დავინტერესდით იმით, თუ რამდენი საზოგადოებრივი ტუალეტი არსებობს დღეს დედაქალაქში, რამდენი არსებობდა და რამდენი გადაკეთდა.

საკითხის გასარკვევად თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს მივაკითხეთ.

თურმე დედაქალაქში 1999 წლიდან... საზოგადოებრივი ტუალეტები საერთოდ აღარ არსებობს, მათი განკერძოება მოხდა და ახალი მეპატრონეები თურმე პანტა-პუნტით აუქმებენ საპირფარეშოებს და იქ სხვადასხვა ობიექტებს ხსნიან.

დაგვეთანხმებით, პრობლემა ერთობ სერიოზულია და თუ დროზე არ მიეხედა, სრულიად შესაძლებელია ქართველებს „ტუალეტების მაძებართა“ ან „ჩეჩმაში პურისმჭამელთა“ სახელი გაგვივარდეს.

ეს კი, ჩვენთვის მიბაძვის ეტალონად აღიარებული ევროპის თვალში მომხიბვლელობას ნამდვილად ვერ შეგვძენს.

**ჯაბა ხუბუა**

⊙ ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

# მთისა და ბარის როგორც გასწორება, ისე არც გატოლება შეიძლება

## შობადობა კლებულობს, იშვიათია ტყუპიანობა

**როგორც უკვე ვწერდი, ხულოში ჩემი ამჟამინდელი მივლინება ერთ მთავარ ამოცანას ემსახურებოდა: გამერკვია, ამ ერთი წლის მანძილზე რა შეიცვალა რაიონის ცხოვრებაში. ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლიდი იმ დაწესებულებებს, რომელთა შესახებ ჩვენს მკითხველს შარშან მივაწოდე ინფორმაცია. ქალბატონ ეთერ დეკანაძის თანხლებით ისევ ავიარე პატარა აღმართი, მაგრამ იქ აღარ დამხვედრია დიმიტრი დეკანაძე, პანტიკო თორდიას რომ მოუხმობდა. „პანტიკო თორდია“, ანუ გოგიტა ბოლქვაძე, ბეშუმშია და მშობლებს ეხმარებაო, — მითხრა ეთერმა. სამაგიეროდ, ადგილზე დამხვდა დიდი, ლამაზი, თეთრი შენობა — დედათა და ბავშვთა რეგიონული სამედიცინო ცენტრი და მისი ახალი დირექტორი არჩილ მარკოიძე. სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდა, მზარდ სპეციალისტზე, წლეულს, შემოდგომაზე ორმოცდასამი წელი რომ უნდა შესრულებოდა, უკვე წარსულ დროში მომიხდება საუბარი: მივლინებიდან დაბრუნებულს ეთერ დეკანაძემ და ავთანდილ ბოლქვაძემ მაცნობეს, მოულოდნელად გარდაიცვალაო... ახლაც თვალწინ მიდგას მისი ფიქრიანი თვალები. ერთი წელიც კი არ უმუშავია ამ თანამდებობაზე, სიყვარული და პატივისცემა კი უხვად მოიმკო. მახსოვს, რა სიამაყით მითხრა, შვიდ თვეში 322 ბავშვი დაიბადა, ახალშობილებიც და მშობიარეებიც შინ მშვიდობით გავისტუმრეთო.**



სამედიცინო ცენტრში ისევ ძველებური სიმშვიდე და სისუფთავე იყო. ერთი ნაკაწრი რომ ნაკაწრია, კედლებზე იმასაც ვერ ნახავდით. დირექტორი თავისი კაბინეტისკენ გაგვიძღვა და მშვიდ გარემოში დიდხანს გვესაუბრებოდა სიახლეებზე:

— გაუმჯობესდა ლაბორატორიათა პირობები — შემოიტანეს ახალი აპარატურა;

— შეიძინეს თვალის ბიომიკროსკოპი;

— შემოიღეს პაციენტთა უფასო სამჯერადი კვება;

— მოაწყეს ახალშობილთა ინკუბატორი;

— სოფლებში შენდება 8 ახალი ამბულატორია;

— რაიონულმა ბიუჯეტმა გაითვალისწინა 20 ათასი ლარი სამრეცხაოს ასაშენებლად.

**დამეთანხმებით: ერთი წლისათვის ეს ცოტა არ არის.**

არჩილ მარკოიძეს კი უფრო მეტი სურდა ისევდაისევ ცენტრის აღჭურვის, მომსახურე პერსონალის სამუშაო პირობების, პაციენტთა მოვლა-პატრონობის გასაუმჯობესებლად. წუხდა, რომ აქაც, რაიონულ ცენტრშიც იმას აკეთებენ ექიმები, რასაც დედაქალაქში, ვაუჩერების ღირებულება კი აქ 150 ლარია, თბილისში — 200. მთაში მუშაობის გაცილებით რთული პირობებია — ზოგი სოფელი ხულოდან 55-60 კილომეტრით არის დაცილებული. მერე, გზებს არ იკითხავთ? ჰოდა, განა ამას გათვალისწინება არ სჭირდება? მით უმეტეს, რომ აქ პაციენტები მეზობელი რაიონებიდანაც მოჰყავთ.

უნდა შევნიშნო კოლექტივის სულგრძელობაც: უფასო სამჯერადი კვების დაფინანსება ცენტრის სახსრებით ხდება. დირექტორს თავისუფლად შეეძლო ამ თანხის ხელფასებზე გადანაწილება, მაგრამ... ადამიანურმა სიკეთემ გადასძალა და ამას მომსახურე პერსონალი გაგებით შეხვდა.

ვესაუბრე თვალის უფროს ექიმს კახა თავართქილაძეს, რომელიც ბედს არ ემდურის. არ მისაუბრია მის სხვა კოლეგებთან, თუმცა 450-500-ლარიანი ხელფასის ფონზე მათი განწყობილების წარმოდგენაც ძნელი არ არის. — ზოგი პაციენტი მაინც ბათუმისკენ იყურებაო, — დანანებით მითხრა ბატონმა არჩილმა.

ამიტომ ცდილობდა საუკეთესოთა შორის საუკეთესო კადრის შერჩევას, ამიტომაც ჩამოიყვანა თბილისიდან ქეთი აბულაძე, რომელსაც ისე მოეწონა აქაურობა, ფეხის მოცვლას არ აპირებსო.

დირექტორმა იმაზეც დანანებით ისაუბრა, რომ... შობადობა სულ უფრო და უფრო კლებულობს, იშვიათია ტყუპიანობაც.

— მიზეზი ბევრია, — განმიმარტა ეთერმა, — მან ხომ თავისი რაიონის ავ-კარგი თავისი ხელის გულივით იცის! — ამას წინათ ერთ ოჯახს მეშვიდე ბავშვზე 300 ლარი მისცეს, ეს პრაქტიკა თუ დამკვიდრდება, ვითარება აშკარად შეიცვლებაო.

იცოცხლეთ, ცუდი არ იქნება, მაგრამ... „ჭამა ხომ ქონებაზე ჰკიდია...“

აქვე ახლოა რაისაავადმყოფო. ქალბატონ ეთერს სურს, რომ მთავარ ექიმს რუსლან აბულაძესაც შევხვდე: — თბილისიდან ისედაც იშვიათად ჩამოდიან ჟურნალისტები და გულს ნუ დავწყვეტთო. იქვე იყვნენ მთავარი ექიმის მოადგილე რომან ბათნიძე და მორიგე ექიმი ემზარ ჯორბენაძე. საავადმყოფო ფედერალური დაფინანსებითა და აჭარის მუნიციპალური პროგრამით არსებობს.



თვეში 2400 ლარია გათვალისწინებული უფასო მომსახურებისათვის. ეს წესი ვრცელდება 14 წლამდე და 65 წელს ზევით ასაკის პაციენტთა ამბულატორიულ მკურნალობაზე. ზემოხსენებული პროგრამა ფინანსურად შეზღუდულია, მაგრამ რაღაც შეღავათს მაინც იძლევა.

— ის ავადმყოფი ოპერაციის დაჩქარებას ითხოვს, — ეუბნება რუსლან აბულაძეს მორიგე ექიმი.

— დღეს ერთი ოპერაცია უკვე გავაკეთე, — დაფიქრებით ამბობს მთავარი ექიმი და სკამიდან დგება. მარტო ამ თვეში ეს მეჩვიდმეტე ოპერაცია იქნება.

აქ გაცილებით რთული სამუშაო პირობებია, ვიდრე დედათა და ბავშვთა ცენტრში. არც ხელფასების სიდიდით არიან განებივრებული.

მაგრამ მაინც მონდომებით იღვწიან.

— ბარემ სასწრაფო დახმარების სამსახურშიც შევიაროთ, — მეუბნება ეთერი. საბედნიეროდ, შორს წასვლა არ მიწევს — ისიც აქვე, „ყურის ძირშია“. დირექტორი ხათუნა ჯაყელი მამცნობს, რომ 26 მაისიდან მოსახლეობას უფასოდ ემსახურებიან. — ადრე დღე ისე გავიდოდა, ერთი არავინ შემოგვეხმიანებოდა. ახლა 10-12 გამოძახება მაინც გვაქვს. ძალიან შემოგვეშველა ახლახან გახსნილი სასწრაფო დახმარების სხალთის ფილიალი. რაიონში 35 ათასი კაცი ცხოვრობს. აქედან 8 ათასს სხალთა ემსახურება, დანარჩენს — ჩვენ. დიდ სიძნელეებს გვიქმნის რელიეფის სირთულე. საწვავი რომ საწვავია, იმასაც იმავე ნორმით გვაძლევენ, როგორც ბარელებს. ჰკითხეთ ჩვენს მძღოლებს რევა ჩოგაძეს, თემურ აბაშიძეს, ლევან ბოლქვაძეს, გივი ლაბაძეს, გაჭირვების დროს რამდენჯერ ჩაუსხამთ ბენზინი საკუთარი ფულით!

მეც ვეთანხმები ქალბატონ ხათუნას — **მთაში ხელფასიც ცოტა სხვანაირი უნდა იყოს და ხარჯებიც. ვისაც აჭარის მთიანეთის გზები არ უნახავს, ნუ დაიჩივლებს, გზები არ გვივარგაო...** მიუხედავად ყველაფრისა, ყოველ გამოძახებაზე, მზად არიან ექიმები ტარიელ ბერიძე, ინგა ცეცხლაძე, ედუარდ შამანაძე, ვალერი აბულაძე, რუსლან შაინიძე, ლელა შამანაძე, ლეილა შავაძე, ემზარ ჯორბენაძე. თავიანთ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებენ ექთნები მარიამ აბულაძე, ნინა აბულაძე, თემურ თავართქილაძე, ნანა ქათამაძე, ზაზა აბულაძე... შვიდ თვეში 568 გამოძახება ჰქონდათ. როგორი საქმეა, ჰა?

**როგორც მთიელებს სჩვევიათ, აჭარაშიც არ უყვართ წუწუნი. ამბობენ მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია და დაფარვა არ ეგების. ასე მოიქცა ჩემი სამივე რესპონდენტი.**

**ელგუჯა ლეჟავა ლებანიძე,**
„სრ“ სპეც. კორ.
**თბილისი-ხულო-თბილისი.**

**სურათზე:** არჩილ მარკოიძე; დედათა და ბავშვთა რეგიონული ცენტრი.

⊙ სიტუაცია

# „ფრინველის გრიპისაც“ უნდა გვეშინოდეს

## მაინც როგორი დაავადებაა იგი?

**სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ამ უკანასკნელ ხანს მკვეთრად გაიზარდა ფრინველთა გრიპის გამომწვევი ვირუსის ცირკულაცია. აღნიშნული დაავადება პირველად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აღმოაჩინეს, შემდგომში კი მისი გეოგრაფიული არეალი მკვეთრად გაფართოვდა.**

2005 წლის ივლისის ბოლოს „ფრინველის გრიპის“ აფეთქება შინაურ ფრინველებში რუსეთსა და ყაზახეთშიც აღინიშნა. დაინფიცირებისა და სიკვდილის შემთხვევები არის გადამფრენ ფრინველებშიც. რაც ძალზე სამწუხაროა, ადამიანთა შორის დაავადების შემთხვევები აღინიშნა ოთხი ქვეყნის (ვიეტნამი, ტაილანდი, კამბოჯა და ინდონეზია) სოფლებში, დაავადებულ ან გარდაცვლილ ფრინველთან პირდაპირ კონტაქტისას.

რუსეთში აღმოჩენილი ვირუსი ჩინეთში კინგაის ტბაზე აღმოჩენილი ვირუსის და ბოლო ორი წლის განმავლობაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოცირკულირე ვირუსის იდენტურია. ქვეყნებში, სადაც რეგისტრირებულია დაავადების აფეთქება, რეკომენდებულია განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს იმ პირებზე, რომლებსაც კონტაქტი ჰქონდათ დაავადებულ ფრინველთან და აღენიშნებათ რესპირატორული დაავადება. გრიპის ვირუსის ყველა მძიმე შემთხვევა განიხილება, როგორც ფრინველის გრიპის სიმპტომი.

ექსპერტები და ვეტერინარები აღნიშნავენ, რომ დაავადების გავრცელების საშიშროება იზრდება მას შემდეგ, რაც შემოდგომით გადამფრენი ფრინველები გეზს აიღებენ ჩრდილოეთიდან კასპიის და შავი ზღვის მიმართულებით. საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს ფრინველთა მიმოფრენის ორი უმთავრესი გზა: პირველი და ყველაზე დიდი გზა შავიზღვის საჰაერო გზაა, რომელიც ჩრდილოეთიდან, ქერჩის სრუტიდან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირის გაყოლებით გაივლის საქართველოს მთელ ზღვისპირეთს და გააგრძელებს მცირე აზიის, ეგვიპტისა და აფრიკისაკენ და პირუკუ. ამ გზით მიფრინავს ფრინველთა სხვადასხვა სახეობები, როგორც წყლის, ისე სხვაც, მათ შორის მტაცებლებიც.

მეორე საჰერო გზა კავკასიონის მთავარ ქედზე მდებარეობს. იგი მიემართება მდინარე თერგის დინების გასწვრივ, გადადის ჯვრისა და გუდაუთის უღელტეხილებზე, თეთრი და შავი არაგვის გაყოლებით, ჩადის მდინარე მტკვარზე და მიჰყვება ამ მდინარის დინებას სამხრეთ აღმოსავლეთით.

გადამფრენი ფრინველების მიგრაციის გზების შესწავლამ აჩვენა, რომ ისინი არც თუ იშვიათად იკვებებიან, რაც ხელს უწყობს ვირუსის შემოტანას და გავრცელებას. ეს კი თავისთავად ზრდის ადამიანთა შემდგომი დასნებოვნების რისკს.

ყოველივე ამის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი მოსახლეობას შემდეგ ღონისძიებების განხორციელებას ურჩევს:

მიზანშეწონილი არ არის წყალსატევებიდან გადაუდუღებელი წყლის გამოყენება. ახალდახოცილ ფრინველებთან საჭიროა დავიცვათ პირადი ჰიგიენის წესები. ნანადირევი უნდა გაიპუტოს, გატყავდეს, გაიშიგნოს ადგილზევე და იქვე დაიწვას.

დაუცველი ადგილების სისხლით, ლორწოთი და ექსკრემენტით დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა პირბადეების და რეზინის ხელთათმანების ხმარება. ნანადირევის დამუშავების დროს აკრძალულია მოწევა, საკვებისა და სპირტიანი სასმელების მიღება.

ყურადღება მიაქციეთ ნანადირევის ლორწოვანზე და შინაგან ორგანოებზე სისხლჩაქცევებს. ეს პირდაპირ მიუთითებს დაავადებაზე. დამუშავების შემდეგ ხელები საფუძვლიანად უნდა დაიბანოთ საპნით.

თავი შეიკავეთ ნანადირევის საცხოვრებელ შენობაში და იმ ადგილებში შეტანისაგან, სადაც შინაური ცხოველებია. არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ ნანადირევი ფრინველის ნარჩენები შინაურ ცხოველებს და მონადირე ძაღლებს.

ნადირობის შემდეგ მონადირე ძაღლებს გაუსუფთავეთ თათები და დრუნჩები.

კატეგორიულად იკრძალება თოლიებისა და სხვა გარეული ფრინველების კვერცხების შეგროვება და საკვებად გამოყენება.



ფრინველთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელია მონიტორინგი: დასნებოვნების კერების გამოვლენა, დაავადებული ფრინველების განადგურება, ვეტერინარულ-სანიტარიული მოთხოვნების დაცვა და ახალი კერების წარმოშობის თავიდან აცილება.

**ნაზი იმნაიშვილი**

⊙ აკრძალული ზონა

# პატიმრები ცხენსაშენში

**გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ქუთაისის ავტოქარხნის დაფინანსებით და ხელშეწყობით გეგუთში ჩატარდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რომელთა შედეგად აშენდა პატიმართა კოლონია. იქ დაიწყეს სატვირთო ავტომობილების მისაბმელების დამზადება და სერიული გამოშვება.**

**იმ დროს კოლონიის ნაგებობები და შენობები, სხვა საპატიმრო ადგილებისაგან განსხვავებით, სამაგალითოდ ითვლებოდა. დადებითად იყო გადაწყვეტილი საწარმოო და საცხოვრებელი ზონების დისლოკაციისა და ერთმანეთისაგან იზოლირების საკითხები, რაც ხელს უწყობდა კოლონიაში ოპერატიულ-სარეჟიმო სამსახურების ნორმალურ მუშაობას და პატიმართა შენახვის დადებითად გადაწყვეტას, მაგრამ შემდგომში „აირია მონასტერი“...**

გავიდა ხანი და დღის წესრიგში დადგა კოლონიების ნაცვლად პატიმართა შენახვის ციხურ რეჟიმზე გადასვლა. ამისათვის კი საჭირო იყო ციხეების აშენება, თანაც ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

ამჟამად ქუთაისის ავტოქარხნის დასახლებაში დასასრულს უახლოვდება ახალი ციხის აგება. მანამდე ახალი ციხის კადრებით დასაკომპლექტებლად მიმდინარეობს კონკურსი-შერჩევა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული ნიშნით ტარდება.

ადრე კოლონიებში აშენებული საწარმოები და სასოფლო მეურნეობები უშვებდნენ სხვადასხვა სახის და ნომენკლატურის პროდუქციას, ხოლო მათი რეალიზაციიდან შემოსული მოგების თანხები მთლიანად ხმარდებოდა პენიტენციურ სისტემას. დიდი ხანია ეს საწარმოები აღარ ფუნქციონირებენ და, ბუნებრივია, მსჯავრდადებულები უსაქმურად არიან და პენიტენციური სისტემის დაფინანსება მთლიანად ქვეყნის ბიუჯეტიდან ხდება.

არადა, მსჯავრდადებულთა უსაქმურობა თავის მხრივ იწვევს მათ ფსიქოლოგიურ დეგრადაციას, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ გუნება-განწყობაზე, ისინი ფიქრობენ საპატიმროებიდან გაქცევაზე და სხვა დანაშაულებრივ ექსცესებზე.

საკითხავია — როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი დაუშვებელი მდგომარეობა?

თუ ენგელსმა თქვა, რომ „შრომამ შექმნა ადამიანი“, მაშინ საბჭოთა ლიდერები უფრო შორს წავიდნენ, როდესაც დიდი აღტკინებით დაგვიმძლავრეს, რომ „შრომამ უნდა გამოასწოროს ადამიანი“, მაგრამ მათმა მოძღვრებამ არ გაამართლა და უნდა ვაღიაროთ, რომ არავითარი კოლონია და ციხე ვერ გადაწყვეტს ამ პრობლემას. ისინი წყვეტენ მხოლოდ ერთ პრობლემას, — საზოგადოებისაგან დამნაშავეთა იზოლაციას. ყოველგვარი იმედი და რწმენა, რომ ციხის უმთავრესი დანიშნულებაა პატიმართა მონანიების გზაზე დაყენება და მათი გამოსწორება, ილუზიას წარმოადგენს.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, საპატიმრო ადგილები იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებიან. მაგრამ, ჩვენგან განსხვავებით, ცივილიზებულ, დემოკრატიულ და სამართლებრივ ქვეყანაში საპატიმრო ადგილები მთლიანად ციხურ სისტემაზეა გადასული.

აშშ-ის ციხეების შენობები თავიანთი პროექტით, კეთილმოწყობით და საერთო კომფორტით ჩვენს სასტუმროებს არ ჩამოუვარდებიან. ციხის შენობის გარე პერიმეტრზე ვერ ნახავთ სათვალთვალო კოშკურებს და მათზე ავტომატებით შეიარაღებულ გუშაგებს. ციხეები გარშემორტყმულია ოთხი მეტრი სიმაღლის ლითონის ბადეებით და მათ თავზე ეკლიანი მავთულის სქელი რგოლებით, რომლებშიც გადის მაღალი ძაბვის დენი. შენობების მიწისქვეშ ორი მეტრის სიღრმეზე ჩამონტაჟებულია მაღალი ძაბვის სალტეები და კონტროლის სისტემა. ასე რომ, ციხის შენობის ქვეშ გასაქცევი ხვრელის გათხრა საერთოდ შეუძლებელი და გამორიცხულია, ციხის ცენტრალურ სამართავ პულტზე თანამედროვე სახის ყველა საინჟინრო-ტექნიკური საშუალებაა მიერთებული და ავტომატური სიგნალიზაცია ციხის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად მუშაობს. თითოეული პატიმრის ნებისმიერი მიმართულებით გადაადგილება ფიქსირდება ტელევიზორის ეკრანზე. თუ მორიგე ოპერატორი ტელევიზორს არ უყურებს, მაშინ ელექტრონიკა ავტომატურ რეჟიმზე იწყებს მუშაობას და მაშინვე იწყებს გამაფრთხილებელი სიგნალების გადაცემას. თუ ვინმე ციხის გალავანს რვა მეტრის დაშორებით მიუახლოვდება, მაშინ ამის შესახებ კომპიუტერი დაუყოვნებლივ აცნობებს დაცვის მუშაკებს და ისინი დამრღვევებს გაუფრთხილებლად ესვრიან. საერთოდ, ციხეები ისეა ჩარაზულ-ჩაკეტილი, რომ იქ ჩიტიც კი ვერ შეფრინდება და გამოფრინდება.

ციხის სასადილოს მენიუ როგორც პატიმრებისთვის, ასევე ციხის მომსახურე პერსონალისთვის ერთნაირია და ის თითქმის არ განსხვავდება რესტორან „მაკდონალდის“ მენიუსაგან. უსაფრთხოების გარანტიის დასაცავად სასადილოში პატიმრებს არ ამუშავებენ. აქვე დავძენთ, რომ პატიმრების კვებაზე და მათ შენახვაზე სახელმწიფო ერთ ცენტსაც არ ხარჯავს. ციხეში, ვინც არ მუშაობს და, შესაბამისად, არავითარი გამომუშავება არ აქვს, მისი კვებისა და შენახვის ხარჯებს ოჯახი, ნათესავები და ახლობლები ფარავენ. საერთოდ, პატიმრისთვის იქ მუშაობა ნებაყოფლობითაა, მას შეუძლია იმუშაოს თავისი უნარიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე.

ციხეში პატიმართა საკნები უზრუნველყოფილია რადიომიმღებებით, ტელევიზორებით, მაგნიტოფონებით, ტელეფონებით და სხვა სასურველი ნივთებით, რომლებიც პატიმართა ფულითაა შეძენილი. მათ უფლება აქვთ ტელეფონით დაუკავშირდნენ მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქს და ესაუბრონ თავიანთი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, ახლობლებს და ნაცნობ-მეგობრებს. ანგარიშის გამოწერის შემდეგ საუბრებისთვის საფასურს პატიმრები იხდიან.

აშშ-ის ციხე მიზნად არ ისახავს დამნაშავის ხელახლა აღზრდასა და გამოსწორებას. ნებისმიერ დამნაშავეს შეუძლია მღვდლის წინაშე გააკეთოს აღსარება და მოინანიოს თავისი ცოდვები, ან დარჩეს ისეთად, როგორც მას სურს, მაგრამ პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ კვლავ არ ჩაიდინოს დანაშაული და ნორმალურად იცხოვროს.



რამოდენიმე სიტყვით მინდა შევეხო პატიმართა შეწყალების საქმეს. საქართველოში პატიმართა შეწყალების საკითხებს უშიშროების საბჭო კურირებდა, ხოლო მათ განხილვა-გადაწყვეტილებაში პარლამენტართა 16-კაციანი ჯგუფი მონაწილეობდა. შემდეგ ეს პროცესი თითქოსდა დაიხვეწა და ამჟამად იხილავს სპეციალური კომისია, რომლის ყველა გადაწყვეტილებას საბოლოოდ საქართველოს პრეზიდენტი აწერს ხელს.

ჩვენგან განსხვავებით, გფრ-ში ციხეებს ემსახურებიან ე. წ. „სოციალური მუშაკები“, ფსიქოლოგები და მღვდლები, რომლებიც სხვა საკითხების გარდა, პირველ რიგში იხილავენ პატიმართა შეწყალება-გათავისუფლების საკითხებს. სწორედ ამგვარი შემადგენლობის კომისიის მიერ მიღებული საერთო დასკვნის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ციხის ადმინისტრაცია იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ამა თუ იმ პატიმრის შეწყალება-გათავისუფლების შესახებ. ასე რომ, პატიმართა შეწყალება-გათავისუფლებაზე გერმანიის კანცლერის ხელმოწერა საჭირო არ არის.

ისიც ცნობილია, რომ აშშ-ის პრეზიდენტი არავითარ ამნისტიას არ აწერს ხელს, რომ პატიმართა შეწყალება-გათავისუფლების საკითხებს იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის ფედერალური სასამართლო.

ყოველივე ეს ისე განსხვავდება ჩვენს პენიტენციურ სისტემაში ამჟამად არსებული მდგომარეობისაგან, როგორც ცა და დედამიწა. ზოგიერთი საპატიმრო ადგილების შენობები ძალზე მიძველებული პროექტებითაა ნაშენები და, ბუნებრივია, მათი დანიშნულება ძალზე ჩამოუვარდება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. უფრო მეტიც, შენობების უმრავლესობა ამორტიზებულია, საჭიროებს დანგრევას და მათ ნაცვლად ახლის აშენებას. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ თბილისის №1-ლი საგამოძიებო იზოლატორი, რომელიც აშენებულია გასული საუკუნის დასაწყისში მაშინდელი მილიონერის მანთაშოვის მიერ, სადაც მას განთავსებული ჰქონდა ცხენსაშენი. აქ, კომენტარები ზედმეტია.

როდის გავლენ ჩვენი პატიმრები ამ ცხენსაშენიდან?

**გურამ ჩხიკვაძე**

⊙ ინფორმაცია

### პატივი მიაგეს ეროვნულ გმირს

27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღის და საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ხსოვნის დღეს, მის მშობლიურ ქალაქ სენაკის ცენტრალურ პარკში, სადაც აღმართულია ჟიული შარტავას ბიუსტი, დილიდანვე თავი მოიყარეს ქალაქის საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, ფართო საზოგადოების წარმომადგენლებმა, მეზობელი რაიონებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. აქვე იყვნენ ჟიული შარტავას მშობლები ქალბატონი ფენია და ბატონი კალისტრატე, ძმა სოსო, სხვა ახლო ნათესავები...

მათ პატივი მიაგეს ეროვნული გმირის ნათელ ხსოვნას და ცოცხალი ყვავილებით შეამკეს მისი ბიუსტი.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით გაიმართა ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგი.

მიტინგის მონაწილეებმა შემდეგ გადაინაცვლეს აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა სკვერში, სადაც ასევე ყვავილებით შეამკეს გენო ადამიას, ნოდარ კანკიას და გურამ გაბესკირიას ბიუსტები...

დასასრულ, სენაკის იოანე ნათლისმცემელის სახელობის ტაძარში გაიმართა აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვის აღსანიშნავი პარაკლისი.

**იოსებ გოგეჩია,**
„სრ“ საკ. კორ.

### საპროტესტო აქცია სოფელ ვაქირში

**სიღნაღის** რაიონის სოფელ ვაქირის მოსახლეობამ გუშინ საპროტესტო აქცია გამართა. ვაქირელები ყურძნის დაბალ ფასთან ერთად, მის რეალიზაციასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებსაც აპროტესტებენ. ყურძნის მოსავალი სოფელში 3 ათას ტონას აღემატება, ახლომდებარე ღვინის ქარხანას კი ამ რაოდენობის ყურძნის გადამუშავების ტექნიკური საშუალება არ აქვს. მოსახლეობის განცხადებით, რთველი უკვე დასრულებული უნდა იყოს, თუმცა თუ მათი ყურძენი სეტყვას გადაურჩა, დაჭკნობის საშიშროება ემუქრება.

ვაქირელებთან გუშინ სიღნაღის რაიონის გამგებელი ბერდო ასლანიშვილი ჩავიდა. მისი თქმით, მიმდინარეობს ალტერნატიული გზის ძიება და მოლაპარაკებები სხვა რეგიონების ღვინის ქარხნებთან. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნული ქარხნები ყურძნის სოფლიდან გატანას საკუთარი ტრანსპორტით განახორციელებენ.

### ალავერდობა, ალავერდობა...

**ალავერდობის** დღესასწაულის წინ ალავერდის ტაძართან ღამისმთევლები ჯერ კიდევ 27 სექტემბერს გამოჩნდნენ, გუშინ დილით 7.00 საათიდან სადღესასწაულო წირვა-ლოცვა დაიწყო, რომელსაც ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი ასრულებს. დღესასწაულთან დაკავშირებით ტაძრის შემოგარენში ტრადიციულად კარვებია გაშლილი და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული სტუმრები შესაწირის დაკვლის შემდეგ ლხინს მართავენ.

ალავერდობა ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთს იოსებ ალავერდელს უკავშირდება, რომელმაც ალავერდის მონასტერი დააარსა. ღირსი მამა ალავერდშია დაკრძალული.

### მოდი და ამის მნახველს გული ნუ გაგისკდება

**საგამოფენო** დარბაზ „კოპალაში“ მიმდინარე ამერიკელი ფოტოკორესპონდენტის მალკომ ლინტონის ფოტოგამოფენაზე, რომელზეც 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის ამსახველი მასალებია წარმოდგენილი, აფხაზების მიერ 27 სექტემბერს დახვრეტილი სოხუმის მერის გურამ გაბესკირიას ცხედარი მისმა მეუღლემ ჟანა დავითაიამ და შვილებმა ამოიცნეს. როგორც ჟანა დავითაიამ განაცხადა, მას და მის შვილებს ვლადიმერსა და ეკას, ასევე გურამ გაბესკირიას მეგობრებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ სოხუმის დაცემის დღეს სოხუმში მყოფი ამერიკელი ფოტოკორესპონდენტის მიერ გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოზე, სწორედ გურამ გაბესკირიას ცხედარია აღბეჭდილი.

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ფოტოზე გამოსახული გარდაცვლილი მამაკაცი გურამ გაბესკირიაა. ტანის მოყვანილობით, ხელის თითებით ძნელი გასარკვევი არ არის მისი ვინაობის დადგენა. ამას ისიც ემატება, რომ წითელი აჭიმები და ქამარი გურამისია, — აცხადებს გურამ გაბესკირიას მეუღლე ჟანა დავითაია.

ჟანა დავითაიას თქმით, მის ვარაუდს ისიც ამყარებს, რომ ფოტო სოხუმის რაიონის სოფელ აჩადარის შესასვლელთან მდებარე ბენზინგასამართ სადგურთან, ანუ იმ ადგილზეა გადაღებული, სადაც, გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზებმა მთავრობის თავმჯდომარე ჟიული შარტავა და აფხაზეთის მთავრობის 27 თანამშრომელი დახვრიტეს.

გურამ გაბესკირიას ოჯახის არაერთი მცდელობის მიუხედავად, მისი ცხედარის ადგილსამყოფელის შესახებ დღემდე არანაირი ინფორმაცია არ არსებობს.

### „მოძრაობის თეატრის“ მოძრაობა

კახა ბაკურაძის „მოძრაობის თეატრი“ სეზონს 28 სექტემბერს თეატრში „გლობუსი“ სპექტაკლით „ჩუმად, რეპეტიციაა“ გახსნა. როგორც თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთი ბეჟიაშვილმა განაცხადა, „მოძრაობის თეატრი“, რომელიც „მოხეტიალე თეატრია“, მართალია ახალი თეატრალური სეზონი „გლობუსში“ გახსნა, თუმცა ნოემბრის ბოლოს თეატრი მოღვაწეობას სამეფო უბნის თეატრში გააგრძელებს.

### „არევიკი“ თბილისს ოქტომბერში ესტუმრება

**ბავშვთა** შემოქმედების პირველი ფესტივალი „არევიკ 2005“ თბილისის სახელმწიფო დრამატულ სომხურ თეატრში 15 ოქტომბერს გაიხსნება. როგორც ფესტივალის ორგანიზატორები აცხადებენ, ფესტივალის მიზანს ნიჭიერი და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა მხარდაჭერა, ასეთ ბავშვებზე საზოგადოების ყურადღების მობილიზება, სათვისტომოსა და ქვეყნის ცხოვრებაში აქტიურად ჩართვა, მათი რეგიონული ინტეგრაცია და კონსტიტუციური უფლებების დაცვა წარმოადგენს. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია ერთობლივი თამაში ჭადრაკში, ბავშვთა ნახატებისა და ფოტოსურათების გამოფენა, საქველმოქმედო აქცია-კონცერტები და სხვა.

**ინტერპრესნიუსი.**

◎ ბედი და ადამიანები

# აინშტაინის ლაგე



**რას კითხულობდა იგი? ჰუმბოლდტის წიგნებიდან ალბერტს შეეძლო შეეტყო, რომ „დიდი ტელესკოპების მეშვეობით შეგვიძლია შევაღწიოთ ერთდროულად როგორც სივრცეში, ისე, აგრეთვე, დროში“.** ფელიქს ებერტის წიგნში „თანავარსკვლავედი და მსოფლიო ისტორია“ ნათქვამი იყო: „სივრცე და დრო, როდესაც ერთმანეთს ემთხვევიან გრძნობად ჭვრეტაში, უკვე შეუძლებელია მათი გაგება ერთმანეთისაგან განსხვავებულად“. ავტორები ერთ და იმავე საკითხს ეხებოდნენ. XIX საუკუნის ბოლოს ეს თემა ბევრის — დაწყებული მეცნიერებით და დამთავრებული ოკულტისტებით — ფანტაზიას აფორიაქებდა. გამოთქვამდნენ გაბედულ იდეებს: სივრცის სამი ჩვეულებრივი განზომილების გარდა არსებობს, აგრეთვე მათთან მჭიდროდ დაკავშირებული მეოთხე განზომილება — დრო.

სივრცისა და დროის განუყოფლობა საფუძვლად დაედო ფარდობითობის სპეციალურ თეორიას. მაგრამ მის დებულებებთან მიახლოებისათვის საჭირო იყო თეორიულ წინააღმდეგობათა ლაბირინთიდან თავის დაღწევა. გზის მანათობელი ხაზი გახდა სინათლე — თემა, რომელთანაც დაკავშირებულია აინშტაინის მთელი ცხოვრება მეცნიერებაში.

**რას ვხედავთ „დიდ ტელესკოპებში“? უწინარეს ყოვლისა, სინათლის შორეული წყაროების შუქს.** ვიდრე ჩვენი თვალის ბადურამდე მოაღწევდეს, მან უზარმაზარი სივრცე უნდა გადალახოს. ამისათვის საჭიროა დრო, ამიტომ სინათლე ისე იქცევა, როგორც მოგზაური, რომელიც მუდმივი სიჩქარით მოძრაობს: რაც უფრო გრძელია გზა, მით მეტ დროს ატარებს გზაში. დიახ, სინათლის სიჩქარე მეტად სწრაფია, პრაქტიკულად შეუძლებელია მისი წარმოდგენა — დაახლოებით 300 ათასი კილომეტრი წამში. მაგრამ იგი მაინც უსასრულო როდია.

სივრცე, დრო და სინათლე ერთმანეთთან თურმე მჭიდროდ არიან დაკავშირებული. რამდენადაც ახლოს ან შორს უნდა იმყოფებოდეს დედამიწიდან ციური სხეული (სინათლის წყარო), ნებისმიერი მოვლენა იქ ხდება ადრე, ვიდრე ამას დავინახავდეთ. „ჩვენ მუდამ ვხედავთ მხოლოდ წარსულს და არასდროს — აწმყოს“, — წერდა ბერნშტაინი თავის ნაშრომში „საბუნებისმეტყველო წიგნები ხალხისთვის“, მაგალითად, მზის სინათლეს დაახლოებით 8 წუთი სჭირდება დედამიწამდე მოსაღწევად. ეს იმას ნიშნავს, რომ მნათობი ისეთივეა, როგორიც იგი იყო 8 წუთის წინათ. იგი რომ ჩამქრალიყო, მაშინ სიბნელე დედამიწაზე დადგებოდა მხოლოდ 8 წუთის შემდეგ.

ვთქვათ, მზეს აქვს ციფერბლატიანი და ისრებიანი საათის სახე. დროის გასაგებად საკმარისია შევხედოთ ცას. მაგრამ, როდესაც იქ ვხედავთ ზუსტად 12 საათს, სინამდვილეში თვით მზეზე ისრები უკვე 8 წუთით წინ წავიდნენ — იქ უკვე 12 საათი და 8 წუთია. იმისათვის, რომ დედამიწის ბინადართ ვუჩვენოთ ზუსტი დრო, საათის ისრებმა 8 წუთით უნდა იჩქარონ. ყველაფერი ეს აინშტაინამდე ადრე გაანგარიშებული იყო.

მაგრამ, მანამდე ვერავინ შეძლო შეეცნო მთავარი ფარდობითობის თეორიის გასაგებად: სანამ მზე-ციფერბლატის „სურათი“ ჩვენამდე მოაღწევს სინათლის სხივთან ერთად, მასზე ისრების მდგომარეობა არ იცვლება! დროის მომენტი, რომელიც სინათლესთან ერთად გადაადგილდება, ჩერდება, იგი თითქოს გაყინესო. სინათლის სიჩქარე სასრულია იმიტომ, რომ სინათლეს არ ძალუძს დროს გაუსწროს. სხვაგვარად არ შეგვეძლო დაგვენახა მოვლენები, რომლებიც ჯერ არ მომხდარა. ჯანსაღი აზრი კი ამას ყოველნაირად ეწინააღმდეგება.

## ეს კითხვა თავში შეიძლება მოსვლოდა მხოლოდ ბავშვს: რას დავინახავთ, თუ სინათლის სხივზე გავფრინდებით?

მაგრამ რა ხდება რეალური ობიექტების, მაგალითად, იმავე საათის მიმართ, კოსმოსში რომ მოძრაობს? ფარდობითობის თეორიის ერთ-ერთი საოცარი პარადოქსი: საათი მით უფრო ნელა მუშაობს, რაც უფრო სწრაფად ფრინავს იგი სივრცეში. ამიტომ, რაც მეტად ახლოა სინათლის სიჩქარესთან, მით უფრო ძლიერად ნელდება მისი მუშაობა — გაჩერების ჩათვლითაც კი.

**აი კითხვა, რომელიც გონებაში უტრიალებდა მომავალ მეცნიერს ჯერ კიდევ სკოლაში: რა მოხდება, თუ ვიმოძრავებთ სინათლის სხივის კვალდაკვალ?** ან მასზე შემჯდარი? მაშინ როგორ სამყაროს ვიხილავთ — ერთ ადგილზე გაჩერებულს, როგორც უძრავ ნიმუშს, როგორც ფერად სლაიდს? თუ იგი მუდამ ხილული იქნება ჩვენთვის, როგორც ფილმი ერთმანეთის შემცვლელი სინამდვილის კადრებით? მოაღწევენ კი ჩვენამდე ყოველთვის ერთი და იმავე სიჩქარით (სინათლის სიჩქარით) ჩვენი საკუთარი მოძრაობის მიუხედავად?

საერთოდ კი დროა დავუფიქრდეთ ასეთ კითხვას: ვინ ან რა მოდის მოძრაობაში, როდის ვამბობთ „მოძრაობს“? გალილეის ფარდობითობის კლასიკური პრინციპის მიხედვით, ყველა სხეული ერთმანეთის მიმართ მოძრაობს. თუ ბაქნის გასწვრივ (აინშტაინის მიერ მოხმობილი მაგალითი) მიდის მატარებელი, ბაქანზე მდგარი ადამიანებისათვის მატარებელი მოძრაობაშია, ხოლო ვაგონში მსხდომი მგზავრებისათვის მოძრაობს ბაქანი მასზე მდგომ ადამიანებთან ერთად.



ალბერტ აინშტაინი — ლუიტპოლდის გიმნაზიელი

ყველაფერი ესოდენ მარტივია, მაგრამ შედეგებმა შესაძლოა კარგა შორს წაგვიყვანოს: გამოდის, რომ ობიექტური დამკვირვებელი საერთოდ არ არსებობს! თითოეულ მხარეს შეუძლია ამტკიცოს, რომ იგი უძრავადაა, ხოლო მის მიმართ მეორე მხარე მოძრაობს.

სავსებით ლოგიკურია ფარდობითობის კლასიკური პრინციპის მეორე პუნქტიც — სიჩქარეთა შეკრების კანონი. თუ ორი მატარებელი საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს, ერთი საათში 50 კმ სიჩქარით, ხოლო მეორე — 100 კმ სიჩქარით, შეგვიძლია მათი სიჩქარეები შევკრიბოთ და ვთქვათ: თითოეული მატარებელი ერთმანეთის მიმართ მოძრაობს საათში 150 კმ სიჩქარით.

კლასიკური მექანიკის ფარგლებში ყოველნაირი სხეული თავისი საკუთარი სამყაროს შიგნით მუდამ უძრავ მდგომარეობაში იმყოფება, მაშინ, როდესაც სხვა სხეულები მის მიმართ მოძრაობენ. მიმავალი მატარებელი და თვითმფრინავი თავიანთ თავში უძრავნი არიან. ვაშლი მატარებლისა და თვითმფრინავის სალონში ისეთნაირად ვერტიკალურად ვარდება ძირს, როგორც ბაქანზე. ბუნების კანონები დამოუკიდებელი არიან მოძრაობის ფაქტისაგან — მანამდე, სანამ ისინი თანაბარზომიერნი რჩებიან. მაგრამ ეს ასეა, როდესაც საქმე ეხება ელექტროდინამიკას, რომელსაც შეხება აქვს ელექტრონების ან სინათლის სიჩქარესთან? ეს გახლდათ აინშტაინისდროინდელი მეცნიერების ერთ-ერთი გადაუწყვეტელი საკითხი.

თავდაპირველად არც აინშტაინი აპირებდა ახლებურად განესაზღვრა დროისა და სივრცის ცნებები. იგი ცდილობდა კამათი გაემართა იმათთან, რომლებიც უკვე ცნობილ მეცნიერულ და მეცნიერებამდელ თეორიებს აყენებდნენ. ცნებათა გადახედვის აუცილებლობამდე მივიდა მხოლოდ წიგნთა დერბებს შორის ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ. ამან კი რევოლუცია მოახდინა მეცნიერებაში.

წინააღმდეგობა მსოფლიოს ფიზიკურ სურათზე, რომლის აგებასაც აინშტაინი აპირებდა, ვლინდებოდა ასეთი მაგალითის განხილვისას. ვთქვათ, ორი ციური სხეული კოსმოსში მიფრინავს ერთმანეთთან შესახვედრად, სინათლის სიჩქარის 75 პროცენტის სიჩქარით. მაშინ, სიჩქარეთა შეკრების პრინციპის მიხედვით, მათი შეფარდებითი სიჩქარე შეადგენს სინათლის სიჩქარის 150 პროცენტს. მაგრამ აინშტაინამდე დიდიხნით ადრე გასაგები იყო, რომ შეფარდებითი სიჩქარე იმავე დროს ობიექტურ სიდიდეს წარმოადგენს.

**სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით: აინშტაინი თავის ძიებებში მარტო არ ყოფილა** — მას ნიადაგ მხარში ედგნენ ერთგული თანაშემწეები, საერთოდ ბედი ჰქონდა გარემომცველ ადამიანთა და ახლო ადამიანთა თანადგომის მხრივ როგორც მეცნიერებაში, ისე ცხოვრებაში.

1896 წელს, ციურიხის პოლიტექნიკუმში შესვლისას, აინშტაინი გაეცნო მილევა მარიჩს. იგი გახლდათ ერთადერთი გოგონა ჯგუფში, ჰქონდა იმ დროისათვის განსაკუთრებული მოწინავე შეხედულებანი და იზიარებდა ალბერტ აინშტაინის ჭაბუკურ სწრაფვას თავისუფალი ცხოვრების წესისადმი. ამასთან ინტელექტუალური თვალსაზრისით პრაქტიკულად ტოლს არ უდებდა მას.

უფრო მოგვიანებით, 1899 წლიდან, ალბერტი და მილევა უკვე შეყვარებული არიან, ერთმანეთს წერენ სასიყვარულო ბარათებს („კვირას, ბოლოს და ბოლოს, ვეამბორებით ერთმანეთს!“). 1987 წელს, როდესაც მათი მიმოწერა გამოქვეყნდა, მაშინვე იშვა ვარაუდი: აინშტაინი მილევას ხომ არ უნდა უმადლოდეს თავის ადრეულ წარმატებებს მეცნიერებაში?

**იურგენ ნეფფე**

GEO

**2005 წლის სექტემბერი №9**

**(გაგრძელება იქნება).**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 225.

# გადადგა ახალი ორლეანის პოლიციის შეფი

**მოულოდნელად გადადგა ახალი ორლეანის პოლიციის შეფი სუპერინტენდანტი ედი კომპასი.**

„ყველამ, ვინც ხელმძღვანელ თანამდებობაზე იმყოფება, უნდა იცოდეს, თუ როდის გადასცეს სხვას მმართველობის სადავეები“, — განუცხადა კომპასმა ჟურნალისტებს, თუმცა ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესახებ არანაირი დაწვრილებითი ინფორმაცია მათთვის არ მიუცია.

ოთხი კვირის წინათ, მას შემდეგ, რაც ქალაქს თავს დაატყდა ქარიშხალი „კატრინა“, ახალი ორლეანი ქაოსმა მოიცვა: იქ დათარეშობდნენ მაროდიორები და შეიარაღებული ბანდები.

ვითარება გაუმჯობესდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქალაქში შეიყვანეს ეროვნული გვარდიისა და რეგულარული არმიის ქვედანაყოფები.

მანამდე კი ქალაქის პოლიციის სამმართველოს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ იმ 250 სამართალდამცველის მიმართ, რომლებიც არ გამოსულან სამუშაოზე ქარიშხლის შემდეგ, დაიწყებოდა გამოძიება. ეს 250 კაცი პოლიციის თანამშრომელთა საერთო რიცხვის დაახლოებით 15 პროცენტს შეადგენს. მათ შეიძლება დაეკისროთ დისციპლინური სასჯელი ნებართვის გარეშე სამუშაოს გაცდენის გამო.

მაგრამ ქალაქის პოლიციის უფროსის მოადგილემ უორენ რეილიმ განაცხადა, რომ ხელისუფლება ყველა საქმეს ინდივიდუალური წესით განიხილავს, რათა გაარკვიოს, ჰქონდათ თუ არა საპატიო მიზეზები იმ პოლიციელებს, რომლებიც სამუშაოზე არ გამოცხადებულან.

კომპასთან ერთად ჟურნალისტებს შეხვდა ახალი ორლეანის მერი რეი ნეიგინიც, რომელმაც აღნიშნა: „ახალი ორლეანის ცხოვრებაში ეს სამწუხარო დღეა, როცა გმირი იღებს ასეთ გადაწყვეტილებას.

„გთხოვთ, პატივი სცეთ ჩემს პირად ცხოვრებას, ჩემს გადაწყვეტილებას და დამტოვოთ საკუთარ თავთან მარტო“, — განუცხადა თავის მხრივ ჟურნალისტებს ქალაქის პოლიციის უკვე ყოფილმა უფროსმა.

სანამ ქალაქის პოლიციის შეფი გადადგომის შესახებ განცხადებას გააკეთებდა, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო სიტუაციათა ეროვნული სააგენტოს ყოფილმა ხელმძღვანელმა მაიკლ ბრაუნმა ახალ ორლეანში მომხდარი ტრაგედიის გამო, გარკვეულწილად, ლუიზიანის შტატის და ქალაქის ხელმძღვანელებიც დაადანაშაულა.

თვით ბრაუნმა დატოვა თანამდებობა ამ მოვლენებიდან მცირე ხნის გასვლის შემდეგ. მისი ეს გადაწყვეტილება მკაცრად გააკრიტიკეს, თუმცა, მაშინ კრიტიკა გაისმოდა არა მარტო ბრაუნის, არამედ ქვეყნის მთელი ფედერალური ხელისუფლების მისამართითაც. კერძოდ, გაზეთებში წერდნენ, რომ ბრაუნს არ ჰქონდა საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევები და საგანგებო სიტუაციათა სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე იგი მხოლოდ ჯორჯ ბუშთან პირადი მეგობრობის წყალობით დანიშნეს.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ შექმნილი კომისიის სხდომაზე გამოსვლისას, რომელიც იძიებს ახალ ორლეანში მომხდარ მოვლენებს, ბრაუნმა აღიარა, რომ მის სინდისზეც არის რამდენიმე შეცდომა, მაგრამ მთავარი პრობლემა, თქვა მან, არის ის, რომ ლუიზიანის შტატის ხელმძღვანელობამ დროულად არ გასცა ბრძანება ადამიანების ევაკუაციის შესახებ. ამაში, ბრაუნის აზრით, ბრალი მიუძღვით ლუიზიანის შტატის გუბერნატორს კეტლინ ბრანკოს და ახალი ორლეანის მერს რეი ნეიგინს, რომლებმაც ვერ შეძლეს თავიანთი მოქმედების კოორდინირება.

ბრაუნის მტკიცებით, მისდამი დაქვემდებარებული უწყების მისამართით გამოთქმული კრიტიკა უსამართლო იყო: მაშველები, უბრალოდ, ვერ შეძლებდნენ ბრძოლას ქალაქში დამნაშავეების წინააღმდეგ. თუმცა, ამის საპასუხოდ ერთ-ერთმა კონგრესმენმა განაცხადა, რომ ბრაუნი ცდილობს სხვა დაადანაშაულოს შეცდომებში, მაშინ, როცა მისდამი დაქვემდებარებულმა უწყებამ თვითონ დაუშვა უამრავი შეცდომა.



# მოკლედ

**ფოლკლენდის კუნძულებზე პინგვინები ბუდეებს იკეთებენ ყოფილ დანაღმულ მინდვრებზე. ასეთ მინდვრებზე ველური ფრინველების რაოდენობა სულ უფრო მეტად იზრდება და ეკოლოგები არ მალავენ თავიანთ სიხარულს იმ ბუნებრივი ზონების დაცვის ასეთი უჩვეულო ფორმის გამო, რომლებსაც წინათ ადამიანები საძოვრებად იყენებდნენ. 150 დანაღმული მინდორი წარმოიქმნა 1982 წელს დიდ ბრიტანეთსა და არგენტინას შორის მიმდინარე ომის დროს.**

* * *

**„აბუ გრეიბის“ საპყრობილეში პატიმრების წამების გამო 22 წლის ამერიკელ სამხედრო მოსამსახურე ქალს — ლინდი ინგლანდს სასამართლომ 3 წლის პატიმრობა მიუსაჯა. იგი ბრალდების შვიდი პუნქტიდან, ექვსის მიხედვით ბრალეულად ცნეს. შეიძლება ითქვას, რომ განაჩენი საკმაოდ ლმობიერი იყო, რადგან ასეთი დანაშაულისთვის ლინდი ინგლანდს 10 წლამდე ვადით პატიმრობა ემუქრებოდა.**



* * *

**იაპონელებმა მსოფლიოში პირველებმა შეძლეს ბუნებრივ გარემოში აღებეჭდათ ვიდეოფირზე ოკეანეში ღრმა წყლების ერთ-ერთი ყველაზე იდუმალებით მოცული ბინადარი — გიგანტური კალმარი. აქამდე ამ მოლუსკების შესახებ მთელი ინფორმაცია ეფუძნებოდა მხოლოდ მათი ლეშის გამოკვლევას.**

* * *

**იაპონიაში აპირებენ სახელმწიფო მოსამსახურეთა რიცხვის ერთიორად შემცირებას. ეს მოხდება 10 წლის განმავლობაში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების შემდეგ გამართულ ქვედა პალატის საფინანსო პოლიტიკის მრჩეველთა კომიტეტის პირველ სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა იაპონიის პრემიერ-მინისტრი ძიუნიტირო კოიძუმი.**



# ისრაელი კვლავ ბომბავს ღაზის სექტორს

**ისრაელის ავიაციამ ახალი დარტყმები მიაყენა ღაზის სექტორს, რის გამოც ქალაქ ბეით-ჰანუნს ელექტროენერგია შეფერხებებით მიეწოდებოდა. ამავე დროს, თვით ღაზაში დაბომბეს რამდენიმე ობიექტი.**

ისრაელის ავიაციამ თავდასხმა განახორციელა იმის მიუხადავადაც კი, რომ ჰამასის გასამხედროებული დაჯგუფების ლიდერებმა განაცხადეს, რომ დაიცავდნენ დაზავების პირობებს, თუ ისრაელი შეწყვეტდა სამხედრო ოპერაციას.

სამშაბათს ჰამასმა გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილი იყო ებრაელი მეწარმე. იგი გასულ კვირას გაიტაცეს და მოგვიანებით მკვდარი იპოვეს. თვალახვეული სასონ ნურიელი გადაღებული იყო ჰამასის მწვანე დროშის ფონზე.

საჰაერო დარტყმების გარდა, ისრაელის ავიაციამ არტილერიის ცეცხლი დაუშინა ღაზის სექტორის ჩრდილოეთ ნაწილს მას შემდეგ, რაც სამხრეთ ისრაელში მდებარე ქალაქ სდეროთის მიმართულებით ღაზის სექტორიდან გაისროლეს რაკეტა.

საჰაერო დარტყმებისთვის სამიზნეებად შეარჩიეს ის შენობა-ნაგებობები, რომლებიც, ებრაელ სამხედროთა მტკიცებით, უკავშირდებოდნენ გასამხედროებული დაჯგუფების საქმიანობას ქალაქ ღაზასა და მის მიდამოებში.

ისრაელის რეიდები დაიწყო გასულ კვირას, როცა ამ ქვეყნის ტერიტორიას ღაზის სექტორიდან დაუშინეს რაკეტები.

მას შემდეგ, რაც ისრაელმა გამოიყვანა ჯარები ღაზის სექტორიდან და დაასრულა ამ ტერიტორიის 38-წლიანი ოკუპაცია, ორ კვირაზე ოდნავ მეტი გავიდა.

გასამხედროებული დაჯგუფება ჰამასი წინათ აცხადებდა, რომ შეწყვეტდა ისრაელისთვის რაკეტების დაშენას. მის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმული იყო, რომ გასულ კვირას ისრაელის ტერიტორიისთვის რაკეტების დაშენა გახდა პასუხი იმ 15 ადამიანის მკვლელობისთვის, რომლებიც პარასკევს დახოცეს ჰამასის წევრთა დემონსტრაციის დროს. თვით ისრაელი უარყოფს თავის მონაწილეობას ამ ადამიანების დაღუპვაში.

ისრაელის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ასევე აღნიშნავენ, რომ დააპატიმრეს 82 კაცი, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან დასავლეთ ნაპირზე გასამხედროებულ დაჯგუფებებთან კავშირში. როგორც რეგიონიდან იტყობინებიან, ამ ბოლო სამი დღის განმავლობაში ებრაელმა სამხედროებმა 300-ზე მეტი კაცი დააკავეს.



# მილანში PARMALAT-ის საქმის პროცესი იწყება

**მილანში დაიწყო Parmalat რძის კონცერნის დამაარსებლის და მისი ყოფილი ხელმძღვანელის კალისტო ტანცის სასამართლო.**

მას ბრალად ედება ცრუ ფინანსური ინფორმაციის მიწოდება და ინვესტორების შეცდომაში შეყვანა.

წარსულში კონცერნი მოქმედებდა მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში და მასში 36 ათასზე მეტი თანამშრომელი მუშაობდა. მაგრამ დაახლოებით ორი წლის წინათ, კომპანიის ირგვლივ აგორდა სკანდალი, რომლის დროსაც გაირკვა, რომ მის ანგარიშებზე აკლია რამდენიმე მილიარდი დოლარი.

იტალიელი გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ კომპანიის ხელმძღვანელებმა შექმნეს ფინანსური მაქინაციების მთელი სქემა კომპანიის ქვედანაყოფების ორმხრივი დაკრედიტების გზით. კერძოდ, საქმე ეხება კაიმანის კუნძულებსა და სხვა შორეულ ქვეყნებში რეგისტრირებულ მის შვილეულ კომპანიებს, რის შედეგადაც, შეძლეს ხელოვნურად გაებერათ ფირმის აქტივები.

2003 წლის დამლევს კომპანიამ აღიარა, რომ სახსრების ნაწილი მას მხოლოდ ქაღალდზე აქვს, ანგარიშები კი, რომლებზეც, ვითომდა, დარიცხული იყო 4 მილიარდი ევრო, საერთოდ არ არსებობს.

ფირმამ მოითხოვა, რომ იგი გაკოტრებულად ეცნოთ, რის გამოც, 135 ათასმა იტალიელმა, კომპანიის აქციების მფლობელებმა, სერიოზული დანაკარგები განიცადეს.

მას შემდეგ, განხორციელდა Parmalat-ის რეკონსტრუქცია და ახლა მას მართავს იტალიის მთავრობის მიერ დანიშნული ადმინისტრატორი.

ტანცი ფირმის წინაშე წამოჭრილ პრობლემებში ადანაშაულებს თავის მრჩევლებს და ამტკიცებს, რომ არ იცოდა საქმის ნამდვილი მდგომარეობა.

Parmalat-ის საქმეში გარეული არიან კომპანიის რამდენიმე წამყვანი მენეჯერი და Grant Thornton სააუდიტორო კომპანიების წარმომადგენლები.


# განცხადება

**შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს ბილეთის მოლარის თანამდებობებზე თანამშრომელთა რეზერვის შექმნის მიზნით, მათი შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.**

კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. ფოტოსურათი;
3. შრომის წიგნაკის ასლი;
4. მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
5. საკონტაქტო ტელეფონი.

აუცილებელი პირობებია უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური განათლება, კომპიუტერის ცოდნა, სასურველია უცხო ენის ცოდნა.

საბუთების მიღება იწარმოებს 2005 წლის 25 სექტემბრიდან 2005 წლის 10 ოქტომბრამდე ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 18.00 საათამდე, შემდეგ მისამართებზე:

**გორში: გორიჯვრის ქ. №19 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 7-71-97.**

**სამტრედიაში: თამარ მეფის ქ. №3 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-07-58, 56-07-62.**

**სენაკში: ჭავჭავაძის ქ. №70 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-02-22.**

**ზუგდიდში: ქუჯის ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-01-61.**

**ფოთში: რეკვავას ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-00-82.**

**ქობულეთში: ალმაშენებლის ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-16-11.**

**ბათუმში: მაზმიშვილის ქ. №5 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-15-56.**

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ თბილისში შემდეგ ნომრებზე: **56-42-33, 56-58-62, 56-47-17.**



# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

## მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

## საიდენტიფიკაციო ნომერი: KTS/204 მსოფლიო ბანკის კრედიტი № 3701-GE

## ქ. ქუთაისში სულხან-საბას და წერეთლის ქუჩების კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით

ა) **ქ. ქუთაისში სულხან-საბას ქუჩის კაპიტალური შეკეთების** სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს დაახლოებით 30000 $м^2$ მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარის და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი № KTS/204/01). სამუშაოების ხანგრძლივობაა 3 თვე.

ბ) **ქ. ქუთაისში წერეთლის ქუჩის კაპიტალური შეკეთების** სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს დაახლოებით 40000 $м^2$ მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარის და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას, 1400 გრძ.მ. წყალსადენის განშტოებების მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი № KTS/204/02). სამუშაოების ხანგრძლივობაა 5 თვე.

კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ განაცხადი ორივე ან ნებისმიერი ერთ-ერთი კონტრაქტისათვის.

2. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების შესაბამისად (1995 წლის გამოცემა, განახლებული 1996, 1997 და 1999 წლებში). ადგილობრივ კონტრაქტორებს მიენიჭებათ პრეფერენციული შეღავათი.

3. კონკურსის მონაწილის მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა უნდა იყოს:

კონტრაქტი № KTS/204/01: მინიმუმ 4,300,000 (ოთხმილიონსამასიათასი) აშშ დოლარი ან ეკვივალენტი;

კონტრაქტი № KTS/204/02: მინიმუმ 3,900,000 (სამიმილიონცხრაასიათასი) აშშ დოლარი ან ეკვივალენტი.

მინიმალური ლიკვიდური აქტივებისა და კრედიტის მოზიდვის საშუალებების თანხა (კონკურსის მონაწილის სხვა ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო თანხის გამოკლებით) უნდა იყოს:

კონტრაქტი № KTS/204/01: მინიმუმ 700,000 (შვიდასიათასი) აშშ დოლარი ან ეკვივალენტი;

კონტრაქტი № KTS/204/02: მინიმუმ 900,000 (ცხრაასიათასი) აშშ დოლარი ან ეკვივალენტი.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: **იეთიმ გურჯის ქ. № 7ბ, თბილისი, 0105, ტელ: 94-32-40; 94-29-47, 94-34-70, 92-34-69 ფაქსი: 94-04-39,** თითოეული კომპლექტისათვის (რომელიც შეიცავს ორივე კონტრაქტს) აუნაზღაურებადი 180 ლარის (ან 100 აშშ დოლარის) გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

ბანკი „რესპუბლიკა“, გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი: 220101757

ლარის ანგარიში № 3834080001

დოლარის ანგარიში № 334180001

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

კონკურსანტის მოთხოვნის საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება მითითებულ მისამართზე ფოსტით. თუკი კონკურსანტი მოითხოვს საკურიერო მომსახურებას, დოკუმენტები გაიგზავნება საკურიერო ფოსტით მიმღების ხარჯზე. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

5. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. № 7ბ, თბილისი 0105, არაუგვიანეს 2005 წლის 3 ნოემბრის 13 საათისა.** ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს **წინადადების საბანკო გარანტია 26000 (ოცდაექვსიათას) ლარზე** (ან ეკვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში) კონტრაქტი № KTS/204/01-სთვის, და **39000 (ოცდაცხრამეტიათას) ლარზე** (ან ეკვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში) კონტრაქტი № KTS/204/02-სთვის. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, იეთიმ გურჯის ქ. № 7ბ, 0105 თბილისი, 2005 წლის 3 ნოემბერს 13 საათზე** კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

6. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილი იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

◎ წალკა

# ავადმყოფი საავადმყოფო...

**წალკის რაიონის საავადმყოფო ერთ დროს კეთილმოწყობილი იყო. ახლა კი 240 ავადმყოფზე გათვლილი საავადმყოფო დღეს ოც საწოლზეა გათვალისწინებული. მაგრამ „ყინული“ წალკაშიც გალღვა და საპროექტო-სამშენებლო შპს „ინტექსმა“, თამაზ გოცირიძის ხელმძღვანელობით, სარემონტო სამუშაოები ითავა. ავარიული შენობა, რომელიც თორმეტი წლის მანძილზე სავალალოდ გამოიყურებოდა, დღეს კაპიტალურად რემონტდება.**

ამას წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ „რა ხდება წალკის საავადმყოფოში“, უკვალოდ არ ჩაიარა, მას რამდენიმე ორგანიზაცია გამოეხმაურა, მათ შორის ფონდი „კურაციო“, რომლის პროექტის მენეჯერია ბატონი ლევან ჯიჯეიშვილი, პროექტის ხელმძღვანელი — ქალბატონი ნატალია ზაქარეიშვილი. მათ საავადმყოფოსა და 7 სამედიცინო ამბულატორიას დახმარება აღმოუჩინეს, რაც დიდი სტიმულია მედპერსონალისთვის. კონკრეტულად: ნავთობსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ შვიდ სამედიცინო ამბულატორიას შეეწივნენ სამედიცინო აპარატურითა და საჭირო ხელსაწყოებით, შპს „დიაგნოსტიკური ცენტრის“ მუშაკები და მოსახლეობა დიდად ემადლიერებიან ფონდ „კურაციოს“ ხელმძღვანელობას, იტოვებენ იმედს, რომ ის კვლავაც მათ გვერდით იქნება.

დიდი ხანი არ არის, რაც საავადმყოფოს ხელმძღვანელობს სოხუმიდან დევნილი ექიმი დიმიტრი მიმინოშვილი. მას იმედი აქვს, რომ გულისხმიერი ადამიანების წყალობით საავადმყოფო კვლავ კეთილმოეწყობა და ისევ სრულად ჩადგება ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში. საავადმყოფოს აღორძინებისთვის თანამშრომლებიც თავდაუზოგავად იბრძვიან. მათი უმრავლესობა დაარსების დღიდან (1983 წლიდან) მუშაობს აქ. თავისი საქმის პროფესიონალები არიან დერმატოლოგ-ვენეროლოგი ალექსანდრე ტანასოვი; ქირურგი, განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი იპოლიტე ტერსენოვი; ოტოლარინგოლოგი — ლენჟეტ შაროიანი. მათ ბოლო ათი წლის მანძილზე ელემენტარული სამუშაო პირობებიც კი არ ჰქონდათ, უხელფასობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. უამრავი პრობლემა დაუგროვდა საავადმყოფოს. ძირითადი კი ის სიცოცხლო პირობების უქონლობა იყო, რასაც უშუქობა და უწყლობა ჰქვია. მოგეხსენებათ, წალკა საკმაოდ ცივი კლიმატით გამოირჩევა და საავადმყოფო შუქის გარეშე დიდ პრობლემებს აწყდება. ქირურგიულში დანთებული შეშის ღუმელი უხერხულობასთან და საფრთხესთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება ქირურგიულ ხელსაწყოებს, ოცი წლის წინანდელია, ახალი აღჭურვილობა კი მხოლოდ ოცნების საგანია.

მოძველებული ქირურგიული ინსტრუმენტების გამო საავადმყოფო მძიმე ავადმყოფებს ვერ იღებდა. უახლოესი საავადმყოფო კი თეთრი წყაროს რაიონშია — 60 კილომეტრზე. ამ გზის გავლის შემდეგ ავადმყოფს ექიმი ხშირად აღარც კი სჭირდებოდა (თუმცა, ამას წინათ გახსნილმა სასწრაფო დახმარების სამსახურმა ბევრ ადამიანს ჯანმრთელობა შეუნარჩუნა). როგორც ექიმებმა ჩვენთან საუბარში განმარტეს, „შპს“-ს დაარსება წალკის რაიონში არ ამართლებს და მედპერსონალს უამრავ პრობლემას უქმნის. მაღალმთიანი რაიონებისთვის გამოყოფილია დამატებითი ხარჯები: ზღვის დონიდან 1200 მეტრზე — 50 პროცენტი დანამატი, 1700 მეტრზე — 70 პროცენტი. წალკა ზღვის დონიდან 1650 მეტრზეა. ასე რომ, წალკა „ოქროს შუალედშია“ და ვერ გადაუწყვეტიათ, თანამშრომლებზე ფულადი დანამატი რამდენი გამოყონ.

წალკის რაიონში ინტენსიურად მიმდინარეობს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ სახლების შესყიდვა მაღალმთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებულების და სპეციალისტებისთვის. თუმცა, სპეციალისტებში, მხოლოდ პედაგოგები შედიან. საავადმყოფოს ხელმძღვანელი, მთავარი ექიმი **დიმიტრი მიმინოშვილი:** — „მივესალმები მოსახლეობის დამკვიდრებას და სახლების დაკანონებას. გვიხარია, რომ პედაგოგებისთვის სახლები შეისყიდეს, მაგრამ სანამ ბავშვი სკოლაში წავა, ჯერ სამშობიაროში უნდა გაჩნდეს და შემდგომშიც ადამიანის ჯანმრთელობაზე ექიმებმა უნდა იზრუნონ. კარგი იქნებოდა, ჩამოსული ექიმებისთვისაც თუ რამდენიმე ბინას შეისყიდიან“.





საავადმყოფოს სპეციალისტები სჭირდება და კარგი იქნება, თუ გამოეხმაურებიან ანესთეზიოლოგი, ოფთალმოლოგი, ნევროპათოლოგი, ენდოკრინოლოგი, ონკოლოგი, ფარმაცევტი.

ქვემო ქართლის რეგიონი და გამგეობა სპეციალისტებს დაბინავებაში იმ შემთხვევაში დაეხმარება, თუ ისინი საცხოვრებლად გადმოვლენ წალკაში. ჩვენ კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდით მათ, ვინც საავადმყოფოს კეთილმოწყობისთვის ზრუნავს. იმედია, სპეციალისტებიც გამოეხმაურებიან ამ წერილს და ხელისუფლებისგანაც ექნებათ გარკვეული ხელშეწყობა.

**ნაზი მეშველიანი,**
**გაზეთ „წალკის უწყებანის“ მთავარი რედაქტორი.**

**სურათებზე:** **საოპერაციო ბლოკი და საპროცედურო გარემონტებამდე.**

# მამაპაპისეულ რჯულზე მოიქცნენ

**ოსმალეთის უღელს გამოექცნენ ბერძნები და სომხები ამ ორასი წლის წინათ. საქართველომ მათ კარი გაუღო და ღვიძლი ძმებივით მიიღო.**

თორმეტი წლის წინათ ბერძნებმა ისტორიულ სამშობლოს, ელადას მიაშურეს. წალკაში კი, მათ დაცარიელებულ სახლებში, პირველად ხულოს რაიონის მოსახლეობა ჩამოსახლდა. აჭარლები დამანგრეველ სტიქიას გამოექცნენ და უკეთესი მომავლის იმედით ამ რაიონში დამკვიდრდნენ. ბევრმა ისლამის მიმდევარმა აჭარელმა ამის შემდეგ გადაწყვიტა წინაპრის სარწმუნოება დაებრუნებინა.

დღეს წალკაში მართლმადიდებელ ქართველ და ბერძენ მრევლს ახლადმონათლული აჭარლებიც შეემატნენ. მათი ნათლიები ადგილობრივი ბერძნები და ახლადჩამოსახლებული სვანები არიან. ნათლობის საიდუმლო რიტუალი უმეტესად წალკის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში სრულდება. ახლახან იქ ექიმი დავით ხიმშიაშვილი, პატარა საბა და ანა გორგაძეები, თბილისის ანჩისხატის ეკლესიაში კი მანანა და გიორგი აბულაძეები მოინათლნენ.

ბედნიერი ყოფილიყოს მათი მამაპაპისეულ სარწმუნოებასთან დაბრუნება.

**სურათზე: ნათლობის შემდეგ წალკის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიასთან: დათო ხიმშიაშვილი — ახლადმონათლული, მამა ავთანდილ გულაშვილი — მღვდელი, დედაო მარიონელა (ნიგურიანი), ანა გორგაძე — ახლადმონათლული.**



◎ გვწერენ

# როცა ლაფში ჩაფლულ მანქანას მშივრები აწვებიან

**მინდა ორიოდ სიტყვით ჩვენს პრეზიდენტს შევეხმიანო. თუ ხმას მივაწვდენ, ხომ კარგი, თუ არადა...**

ბატონო მიხეილ!

მადლობა იმისთვის, რომ ძველ ხელისუფლებას დაუპირისპირდი, გადააგდე. ხალხი დაგიდგა გვერდით. ეს არის ძალა. მარტო ვერ გადააგდებდი. ესე იგი, დღესაც უნდა იყო ხალხთან.

რას ნიშნავს ხალხთან ყოფნა?

მთავრობა ისე უნდა ცხოვრობდეს, როგორც ხალხის უმრავლესობა. მთავრობა ვალდებულია, ყველა ჩააბას საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაში და გახადოს მატერიალურად უზრუნველყოფილი.

მთავარმა კანონმდებელმა და კანონმდებლებმა ყოველ კანონს საფუძვლად მორალი უნდა დაუდონ. უვარგისი, ამორალური კანონი უვარგისი და ამორალური ცხოვრებაა.

ყველაფრის გაყიდვა შეიძლება, გარდა სინდის-ნამუსისა, — ამბობს ბენდუქიძე. ეტყობა სინდის-ნამუსით არის გატენილი და არ ყიდის. ხოლო მშივრებს, გამხდრებს სინდის-ნამუსი გაუყიდიათ და ამიტომ გამოიყურებიან მათხოვრულად.

ნებისმიერი ობიექტის ყიდვა-გაყიდვა იმ კოლექტივთან უნდა იყოს შეთანხმებული, ვინც იქ მუშაობს, რომ არ დარჩნენ უმუშევრები, უხელფასოები, მშივრები. არადა, ასე არ ხდება.

თქვენ სახელმწიფო ტალახში ჩაფლულ მანქანას შეადარეთ. ჩამოდით, ნუ ამძიმებთ სახელმწიფოს, ერთად მივაწვეთ და ამოვიდეთ ტალახიდანო.

სახელმწიფო, ეს არის მშრომელი ადამიანები. სამწუხაროდ, ყველა არ ზის ამ მანქანაში. სხედან მხოლოდ მთავრობის წევრები, დეპუტატები, მილიონერები. თბილად ჩაცმულები, დახურულები, ხოლო მშრომელი ადამიანები (უმუშევრები, უხელფასოები) თვითონ არიან ტალახში ჩაფლული. ეს მანქანა მათ აწევთ. როგორ მიაწვნენ? ვინც შიგ ზის, გადმოვიდნენ, დადგნენ მშრომელი ადამიანების გვერდით, მანქანა შემსუბუქდება, მიმწოლი ძალა მოიმატებს და ამოვა ტალახიდან.

რაც არ უნდა იაფი იყოს შემოტანილი საქონელი, მაინც ძვირია, რადგან ეს არის უმუშევრობა. უმუშევრობა უხელფასობაა. უხელფასო ადამიანი როგორ იყიდის. ის იძულებულია, წავიდეს საქართველოდან ან გახდეს მათხოვარი, ან ჩაიდინოს დანაშაული, რათა იარსებოს.

ადამიანს უნდა ჰქონდეს საარსებო მინიმუმი სახელმწიფოსგან და არ უნდა იყოს დამოკიდებული ვინმეზე.

თქვენ ბრძანეთ, სახელმწიფოს უჭირს, სამხედრო ყაზარმებია ასაშენებელიო. მიუხედავად ამისა, შევასრულეთ დანაპირები და პენსიები გაგიორმაგეთო. ბატონო მიხეილ, პენსიები კი გაორმაგდა, მაგრამ ცხოვრება ორჯერ გაძვირდა. ამ ნამატს აღარაფერი მნიშვნელობა არა აქვს.

ძლიერი ჯარი კარგია, მაგრამ ძლიერი და მაძღარი ხალხიც უნდა გყავდეთ. ესაა მთავარი!

**ოთარ მაისურაძე,**
**ფიზიკოსი, თბილისი.**

# რუსთაველი რუსთავს უბრუნდება

**ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ რუსთავი საქართველოს ინდუსტრიული მრეწველობის ერთ-ერთი ფლაგმანი ქალაქი გახლდათ და ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ ძლიერებაში ლომის წილი შეჰქონდა. იგი იყო ქართველ ხალიბთა სამჭედლო, ამ სიტყვის პირდაპირი თუ სიმბოლური გაგებით. ამ ქალაქის აშენებასა და დამშვენებაში მრავალ მამულიშვილს შეუტანია თავისი უანგარო წვლილი. მარტო ჟიული შარტავა გვეყოფა რუსთაველებს საამაყოდ და თავის მოსაწონად, მისაბაძად — შრომაში, ბრძოლაში, ინტელექტში თუ მამულიშვილობაში, მაგრამ... ყველაფერი ეს ახალგაზრდა, სულ რაღაც 55 წლის ქალაქ რუსთავის ისტორიაზეა საუბარი.**

რუსთავის ისტორია ხომ უხსოვარი წარსულიდან იწყება. საუკუნეთა მანძილზე იგი იყო სავაჭრო თუ სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილი, რის გამოც მრავალგზის იავარქმნილა და საკუთარ ფერფლიდანაც აღმსდგარა. აღმსდგარა დიდი მამულიშვილების ღვაწლითა და რუდუნებით, თუმცა... ჰქონია ისეთი საბედისწერო ისტორიული თარიღებიც, რომელთაც მისი დიდება და ისტორია უჟამობას ჩაუმარხავს. ასეთი გახლდათ 1402 წლის ტრაგედია, როცა აღმოსავლეთის კოჭლმა მბრძანებელმა, თემურ-ლენგმა აღგავა მიწისაგან პირისა. მას შემდეგ საქართველოს ტოპონიმიკაში „რუსთავი“ „მივიწყებულ“ იქნა, მაგრამ დარჩა მოგონება და ლეგენდა — ლეგენდა მის დიდებულ ისტორიაზე, დიდ შოთაზე, თითქოს იგი რუსთავიდან იყო და მის მიწაზე დაბიჯებდა... და, აი, ბოლო იავარქმნიდან თითქმის ხუთნახევარი საუკუნის შემდეგ, 1944 წელს, ისევ ქართველი კაცის ნებით, კრემლმა მიიღო გადაწყვეტილება, თბილისთან ახლოს აეშენებინათ მეტალურგიული ქარხანა და მის გარშემო აეგოთ ახალი ინდუსტრიული ქალაქი — რუსთავი. ეს არჩევანი არ ყოფილა მექანიკური და გაუთვლელი — იმ პიროვნებამ, ვინც, ფაქტობრივად, არაფრისგან ააღორძინა ქალაქი, კარგად იცოდა, ამ საქმით რუსთავის ჟამგასულ დიდებასაც რომ აღორძინებდა... და მართლაც, ასე მოხდა — რუსთავი წამოიმართა, სამიათასწლოვანი მტვრიდან ამომზევდა და გაიშალა. ამიტომ სჭირდება ამ ქალაქს განსაკუთრებული სიყვარულით, მზრუნველობითა და სიფაქიზით მოპყრობა, სჭირდება მოვლა-პატრონობა, რა თქმა უნდა, დღევანდელობის პოზიციებიდან, ოღონდ, აუცილებლად მისი დიდი წარსულის და ისტორიის გათვალისწინებით. სამწუხაროა, რომ ისტორიას ზუსტი ცნობები არ შემოუნახავს რუსთავისა და დიდი შოთა რუსთაველის შესახებ, მაგრამ ლეგენდა და თქმულება ხომ არსებობს? განა ლეგენდასა და თქმულებაში არ იპოვება ჭეშმარიტების მარცვლები? განა ლეგენდებით და გადმოცემით არ აღმოაჩინა შლიმანმა ტროა? არ გვაინტერესებს, ვინ არის ჩვენში ურწმუნო თომა, მაგრამ თქვენს მონამორჩილს, ბევრს ჩემს თანამოაზრესაც, მით უფრო რუსთაველებს, ძალიან გვინდა გვჯეროდეს რუსთავისა და ჩვენი რუსთველის შესახებ.

რწმენა საოცარი ფენომენია: თუ იგი გაქვს, მაშინ იხილავ და თუ იხილავ, მაშინ დაიჯერებ. ჰოდა, ჩვენც რუსთავის მკვიდრთ გვინდა დავიჯეროთ, რომ ჩვენც იმ სანახებში დავდივართ, რომელსაც დიდი მგოსნის ნაკვალევი ამჩნევია. ამიტომ რუსთავი, უპირველესად, დიდი რუსთველის ძეგლითა და ქუჩით უნდა იწყებოდეს. მისი ქანდაკება უნდა იდგეს განსაკუთრებულ ადგილას, მის გულის გულში. ამ ადგილად ქალაქის მთავარი მოედანი გვესახება, მერიის წინ, იქ, სადაც შადრევანია, სადაც, სულ ცოტა ხნის წინათ, „პროლეტარიატის დიდი ბელადის“ ძეგლი იდგა. და რადგან ამ დღეს მოვესწარით, როცა „საყვარელი ბელადის“ ძეგლი აღებული იქნა, მართლაც უპრიანია, ჩვენი, ეროვნული სულიერებისა და გონიერების ჭეშმარიტ გენიას ამ ადგილას ძეგლი რომ აღვუმართოთ.

სწორედ ამაში გამოიხატა რუსთავის მერის მგზნებარე პატრიოტიზმი და სიყვარული მშობლიური ქალაქისადმი, პატივისცემა მისი ისტორიისა და დიდი წინაპრებისადმი. სწორედ ასეთ ადამიანებს ძალუძთ მამულიშვილური საქმეების კეთება, მომავლის შენება, და, როგორ შეიძლება ჩვენ, ამ ქალაქის მკვიდრნი, მისი ინტელიგენცია, აქ მოღვაწე მწერლები ფრიად არ გაგვახაროს რუსთავის მერის და მისი თანაგუნდელების ისტორიულმა გადაწყვეტილებამ. ამით ხომ სამუდამოდ გასწორდა ის დიდი შეცდომა, რომელიც ახლო წარსულში იქნა დაშვებული?

ამასთან დაკავშირებით მინდა ჩემი მოკრძალებული მოსაზრებაც გაგიზიაროთ: რუსთავის პირველ და მთავარ ქუჩას, ჩვენი ეროვნული გმირის მ. კოსტავას გამზირს დაერქვას რუსთაველის გამზირი, ხოლო რუსთაველის ქუჩას მ. კოსტავას ქუჩა (ან გამზირი).



ეს არც ცოდვად და არც სულმნათი მერაბის პიროვნებისა და მისი ღვაწლის იგნორირებად ჩამეთვლება. ვფიქრობ, დროა გავითავისოთ სახარებისეული პრინციპი — მივცეთ კეისარს კეისრისა, ხოლო უფალს — მივაგოთ უფლისა. ჩვენ ხომ ყველანი, ცოტნედან მოყოლებული დღევანდელობამდე, ერი და ბერი, რუსთაველის მხრებზე ვდგავართ? და თუ არა რუსთაველს, და არა რუსთავში, ვის უნდა ეკუთვნოდეს ქალაქის გამორჩეული ადგილი?.. სწორედ ამიტომ აღმაფრთოვანა მერიის გადაწყვეტილებამ.

გფარავდეთ უფალი!

**მურად ჭოლოკავა (ძიძიგური),**
**მწერალი, სალიტერატურო-საგამომცემლო გაერთიანება „ორბეთის“ დირექტორი — მთავარი რედაქტორი, ლადო ასათიანის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.**


## განცხადება

**საქართველოს** ეროვნული ბანკის 2005 წლის 5 აგვისტოს № 56 განკარგულებით სააქციო საზოგადოება „ქართულ ბანკს“ გაუუქმდა საბანკო საქმიანობის ლიცენზია და დაიწყო სალიკვიდაციო პროცესი.

იურიდიული და ფიზიკური პირი, რომლებსაც აქვთ რაიმე სახის მოთხოვნა სს „ქართული ბანკის“ მიმართ, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ მისამართზე: **ქ. თბილისი, დოლიძის ქუჩა № 2-ში, მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე.**

აღნიშნულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოთხოვნის ნამდვილობის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

**ტელ: 33-04-22; 33-30-42.**

**ლიკვიდატორი.**


◎ ცოდნა არცროდის მოგვჭარბდება

## „ზომიერი ისლამი“

**ტუნისელები უპირატესობას ევროპულ ტანსაცმელს ანიჭებენ, მამაკაცები წვერს იშვიათად ატარებენ, ბევრი უარს არ ამბობს ღვინოზე, ლუდსა და ადგილობრივ არაყზე. ამასთან, ტუნისელთა 79 პროცენტს თავი მუსლიმანად მიაჩნია.**

„ზომიერი ისლამის“ იდეა ტუნისის პირველმა პრეზიდენტმა ჰაბიბ ბურგიბამ წამოაყენა. მან განაცხადა, რომ ყურანი დღეს გაგებული უნდა იქნას თანამედროვეობის პოზიციებიდან, ქალებს მიეცეთ თანასწორუფლებიანობა მამაკაცებთან ერთად და გაუქმდეს მრავალცოლიანობა. ქვეყნის კანონები ქალებს უკრძალავს ფარანჯის ტარებას, მაგრამ ნებადართულია აბორტი. ტუნისელმა ქალებმა პირველებმა არაბულ სამყაროში მიიღეს მამაკაცების თანაბრად საარჩევნო და ქონებრივი უფლებანი. გაყრისას ქმრის ინიციატივით ცოლი ღებულობს ქონების წილს, ხოლო ყოფილი მეუღლე მას უხდის ალიმენტს — თავისი შემოსავლების ნახევარს.

ბურგიბამ დახურა აფრიკაში უძველესი ზეითუნის რელიგიური უნივერსიტეტი, რომელსაც მან ფუნდამენტალიზმის ბუდე უწოდა...

ახლა ზოგიერთი ისლამისტი ლიდერი ეძებს კომპრომისს რწმენის დოგმებსა და თანამედროვეობას შორის, მაგრამ „ზომიერი ისლამის“ ფორმულირებას უარყოფენ.

## სილამაზის კონკურსები... მამაკაცთა შორის

**დიდი ხნით ადრე, ვიდრე ამერიკასა და ევროპაში დაიწყებდნენ ძვირადღირებული სილამაზის კონკურსების მოწყობას, საჰარიდან სამხრეთით მცხოვრები მცირერიცხოვანი აფრიკელი ხალხი**



**მსგავს ღონისძიებებს საკუთარი მოკრძალებული ძალებით მართავდა. მაგრამ არსებითი განსხვავება ის არის, რომ ცერემონიის მონაწილენი იყვნენ არა გოგონები, არამედ ჭაბუკები, ხოლო გამარჯვებულის ჯილდო იყო საცოლედ ლამაზი ქალიშვილი. უჩვეულოა არა? ეს კონკურსები დღესაც ეწყობა. ჭაბუკები უფრო მეტ დროს ატარებენ სარკის წინ, ვიდრე მომავალ პატარძლებთან.**

ლაპარაკია ვოდააბის მომთაბარეებზე. ეს ფულბის დიდი ხალხის ერთ-ერთი ჯგუფია, რომელსაც ადვილად გაარჩევთ სხვა აფრიკელებისგან — ღია ფერის კანი აქვთ. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მათი წინაპრები წარმოშობით აბისინიიდან ან, რაც უფრო შესაძლებელია, ეგვიპტიდან უნდა ყოფილიყვნენ.

## ცეცხლის აღმოჩენა

**(1 მლნ — 400 ათ. წ.)**

ევროპაში ადამიანის მიერ მოწყობილი კერიების კვალის ასაკი 400 ათასი წლისაა. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთში, ახლანდელი ისრაელის ტერიტორიაზე, ცეცხლით სარგებლობა 400 ათასი წლით ადრე დაიწყეს. ხოლო პირველი კოცონები აღმოჩენილია აფრიკასა (კენია, ზამბია) და აზიაში (ჩინეთი). ადამიანებმა ეს კოცონები მილიონი წლის წინათ დაანთეს.

## ყუნწიანი ნემსი

**(დაახლოებით 19 ათასი წლის წინათ)**

უდავოა, ადამიანი ძალზე ადრე შეუდგა ცხოველთა ტყავის ტარებას სიცივისგან თავის დასაცავად. მაგრამ კერვის პრაქტიკა, როგორც ჩანს, დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყუნწიანი ნემსები გაჩნდა. მათ ამზადებდნენ მამონტის ძვლებისგან ან ირმის რქებისგან. იმავე დროს ზოგიერთი სამკაული, მაგალითად, კენჭებისა და ნიჟარებისგან დამზადებული მძივები და პრიმიტიული ღილები (სადაფის გახეხილი ორნახვრეტიანი ფირფიტები) შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ „იუველირები“ თერძებზე ადრე გამოჩნდნენ: დაახლოებით 30 ათასი წლის წინათ.

## დამწერლობა

**(დაახლოებით 3,5 ათასი წლის წინათ)**

ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ იყვნენ პირველი ანბანის შემქმნელნი. უძველესი წერილობითი ტექსტები ნაპოვნია მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის ველზე, სადაც აღმოცენდა მსოფლიოში პირველი, ძველი მესოპოტამიის ცივილიზაცია.

## ფაქტები:

- **მაიმუნები დედამიწაზე გამოჩნდნენ 40 მილიონი, დინოზავრები — 225 მილიონი წლის წინათ.**
- **კლდეზე უძველესი ნახატები 40 ათასი წლისაა.**
- **პირველი შრომის იარაღი ხელმარჯვე ადამიანმა შექმნა. გაქრა 1,5 მილიონი წლის წინათ.**
- **დაახლოებით 400 ათასი წლის წინათ ევროპელები ქვის საცხოვრებლების მშენებლობას შეუდგნენ.**
- **პირველი ქვის იარაღები ჩნდება 2,5 მილიონი წლის წინათ.**



- **ცხოველების მოშინაურება და მიწის დამუშავება ადამიანებმა დაიწყეს დაახლოებით 10 ათასი წლის წინათ შუამდინარეთსა და პალესტინაში.**

**ჟურნ. „გეო“,**
**2005 წლის სექტემბერი, №9**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რატომ მოითხოვენ სამცხე-ჯავახეთის სომხები ავტონომიას?

**23-24 სექტემბერს ჯავახეთის ადმინისტრაციულ ცენტრში — ახალქალაქში გაიმართა „ინტეგრაცია, მაგრამ არა ასიმილაცია" საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინიციატივის მესამე კონფერენცია, რომლის თემაც იყო „ჯავახეთის სტატუსი საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურაში".** სამცხე-ჯავახეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის საბჭოს ამ ინიციატივის ფარგლებში წინათ მოეწყო ორი ანალოგიური კონფერენცია, რომლებიც მიეძღვნა რეგიონში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას და კულტურისა და განათლების საკითხებს. კონფერენციის შედეგების მიხედვით მიიღეს მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისადმი, რომლის ავტორებიც მოითხოვენ ამჟამინდელ ადმინისტრაციულ საზღვრებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონისა და მისი მიმდებარე ქვემო ქართლის რეგიონის იმ დასახლებული პუნქტებისთვის ავტონომიის მინიჭებას, რომლებშიც, ძირითადად, სომეხი ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს. რეგიონის ავტონომია უნდა გულისხმობდეს თვითმმართველობის ფართო უფლებებს, მათ შორის, ხელისუფლების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოს არჩევის უფლებას, აგრეთვე, რეგიონში სომხური ენისთვის მეორე ოფიციალური ენის სტატუსის მინიჭებას. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მცდელობამ, უგულებელეყო სამცხე-ჯავახეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების საბჭოს მიერ წინა ორ კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები გახდა იმის მიზეზი, რომ ერთ-ერთ კონფერენციაზე — 23-24 სექტემბერს — მისი ორგანიზატორები იძულებული გახდნენ, უფრო საფუძვლიანად წამოეყენებინათ თავიანთი მოთხოვნები ოფიციალური თბილისისთვის უკვე პოლიტიკური საკითხების თაობაზე. თანაც, ისევე, როგორც საბჭოს ყველა წინათ გამოთქმული ინიციატივა, რომლებიც ეხებოდა სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებს, ამჟამინდელი მოწოდებაც მთლიანად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ფუძემდებლურ დემოკრატიულ პრინციპებს, აგრეთვე, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებსა და თავისუფლებებს საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების თანახმად. გარდა ამისა, ჯავახეთის საზოგადოებრიობის მიერ ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმის მიზეზი გახდა ამ ბოლო წლებში რეგიონში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია, საქართველოს ხელისუფლების არცთუ ისე გულწრფელი და ზედაპირული მცდელობა, გაეუმჯობესებინა იგი, აგრეთვე, განეხორციელებინა შესაბამისი პოლიტიკური რეფორმები და პროგრამები მხარის ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით. თანაც, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" და ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილის ახალი მთავრობის მოსვლის შემდგომ პერიოდში, ჯავახეთში გახშირდა ასევე საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურათა წარმომადგენლების მხრიდან სომხების დისკრიმინაცია ეროვნული ნიშნით. სხვათა შორის, მნიშვნელოვანწილად, ანალოგიური სიტუაციაა აზერბაიჯანელებით დასახლებულ აღმოსავლეთ რეგიონებშიც, განსაკუთრებით, ქვემო ქართლში.

იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ სურს თავის პოლიტიკაში გაითვალისწინოს ეროვნულ უმცირესობათა აზრი და უფლებები, კიდევ ერთხელ ადასტურებს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ამ ცოტა ხნის წინათ მიღებული ახალი კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კიდევ უფრო მეტ ცენტრალიზაციას და რეგიონისთვის მინიმალური დონის თვითმმართველობის ჩამორთმევასაც კი. ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობს, მიიღოს ევროპის მთელი რიგი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტთა და ვენეციის კომისიის მიერ გამოთქმულ რეკომენდაციათა უმრავლესობა, რომლებიც თავიანთ ანგარიშებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ აუცილებელია ქვეყანამ შეასრულოს ის ვალდებულებები, რომლებიც მან იკისრა ხელისუფლების დეცენტრალიზაციის, რეალური ადგილობრივი თვითმმართველობის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში.

სამცხე-ჯავახეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების საბჭომ გასული წლის შემოდგომაზე მიმართა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სამონიტორინგო კომისიას და აღნიშნა, რომ საქართველო არ ასრულებს იმ მრავალ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების დროს (კერძოდ, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს მიერ 1995 წელს მიღებული ყოვლისმომცველი კონვენციის რატიფიკაცია). ის, რომ კონვენცია არ არის რატიფიცირებული, არ ათავისუფლებს საქართველოს ხელისუფლებას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სფეროში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისგან. სხვათა შორის, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ საქართველოს ევროპელი პარტნიორები ყოვლისმომცველი კონვენციის რატიფიკაციას საქართველოს უყენებენ, როგორც ნატოსთან ამ ქვეყნის ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის განხორციელების აუცილებელ პირობას.

ამას უნდა დაემატოს ასევე ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის სერიოზული შეშფოთება, მისი ფიზიკური უშიშროების უზრუნველყოფის თაობაზე, რადგან დაგეგმილია, რომ დაახლოებით 2007 წლის დამლევისთვის ახალქალაქიდან უნდა გაიტანონ რუსეთის № 62 სამხედრო ბაზა. ამას ადგილობრივი სომეხი მოსახლეობა განსაკუთრებით ნეგატიურად აღიქვამს იმ მიზეზის გამო, რომ რეგიონის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკურად მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის ბაზასთან, სოციალურ-საყოფაცხოვრებო დონეზე კი ამ ბაზას ჯავახეთის მცხოვრებთა არა ერთი თაობა ტრადიციულად აღიქვამდა, როგორც მათი ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტს.

„ვარდების რევოლუციის" ეიფორიამ და აჭარაზე ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის უსისხლო აღდგენამ, საქართველოს მმართველი ელიტის გარკვეულ ნაწილს გაუჩინა „ქართულ საზოგადოებაში ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის" და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ხელისუფლების ბერკეტების ცენტრალიზაციისთვის გამიზნული მკაცრი და ფორსირებული პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობის ილუზია. მაგრამ, სინამდვილეში, ამან გამოიწვია ის, რომ ხელისუფლების მიერ ინსპირირებული რამდენიმე კონფლიქტის შემდეგ, ადგილობრივმა მოსახლეობამ ირწმუნა, რომ საქართველოს პოლიტიკური ელიტის ნამდვილი მიზანია არა ჯავახეთის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრა და სომეხი უმცირესობის ევოლუციური ჩაბმა საერთო-ქართულ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ არაქართული ეთნიკური ელემენტის სრული განდევნა ან ასიმილაცია. ამის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტი შეიძლება გახდეს ქართველი ჟურნალისტებისა და ექსპერტების მნიშვნელოვანი ნაწილის ნეგატიური გამოხმაურებები სამცხე-ჯავახეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების საბჭოს მესამე კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. რა თქმა უნდა, ნაწილობრივ, ეს შეიძლება გავიგოთ იმით, რომ ქართული საზოგადოება ამაზე მტკივნეულად რეაგირებს, რადგან კარგად ახსოვს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მაგალითები. მაგრამ როცა „სეპარატისტულ მოქმედებას" უწოდებ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების ინიციატივას, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას თხოვენ თავიანთი ბუნებრივი კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციას, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ არ გსურს გაითავისო შენივე თანამემამულეების წინაშე წამოჭრილი პრობლემები და ეძებო მათი მოგვარების გზები. როგორც ჯავახეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები აღნიშნავენ საქართველოს მთავრობისადმი მიმართვაში: „საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურაში ეროვნული უმცირესობებისადმი არადაბალანსებულმა მიდგომამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს საერთაშორისო იმიჯს და ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას... მიაყენოს დარტყმა საზოგადოებაში ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციას... გამოიწვიოს ახალი და არასასურველი დაძაბულობა".

როგორც სამცხე-ჯავახეთის სომხური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების კავშირის წარმომადგენლები აცხადებენ, იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება დადებითი რეაქცია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, ისინი იძულებული იქნებიან მიმართონ შემდგომ ცივილიზებულ და კანონმდებლობით და საერთაშორისო კანონებით გათვალისწინებულ ზომებს, მათ შორის, გამართონ რეფერენდუმი რეგიონის ავტონომიისა და საქართველოს ფედერალიზაციის შესახებ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიეცემა სომხებს ბუნებრივი სტიმული საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ერთობაში რეალური ინტეგრაციისთვის.

**„რეგნუმ" საინფორმაციო სააგენტო.**

REGNUM

# გაერთიანება „დემოკრატიული აზერბაიჯანისთვის" მოითხოვს ავტონომიას საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთათვის

**27 სექტემბერს საზოგადოებრივმა გაერთიანებამ „დემოკრატიული აზერბაიჯანისთვის" საერთაშორისო პრესცენტრში გამართა „მრგვალი მაგიდა" თემაზე: „ბორჩალო გუშინ, დღეს და ხვალ". შეკრებილთ პირველმა მიმართა გაერთიანების მეთაურმა ელმედინ ბეხბუდმა, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია მხარს უჭერს საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ასი ათასობით აზერბაიჯანელისთვის ავტონომიის მინიჭებას. „არის აზრი, თითქოს ეს არასწორი მოთხოვნა იყოს, მაგრამ სსრ კავშირის დაშლის მომენტში და მის შემდეგ კავკასიის სხვა ხალხებს შორის, ყველაზე მეტი ტრაგედია სწორედ აზერბაიჯანელებმა გადაიტანეს. ჩვენთვის ცნობილია, მაგალითად, რომ ზვიად გამსახურდიას მმართველობის წლებში ბოლნისიდან, პრაქტიკულად მთლიანად განდევნეს იქ მცხოვრები ათი ათასობით აზერბაიჯანელი. მანამდე ისინი შეადგენდნენ ქალაქის მცხოვრებთა აბსოლუტურ უმრავლესობას. და ასეთი ფაქტების შესახებ, რატომღაც, ყველა დუმს.**

ამავე დროს, ჩვენ ვილაშქრებთ სეპარატიზმის იდეის წინააღმდეგ. ჩვენს გაერთიანებაში მიაჩნიათ, რომ უწინარეს ყოვლისა, უნდა აღდგეს საქართველოში მოქმედი 164 აზერბაიჯანული სკოლის სრულფასოვანი მუშაობა. ეს გახდებოდა პირველი ნაბიჯი ბორჩალოელი აზერბაიჯანელების წინაშე არსებული ყველა პრობლემის გადაჭრის გზაზე. ჩვენ ბორჩალოსთვის ავტონომიურ სტატუსს მოვითხოვთ მხოლოდ იმიტომ, რომ უბრალოდ გვსურს, დავიცვათ საქართველოში ჩვენი თანამემამულეების ყველა სამოქალაქო უფლება".

შემდეგ შეკრებილთ მიმართა ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ისტორიკოსმა ქიარამ მამედოვამ. თავის გამოსვლაში იგი შეეხო იმას, რომ არც ერთ ქართულ და აზერბაიჯანულ წიგნში დღემდე არ არის ზუსტად მონიშნული ბორჩალოს ისტორიული რეგიონის საზღვრები. „დღეს, ადამიანთა უმრავლესობა ბორჩალოში აიგივებს მხოლოდ ჩრდილოეთ ბორჩალოს, ანუ იმ ტერიტორიას, რომელიც ამჟამად თანამედროვე საქართველოს ეკუთვნის, მაგრამ, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ მისი სამხრეთი ნაწილი სადღეისოდ სომხეთის შემადგენლობაშია მოქცეული. „თუ სათავეებს ჩავუღრმავდებით, ცნობილია ისტორიის წერილობითი წყაროები, რომლებიც მოწმობენ, რომ მტკვრის გასწვრივ უძველესი დროიდან ცხოვრობენ თურქული ტომები, იქ მდებარეობდა ექვსი ქალაქი. არის მტკიცებულება, რომ შუა საუკუნეებში არსებობდა თბილისის საამირო, რომელიც შირვანის სახანოს ვასალურ დაქვემდებარებაში შედიოდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნადირ შაჰის იმპერიის დაშლის შემდეგ, კავკასიაში წარმოიქმნა მრავალი პატარა სახელმწიფო, მათ შორის, ბორჩალოს სასულთნოც. XIX საუკუნის დამლევს რუსეთის იმპერიამ შექმნა ბორჩალოს მაზრა. რევოლუციის შემდეგ კი გაჩნდა დამოუკიდებელი ბორჩალოელ თურქთა რესპუბლიკა, მან მცირე ხანს იარსება, მაგრამ ჰქონდა თავისი დროშა და სახელმწიფო ბეჭდვითი ორგანოც კი".

ცალკე პრობლემაა მიწის ნაკვეთები, რომელსაც აზერბაიჯანელებს, უბრალოდ, არ აძლევენ. ყოველივე ამის შედეგად, სადღეისოდ რუსეთს მიაშურა იქაურ აზერბაიჯანელთა საკმაო ნაწილმა.

სადღეისოდ, საქართველო ფაქტობრივად, დაადგა ფედერალიზაციის, მაგრამ ასიმეტრიული ფედერალიზაციის გზას. ამას აღნიშნავს ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის წარმომადგენელი ჯოვანი ბუკიკიო. ანუ, იდეით, უმაღლესი ავტონომია ენიჭება აფხაზეთს, ოდნავ ნაკლები სამხრეთ ოსეთს, აჭარას და ჯავახეთს, რომელიც სომხებითაა დასახლებული. მაგრამ, ბორჩალოზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი. არადა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ამ ქვეყნის ყველა მოქალაქე თანაბარი უფლებით სარგებლობს და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორია, განაცხადა ქიარან მამედოვამ.

თავის მხრივ, პროფესორმა ისმაილ ველიმ აღნიშნა, რომ „აზერბაიჯანელებმა თავიანთი უმოქმედობით ყარაბაღის პრობლემა დღევანდელ მდგომარეობამდე მოიტანეს, და თუ არაფერს ვიღონებთ, აზერბაიჯანელებს ბორჩალოდანაც განდევნიან".

შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებს ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში უკვე მეორედ ეწვია აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარგარეთ მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი ნაზიმ იბრაგიმოვი აზერბაიჯანული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა ჯგუფთან ერთად.

27 სექტემბერს საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საელჩოს პრესატაშემ ელჰან პოლუხოვმა „ეხოს" აცნობა, რომ ნ. იბრაგიმოვი, აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში რამიზ ჰასანოვი, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ქიამალ მურადხანოვი და ჟურნალისტები ჩავიდნენ დმანისის რაიონის სოფელ იალჰიში. „მრავალი საჩივარი და პრეტენზია მოვისმინეთ ადგილობრივი მოსახლეობისგან, რომლებიც ეხებოდა, პრაქტიკულად ყველა საკითხს — სოციალურ სფეროს, მიწას, განათლებას, კადრებს, ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებულ სირთულეებს და ა. შ. ასეთივე შეხვედრა გაიმართა ბოლნისის რაიონის სოფელ ქებელექშიც".

**რ. ორუჯევი**
**„ეხო" (ბაქო),**
**28 სექტემბერი.**

ЭХО

◎ ფეხბურთი

# გრანდთა ღალადი

**იშვიათად, რომ ჩემპიონთა ლიგის სათამაშო დღემ უსენსაციოდ ჩაიაროს. სამშაბათს მოვლენები სწორედ ამგვარად განვითარდა — ვისაც უნდა მოეგო, იმან მოიგო კიდეც შეხვედრები.**



**„ა" ჯგუფი**
***„იუვენტუსი" — „რაპიდი" 3:0.***
***„ბაიერნი" — „ბრიუგე" 1:0.***

„დელე ალპის" სტადიონზე აღსანიშნავი ფაქტი მოხდა — ავსტრიელთა კარში მეორე გოლი რუმინელმა ადრიან მუტუმ გაიტანა, ვინაც ნარკომანობისთვის ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მოიხადა. თუ გავიხსენებთ, რომ იმავე პერიოდში მას ოჯახიც დაენგრა, შეგვიძლია ახალგაზრდა კაცის ნებისყოფას გავუსვათ ხაზი. დავძენთ, რომ სტუმრები ტრეზეგემ და იბრაჰიმოვიჩმაც დაამწუხრეს.

რაც შეეხება კიდევ ერთ ფავორიტს, ფელიქს მაგათის გუნდი ახალ სტადიონზე ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩს მართავდა და, აბა, როგორ გააწბილებდა მრავალრიცხოვან ქომაგებს. თამაშის ბედი კუთხურის დროს შეტევაში ჩართული არგენტინელი მცველის დემიჩელისის ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა.

**„იუვენტუსი", „ბაიერნი" — 6-6, „ბრიუგე", „რაპიდი" — 0-0 ქულა.**

**„ბ" ჯგუფი**
***„აიაქსი" — „არსენალი" 1:2.***
***„თუნი" — „სპარტა" 1:0.***

ახლო წარსულში „მეთოფეები" პრემიერლიგაში ბრწყინავდნენ, მაგრამ ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში ბევრს ვერაფერს ახერხებდნენ. წლეულს, როგორც ჩანს, არსენ ვენგერმა სტრატეგია შეცვალა — ინგლისის ჩემპიონატში უკვე საკმარისზე მეტი ძვირფასი ქულაა დაკარგული, სამაგიეროდ, სეზონის უმთავრეს ასპარეზობაში ჯერჯერობით ყველაფერი წესრიგშია. თანაც, პრინციპულ მეტოქესთან მისსავე მინდორზე გამარჯვება ანრისა და ბერგკამპის არყოფნაშია მოპოვებული. ამჯერად თავი ლიუნგბერგმა და პირესმა (პენალტით) ისახელეს. პრესტიჟის გოლი როზენბერგმა გაიტანა.

კიდევ ერთხელ ივაჟკაცა ელიტური საზოგადოების შვეიცარიულმა დებიუტანტმა — „თუნმა" შინ ჩეხებს სძლია და, ადვილი შესაძლებელია, ესეც არ იკმაროს.

**„არსენალი" — 6, „თუნი" — 3, „აიაქსი", „სპარტა" — 1-1 ქულა.**

**„გ" ჯგუფი**
***„ბარსელონა" — „უდინეზე" 4:1.***
***„პანათინაიკოსი" — „ვერდერი" 2:1.***

პრიმერადივიზიონის უკანასკნელ შეხვედრაში ფრანკ რაიკაარდმა კატალონიური გრანდის რამდენიმე ლიდერი დაასვენა, მათ შორის რონალდინიო. არც შემცდარა — „სერია ა"-ს ამბიციურ წარმომადგენელთან პრინციპულ დუელში დასვენებული გაუჩო შეუდარებელი გახლდათ და „ჰეთ-თრიქით" გამოირჩა. მას მხარი დეკომაც აუბა, რაც საკმარისი აღმოჩნდა წარმატებისთვის.

ზედიზედ მეორედ დამარცხდნენ „ბრემენელი მუსიკოსები", რაც მნიშვნელოვანწილად დებიუტშივე გაშვებულმა გოლებმა განაპირობა. ასეთი ნოკდაუნიდან გამოსვლა „ვერდერმა" მატჩის ბოლომდე ვერ შეძლო. მეტიც — თამაშის მიწურულს მსაჯმა მინდვრიდან კლასნიჩი გააძევა.

**„ბარსელონა" — 6, „უდინეზე", „პანათინაიკოსი" — 3-3, „ვერდერი" — 0 ქულა.**

**„დ" ჯგუფი**
***„მანჩესტერი" — „ბენფიკა" 2:1.***
**გოლები: გიგზი, ვან ნისტელროი; სიმაო.**
***„ლილი" — „ვილიარეალი" 0:0.***
**„მანჩესტერი" — 4, „ბენფიკა" — 3, „ვილიარეალი" — 2, „ლილი" — 1 ქულა.**

**გია პლატონიშვილი**

◎ წინ, საქართველო!

# გვასახელეს და გაგვახარეს!



რევაზ მინდორაშვილი

**ბუდაპეშტის ლასლო პაპის სახელობის სპორტის სასახლე სამი დღეა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს მასპინძლობს. გვასახელეს და გაგვახარეს ჩვენმა ფალავნებმა. ასპარეზობის პირველ დღეს, როგორც გაუწყეთ, გორელმა ოთარ თუშიშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გუშინწინ კი გურჯაანელი რევაზ მინდორაშვილი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ხოლო სოხუმელმა ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა ლუკა კურტანიძემ მეორე ადგილი დაიკავა.**

29 წლის რევაზ მინდორაშვილმა (84 კგ.) პირველ წრეში კანადელი ტრევის კროსი დაამარცხა, შემდეგ იტალიელ ანტონი ფაზუგბას და ყაზახ მაჰომედ კურუგლიერს სძლია, ნახევარფინალში ოლიმპიურ პრიზიორს, მსოფლიო და ორგზის ევროპის ჩემპიონ საჟიდ საჟიდოვს (რუსეთი) მოუგო. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მარლენ ოსეყმაშვილის შეგირდმა ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატების სამივე ხარისხის მედლის მფლობელი კუბელი იოელ რომერო დაამარცხა. გურჯაანელი ფალავანი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მეოთხე (მუხრან ვახტანგაძე, მანუჩარ კვირკველია, ლუკა კურტანიძე) მსოფლიო ჩემპიონია მოჭიდავეთა შორის.

მესამე ოქროს მედალთან ახლოს იყო ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ლუკა კურტანიძე (96 კგ). მან ზედიზედ დასცა კორეელი კოო ტაეჰიუნი, ავსტრალიელი ჰარდიპ სინგა ბასი, ყაზახი ნურჟან კატაევი და ყირგიზი ალექსეი კრუპნიაკოვი, ფინალი კი ოლიმპიურ ჩემპიონთან და ევროპის ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებულ ჰაჯიმურატ გიცალოვთან დათმო.



ელდარ კურტანიძე

რაც შეეხება დავით ახალმოსულიშვილს (74 კგ), იგი პირველ წრეში დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. ამ წონაში ჩემპიონობა ბუვაისა საიტიევმა მოიპოვა.

◎ მსოფლიო ჩემპიონატი

# ერთი ქალი და შვიდი მამაკაცი

**ქალაქ სან-ლუისში (არგენტინა) დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი 8 პრეტენდენტის მონაწილეობით. ფიდეს პრეზიდენტის — კირსან ილუმჟინოვის განცხადებით, ახალი ჩემპიონის გამოვლენის შემდეგ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია აღარ ცნობს სხვა უმაღლესი ტიტულის მფლობელს. ლაპარაკია, ცხადია, ვლადიმერ კრამნიკზე, რომელიც „კლასიკურ ჭადრაკში" მსოფლიო ჩემპიონის წოდებას ატარებს. კრამნიკს შესთავაზეს, ეთამაშა სან-ლუისში, მაგრამ მან უარი თქვა. ისე, კრამნიკი თანახმაა, საჭადრაკო სამყაროს გაერთიანების მიზნით, შეხვდეს სწორედ არგენტინულ ტურნირში გამარჯვებულს. ეს მომავლის საქმეა, და, ილუმჟინოვის აზრით, ახალი ჩემპიონის სურვილზეც იქნება დამოკიდებული.**

მაშ ასე, ორწრიან მატჩ-ტურნირში ჩაება მსოფლიოს 8 უძლიერესი მოჭადრაკე. როგორია მათი დღევანდელი რეიტინგი?

ამჟამად ყველაზე მაღალი რეიტინგი (2788) ინდოელ დიდოსტატ ვიშვანათან ანანდს აქვს. იგი დაიბადა 1969 წლის 11 დეკემბერს, მიიღო ფრიად პრესტიჟული პრიზი „ოსკარი" 2004 წელს მოპოვებული გამარჯვებებისთვის. საინტერესოა, რომ ანანდი ითვლება მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონად ე. წ. „სწრაფ ჭადრაკში". ინდოელი, რომელსაც ცნობილი ქართველი დიდოსტატი ელიზბარ უბილავა წვრთნის, არგენტინაში გამარჯვების უპირველეს პრეტენდენტად ითვლება. თამაშობს სწრაფად და რაციონალურად, არ იცის, რა არის ცაიტნოტი. მან ერთხელ ითამაშა მატჩი მსოფლიო პირველობაზე, რომელიც წააგო კასპაროვთან. ანანდი უკვე იყო მსოფლიო ჩემპიონი ე. წ. „ფიდეს ვერსიით".

ბულგარელ **ვესელინ ტოპალოვს,** რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი წლევანდელ ტურნირებში, ინდოელის მსგავსი რეიტინგი (2788) აქვს. დაიბადა 1975 წლის 15 მარტს. წლეულს ლინარესში I-II ადგილები გაიყო კასპაროვთან. ტოპალოვი ფრიად ემოციური მოჭადრაკეა, შეჯიბრებებს ხშირად მარცხიანად იწყებს, მაგრამ შემდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადადის. მის მწვრთნელს, საერთაშორისო ოსტატ სილვიო დანაილოვს მიაჩნია, რომ ტოპალოვი ახალ წარმატებებს მიაღწევს.

უნგრელი **პეტერ ლეკო** (2763) დაიბადა 1979 წლის 8 სექტემბერს. განსაკუთრებით მომძლავრდა ბოლო წლებში. შარშან ითამაშა მატჩი მსოფლიო პირველობაზე ვლადიმირ კრამნიკთან. კარგა ხანს ლიდერობდა, მხოლოდ მეთოთხმეტე პარტიის მოგებით შეინარჩუნა კრამნიკმა ჩემპიონობა.

**პეტრე სვიდლერი** (2738) რუსეთის სამგზის ჩემპიონი და ამ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების ლიდერია. დაიბადა 1976 წლის 17 ივნისს, ჭაბუკობიდან დიდი წარმატებები აქვს, თუმცა ერთგვარად არასტაბილური თამაშით გამოირჩევა. ყოველწლიურად მონაწილეობს მატჩებში „ფიშერის ჭადრაკის" წესებით და, როგორც წესი, იმარჯვებს. სვიდლერის თეორიული მომზადების დონე ძალიან მაღალია.

**იუდით პოლგარი** (2735) შეჯიბრების მონაწილე ერთადერთი ქალია და ბევრი ექსპერტი მის დაშვებას სან-ლუისის ასპარეზობაში არალოგიკურადაც მიიჩნევს. საგულისხმოა, რომ იუდით პოლგარი (დაიბ. 1976 წლის 23 ივლისს) ქალთა ტურნირებში საერთოდ არ მონაწილეობს, ვაჟთა შორის დიდი ხანია, უძლიერესთა ათეულშია (ამჟამად მერვეა). შეჯიბრების ორგანიზატორებს უხარიათ მსოფლიო ჩემპიონატში პოლგარის მონაწილეობა თუნდაც იმიტომ, რომ დიდძალ მაყურებელს მოიზიდავს.

**მაიკლ ადამსი** (2719) განსაკუთრებული შეუპოვრობით გამოირჩევა. მას (დაიბ. 1971 წლის 17 ნოემბერს) საჭადრაკო სამყაროში „ობობას" უწოდებენ. ძალიან ემარჯვება, „შემოეწყოს" მეტოქეს და მოაშთოს. ადამსმა შარშან ტრიპოლში მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონატში „ფიდეს ვერსიით".

**ალექსანდრე მოროზევიჩი** (რუსეთი, 2707, დაიბადა 1977 წლის 18 ივლისს). მწვავე სტილის, ენერგიული მოჭადრაკეა. მიმართავს უაღრესად იშვიათ, ყველასგან დავიწყებულ სადებიუტო სქემებს. ამ ტაქტიკას ხშირად დადებითი შედეგებიც მოაქვს.

უზბეკ **რუსტამ კასიმჟანოვს** (2670, დაიბ. 1979 წლის 5 დეკემბერს) მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა შორის მხოლოდ 35-ე ადგილი უკავია. რომ არა შარშან ტრიპოლში „ფიდეს ვერსიით" მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონობა, არგენტინის ტურნირში არავინ მიიწვევდა, თუმცა ჭკვიანი და მეტად შეუპოვარი მოჭადრაკეა.

**გივი გამრეკელი**

◎ სპორტულ ორბიტაზე

## მსაჯი ციხეში მოხვდა

**დიდი სკანდალი აგორდა ბრაზილიურ ფეხბურთში. სან-პაულუში დააპატიმრეს ფიფას არბიტრი ედსონ პერეირა დი კარვალიუ, რომელიც ეჭვმიტანილია ჩაწყობილი მატჩების ორგანიზებაში.**

პოლიციის ინფორმაციით ის მოისყიდეს კრიმინალურმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც ეკუთვნით ფეხბურთის ტოტალიზატორების არალეგალური ინტერნეტ-საიტები.

მსაჯმა აღიარა, რომ სინამდვილეში მიემხრო ერთ-ერთ გუნდს. წინასწარი მონაცემებით, ხელმრუდი არბიტრი სჯიდა ბრაზილიის ეროვნული ჩემპიონატის 11 მატჩს, რომელთაგან არც ერთი არ დამთავრებულა ფრედ. თანაც ის ემსახურებოდა სან-პაულუს შტატის ჩემპიონატისა და ლიბერტადორესის თასის — ევროპული ჩემპიონთა ლიგის სამხრეთამერიკული ანალოგის — შეხვედრებსაც.

თავად კარვულიუს განცხადებით, ის წინასწარ აცნობებდა ხოლმე, თუ რომელი მატჩებისთვის უნდა ემსაჯა, თანაც ცდილობდა ფავორიტი გუნდის გამარჯვებას, რათა დიდად არ დაეეჭვებინა ვინმე. ფსონების თანხა აღწევდა 400 ათას რეალს (180 ათასი დოლარს), ხოლო მოსყიდული მსაჯის ჰონორარი — 6 ათას დოლარს.

ესტადუს სააგენტოს ცნობით, მსაჯის არსენალში იყო რამდენიმე ხერხი, რომლითაც მოთმინებიდან გამოჰყავდა მისთვის არასასურველი ფეხბურთელები და შემდეგ მინდვრიდან აძევებდა მათ.

როგორც ბრაზილიის უმაღლესი სპორტული ტრიბუნალის პროკურორმა პაულუ შმიდტმა თქვა, განიხილება დი კარვალიუს ნამსაჯი თერთმეტივე მატჩის შედეგების გაუქმების საკითხი, რაც დიდ არევდარევას შეიტანს ბრაზილიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში.

## „ანჟის" მწვრთნელს სცემეს?

**ეს ასე იყო, თუ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ინფორმაციას და ზოგიერთი ფეხბურთელის განცხადებას დავუჯერებთ, ხოლო თუ თავად მწვრთნელს დიმიტრი გალიამინს — მაშინ ამის მსგავსი არაფერი მომხდარა.**



როგორც ამბობენ, ფეხბურთში რუსეთის ჩემპიონატის პირველი დივიზიონის მორიგ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ მახაჩკალის „ანჟი" და „მეტალურგ-კუზბასი". თამაში სტუმრებმა მოიგეს 2:1.

მატჩის ბოლოს პრესტიჟული VIP-ლოჟიდან გამოვიდა ორი კაცი, ისინი „ანჟის" მწვრთნელთან მივიდნენ და ცემა დაუწყეს. ამ ამბავს ყველა ხედავდა — მაყურებელიც, ფეხბურთელებიც, ადგილობრივი მილიციაც კი. მაგრამ ჩარევა ვერავინ გაბედა.

როგორც „ანჟის" ერთ-ერთმა ფეხბურთელმა განაცხადა: „ჩვენ თვალებს არ ვუჯერებდით, მაგრამ თამაში არ შეჩერებულა, გაკვრით ვხედავდით, როგორ მიდიოდა ცემა-ტყეპა, მაგრამ არაფრის გაკეთება შეგვეძლო".

როგორც „ანჟის" პრეს-ატაშემ მურად კანაევმა გაზეთს აცნობა, გალიამინს სიტყვიერი პრეტენზია განუცხადა რომელიღაც მაღალჩინოსანმა გულშემატკივარმა, VIP-ლოჟიდან რომ გამოვარდა, მაგრამ მოგვიანებით ბოდიში მოიხადაო (?!), მატჩის ინსპექტორ ვლადიმერ ოლშანსკისაც „არაფერი დაუნახავს" და არც მატჩის ოქმში შეუტანია რაიმე ამ ინციდენტის შესახებ.

საქმეში ჩახედული ხალხი კი ამას ასე ხსნის: 1 ივლისადმე გალიამინის გუნდმა 12 მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგო და პრემიერ-ლიგაში გადასასვლელად იბრძოდა. მომდევნო ორ თვეში კი ყველაფერი ისე აირია, რომ მწვრთნელზეც და გუნდზეც დაეჭვდნენ გაყიდული მატჩის თაობაზე. გუნდიდან დაიწყო ფეხბურთელების მასობრივი წასვლა — ივლის-აგვისტოში „ანჟი" ათამდე ფეხბურთელმა დატოვა. სწორედ ამ დროს მოხდა თავდასხმა კლუბის დირექტორ ომარ მაგომედოვზეც. დანარჩენი თავად განსაჯეთ!

## რონალდოს ყრუ-მუნჯი გულისსწორი?

**როგორც ამბობენ, ათასი გაუგებრობაა ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" თავდამსხმელის რონალდოს სასიყვარულო საქმეებში.**

ჯერ კიდევ, ერთი კვირის წინათ „კიჭა" საქვეყნოდ აცხადებდა, რომ ვერ დაუვიწყებია თავისი ყოფილი საცოლე — ტელეწამყვანი დანიელა ჩიკარელი. მან ნათქვამი საქმითაც დაამტკიცა და ჩიკარელის სახლზე გამოაკრა პლაკატი წარწერით: „დანი, მე შენ მიყვარხარ! რონი".

თუმც ყოველივე ეს როდი უშლის ხელს სხვა სასიყვარულო რომანების წამოწყებაში.

ფეხბურთელმა მის კვალდაკვალ მავალი პაპარაცები და ჟურნალისტები სულ გადარია, როდესაც მადრიდში, ერთ-ერთ მოდების ჩვენებაზე ის ბრაზილიელ მოდელ ბრენდა კოსტასთან ერთად გამოჩნდა. ის ხომ ერთ დროს ბრაზილიის ლამაზმანად აღიარეს. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ეს წყვილი ძალზე თავისუფლად გრძნობდა თავს, რონალდო კი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. თუმცა აქ გასაკვირი არაფერია, მისი თანამგზავრი ბრენდა ხომ, სამწუხაროდ, ყრუ-მუნჯია. ფეხბურთელის მეგობრების განცხადებით, რონალდოს ძალზე მოეწონა კოსტა, რომლის ახლოს გაცნობაც ძალზე უნდოდა.



## ალბომში

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მარგარიტა გოდერძიშვილი-ზაყაშვილისა (მარცხნიდან), ალექსანდრა კრემენსკაია და სოფიო ზაყაშვილი-კრემენსკისა.
გადაღებულია გასული საუკუნის 10-იან წლებში.
მოგვაწოდა ლამზირა ჩხეიძემ.

## სიახლე

# აქ ლეგენდები იზრდებოდა...

**ამ დარბაზს ახსოვს ყველა დროის ლეგენდარული მუსიკოსები: ჰოროვეცი, ნეიჰაუზი, მენუხინი, რიხტერი... აქ გაიზარდა ყველა ქართველი მუსიკოსი, რომლებიც დღეს თბილისისა თუ უცხოეთის სცენებს ამშვენებენ. ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ეს მცირე საკონცერტო დარბაზი ახლა ერთი საუკუნისა და ერთი წლისაა და რადგანაც სწორედ ახლა ჩამოიხსნა აქ ხარაჩოები და ერთწლიანი რესტავრაციის შემდეგ მან განახლებული სახე მიიღო, ამიტომ მუსიკოსებმა მისი საუკუნოვანი იუბილეც და გამშვენიერებაც ერთად აღნიშნეს.**

მცირე დარბაზის ისტორიული წარსული უკავშირდება იმ წლებს, როცა გამოჩენილმა რუსმა პიანისტმა, პეტერბურგის კონსერვატორიის დამაარსებელმა ანტონ რუბინშტეინმა თბილისში საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გამართა და დააფინანსა ფონდი, რომელიც მიზნად ისახავდა მუსიკალური სასწავლებლის დაარსებას. ამ ფონდს შემდეგ ქართველი მეცენატებიც შეეწივნენ და 1900-იანი წლების დასაწყისში აშენდა შენობა, რომელიც მოგვიანებით კონსერვატორიად გადაკეთდა. სამუსიკო სასწავლებლის შენობა საკლასო ოთახების გარდა საკონცერტო დარბაზსაც ითვალისწინებდა და 1904 წლის 4 ოქტომბერს მცირე დარბაზის კურთხევაც მოხდა. ქართველმა ხალხმა მადლიერების ნიშნად ანტონ რუბინშტეინის სკულპტურული ფიგურა შენობის ფასადის ნიშში მოათავსა.

სახელოვნებო აქციებს დღეს ქართველი მეცენატები აგრძელებენ. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ, როცა თბილისის კონსერვატორია მძიმე მდგომარეობაში იყო, ქართველ ბიზნესმენთა შემადგენლობით შეიქმნა მზრუნველთა საბჭო, რომელმაც იტვირთა შენობის სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები. ამ საბჭოში შევიდნენ: ბადრი პატარკაციშვილი, მამუკა ხაზარაძე, ავთანდილ წერეთელი და გოგი თოფაძე. სწორედ მათ გადაარჩინეს ქალაქის მერიასთან და კულტურის სამინისტროსთან ერთად კონსერვატორია და შექმნეს ის არაჩვეულებრივი პირობები, რომელიც დღეს ამ მუსიკალურ კერას აქვს. რესტავრაციის ბოლო ეტაპი — მცირე საკონცერტო დარბაზის გადახალისება კი ბიძინა ივანიშვილის ფონდმა „ქართუმ" იტვირთა. ხელოსნებმა მას დაუბრუნეს პირვანდელი სახე, გამოცვალეს სავარძლებიც.






აი, ყოველივე ამაზე იყო საუბარი გუშინწინ მცირე დარბაზის გახსნისა და საიუბილეო საღამოზე. კონსერვატორიის რექტორმა მანანა დოიჯაშვილმა უდიდესი მადლიერება გამოხატა ყველა იმათ მიმართ, ვინც ღვაწლი დასდო აქაურობას და რწმენა გამოთქვა, რომ დიდი ტრადიციის მქონე დარბაზის სცენაზე ახალი ძალით აღორძინდება შემოქმედებითი ცხოვრება.

საუკუნოვანი დარბაზის განახლებით გამოწვეული სიხარული მუსიკოსებთან ერთად გაიზიარეს ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და სტუმრებმაც, მათ შორის რუსეთის კულტურის მინისტრმა ალექსანდრე სოკოლოვმა. სიმბოლურ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს კონსერვატორიის წარჩინებულმა სტუდენტებმა. ანა რაჭველიშვილმა, ლევან ცხადაძემ, ხატია ბუნიათაშვილმა პირველებმა აახმიანეს დარბაზი.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**
ჯავარ ლომაძის ფოტო.

## დღეგრძელი

# მეცხრამეტეში დაიბადა და ოცდამეერთეშიც ცოცხალია

### მსოფლიოს უხუცესი ადამიანი ტაძრისში ცხოვრობს

**ტაძრისი სოფელია ბორჯომის ხეობაში, ციხისჯვრის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე საკირულის (მტკვრის აუზი) მარცხენა ნაპირზე. ზღვის დონიდან — 1280 მ, ბორჯომიდან — 24 კილომეტრი.**

ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჰოლანდიის ერთ-ერთ მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა პლანეტის უხუცესი ადამიანი ლესლი შოპერი. მას მემკვიდრეები არ დარჩენია, თუ არ ჩავთვლით ელიზაბეტ ბოლდერს, რომელიც გარდაცვლილის პირდაპირი მემკვიდრეა მსოფლიოს დღეგრძელი ადამიანის „ტახტზე". იგი მასზე სულ რამდენიმე თვითაა უმცროსი.

არადა, წლეულს, 10 თებერვალს თავისი დაბადების 117-ე წელი აღნიშნა ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისში მცხოვრებმა ნინო იველაშვილი-ჩუტკერაშვილმა. ქალბატონმა ნინომ მრავალრიცხოვანი შთამომავლობა მისცა ქვეყანას. მას ჰყავს 4 შვილი, 10 შვილიშვილი, 20 შვილიშვილის შვილი და 4 შვილიშვილის შვილიშვილი.

„მე-19 საუკუნეში, 1888 წელს დაბადებულმა ქალმა, — წერდა „საქართველოს რესპუბლიკა", — მთელი მე-20 საუკუნე შრომაში გალია და ოცდამეერთეშიც მხნედ გადმოაბიჯა".

ქალბატონი ნინო იველაშვილი-ჩუტკერაშვილი ამ გაზაფხულზე მოვინახულე. დიდხანს ვისაუბრეთ. განსაკუთრებით მოეწონა იგავი სახნისზე, სულ შრომაში რომ იყო და პრიალი გაუდიოდა (ჩემსავით ყოფილა და ჟანგი არ მოჰკიდებიაო, თქვა).

ქალბატონი ნინო ახლაც ფუსფუსებს ბოსტანში, მეტწილადაც ბოსტნეულს მიირთმევს.

დღეგრძელობის მისეული რეცეპტი უბრალო და ყველასათვის ხელმისაწვდომია: შრომა და სიყვარული.

ღმერთი სიყვარულიაო, დააზუსტა ყოველ შემთხვევისთვის.

ნინო იველაშვილი-ჩუტკერაშვილი რომ 118-ე წელშია გადამდგარი, იციან კი ამის შესახებ დასავლეთელმა სოციოლოგებმა?!

**გურამ ვაშაკიძე,**
„სრ" საკ. კორ.

## გვემრავლოს!

# იმედა — „იმედის კლინიკის" პირველი სიხარული

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

**ყოვლადწმიდა** ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე დედაქალაქში, დიღმის მასივში, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩაზე ახალი სამშობიარო სახლი „იმედის კლინიკა" გაიხსნა. სამშობიარო სახლის სავიზიტო ბარათია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის თანამედროვე მოდელის საუკეთესო ნიმუში, შესანიშნავი ინტერიერი, გულთბილი გარემო, სამედიცინო პერსონალის მაღალი დონის მომსახურება, მათ მიერ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უახლესი მეთოდების სრულყოფილი ფლობა... ახალგახსნილი სამშობიარო სახლის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დავით კობეშავიძე, ახალშობილთა განყოფილების ხელმძღვანელი ნინო ბოცვაძე, ანესთეზიოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი დავით ებრალიძე, მეან-გინეკოლოგები დავით ლანდია, თამაზ კახიშვილი, კოტე ხარაბაძე, ლელა თანდაშვილი და მთელი სამედიცინო პერსონალი დიდი პასუხისმგებლობით უძღვებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას.



„იმედის კლინიკა" მოუთმენლად ელოდა პირველ ჩვილს. 23 სექტემბერს, ექიმ მადონა გველესიანს და ინჟინერ ლერი გვარლიანს პირველი შვილი — ვაჟი შეეძინათ, რომელსაც იმედა დაარქვეს. მას მომდევნო დღეს მეორეც მოჰყვა. ექიმ ქეთევან კვინიკაძეს და იურისტ გურამ მასხარაშვილს პირველი შვილი ლუკა შეეძინათ.

„იმედის კლინიკაში" მშობიარეთა შემოსვლა არ წყდება...

**ნინო ლიბრაძე**

## ცოტაც გავიცინოთ...

**ლამაზმა** გოგომ ტაქსი გააჩერა და აეროპორტში წაყვანა ითხოვა.

— დღეს უკვე მესამე ფეხმძიმე ხართ, ვინც აეროპორტში წაყვანა მთხოვა, — ეუბნება მას ტაქსისტი ქალაქგარეთ გასვლისთანავე.

— მაგრამ მე რომ ფეხმძიმე არა ვარ?

— მაგრამ ჯერ ხომ არც აეროპორტამდე მივსულვართ!

* * *

— **ხომ** გთხოვე, ორი ლურსმანი ჩაგეჭედებინა კედელში? — უსაყვედურებს ცოლი ქმარს.

— ხომ ჩავაჭედე კიდეც!

— მაგრამ ახლა უთო სად შევაერთო?



* * *

**რჩევა** სასიძოს: გსურს, გაიგო, როგორი შესახედავი იქნება შენი მომავალი ცოლი 20-30 წლის შემდეგ? — დააკვირდი დედამისს.

რჩევა საპატარძლოს: გსურს, გაიგო, რამდენად მავნე იქნება შენი მომავალი ქმარი 20-30 წლის შემდეგ? — დააკვირდი დედამისს.

## მთელი წლით

# მოარული ფესტივალი

**რა ტენდენციები ჩნდება ეთნომუსიკის იმპროვიზაციული შესრულებისას? ცივილიზაციის მიღმა რა მოტივებსა და რა კილოკავზე ვითარდება არქაული ზეპირსიტყვიერება? ვინ მისდევს რეწვის უნიკალურ ხელოვნებას? რა სპეციფიკით იკითხება და რა ტრადიციული კანონიკით იმართება არაერთი რიტუალური დღეობა?.. თანამედროვე რაკურსში ამ ასპექტების განხილვასა და მათ ეთნოძიებას ითვალისწინებს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი, ანუ საერთო სახალხო ზეიმად ჩაფიქრებული დღესასწაული, რომელშიც ბევრი თვალსაჩინო შემოქმედი ჩაერთვება — მუსიკათმცოდნე, ფოლკლორისტი, ხელოვნებათმცოდნე, ეთნომუსიკოსი...**



ფესტივალი ბათუმში, ღია ცის ქვეშ გაიხსნება და მთელ საქართველოს მოივლის. რაიონული და რეგიონული ტურები საუკეთესო თვითშემოქმედებითი ჯგუფების გამოსავლენად იქნება მოწყობილი... რჩეულთა მომავალზე იზრუნებს კომპეტენტური ჟიური...

**— და, მაინც, ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი თავისი კონცეფციით არის განსხვავებული?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, ეს მასშტაბური ღონისძიება უპრეცედენტოა იმ მხრივ, რომ ერთი წლის მანძილზე გაგრძელდება მთელ საქართველოში და დათვალიერების პრინციპით იმუშავებს, — მესაუბრება ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი გიორგი უშიკიშვილი, — ჩვენ უნდა აღვწეროთ, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში დღეს ხალხური შემოქმედების სწორი განვითარების მხრივ; ტრადიციულ კულტურათა დიალოგში რა ტენდენციები უშლის ხელს აუთენტურობის დაცვას თანამედროვე ინტონაციების საპირისპიროდ. ფოლკლორის მნიშვნელობა საერთო ინტეგრაციულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ და 21-ე საუკუნეში მისი განვითარების ახალი ეტაპი განვსაზღვროთ. ვფიქრობ, აუცილებელია რევოლუცია მოხდეს ფოლკლორის განვითარების საკითხებში, რადგანაც 70-იანი წლების შემორჩენილმა პრინციპებმა დააკომპლექსა ხალხური სიმღერის შესრულების კულტურა. რას ვგულისხმობ? — დაუშვებელია სცენაზე ხალხური სიმღერის შესრულებისას 10 პირველი ხმა, 12 მეორე და 30 ბანი ერთად „ბღაოდეს". აუცილებელია, უწინარესად, დავიცვათ ფოლკლორული ნიმუშის აჟღერებისა თუ განვითარების სწორი ფორმები, მივცეთ მას სწორი გეზი...

**— ფოლკლორისტი ბარიდან მთაში მყოფ მთქმელს ვერ უკარნახებს ხალხური ნიმუშის მუსიკალურ-ესთეტიკურ ასპექტებს, აუთენტური და აკადემიური შესრულების პრინციპებს, იმპროვიზაციულ სტილს ან, თუნდაც, მისი სწორად განვითარების აუცილებელ თეორიებს, რადგანაც მთქმელი გვევლინება ამ იმპროვიზაციული მოტივების ავტორ-შემსრულებლად... საინტერესოა, ასევე, როგორ იქმნება ფოლკლორული ნაწარმოებები?**

— ბუნებრივია, არიან ადამიანები, რომლებიც გარკვეულ ვერსიებს აგებენ ხალხურ თემებზე. თუ არ მოხდება ეთნომუსიკის იმპროვიზაცია და განვითარება, მაშინ იგი სამუზეუმო ექსპონატად იქცევა, ფოლკლორი მარად ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც დროის შესაბამისად სულ დინამიკაში უნდა იყოს მოქცეული და ეტაპობრივად მოხდეს მისი სწორი მიმართულებით განვითარება. რეგიონებში მოიძებნებიან ხალხური შემოქმედებითი ანსამბლების ხელმძღვანელები, რომლებიც ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან, მიბაძვის პრინციპით მუშაობენ და არაჯანსაღი ტენდენციები შეაქვთ ხალხური ნიმუშების აჟღერებისას.



... ამ ხარვეზების გამოსწორებაზე იზრუნებს ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფი — ეთნომუსიკოსები, ფოლკლორისტები, ხელოვნებათმცოდნეები... ისინი მასტერკლასებს ჩაატარებენ რეგიონებში, ფოლკლორული ჯგუფების მოსმენის შემდეგ ჟიური თავის შთაბეჭდილებებსა თუ შენიშვნებს დოკუმენტების სახით გადასცემს ანსამბლების ხელმძღვანელებს და ორმხრივი თანამშრომლობის მიზნით განისაზღვრება მათი შემდგომი შემოქმედებითი ურთიერთობები.

ფესტივალის პროგრამით თბილისი-ბათუმი-თელავის ფარგლებში ჩაერთვება online-კონფერენცია, რომლის სამეცნიერო თემა გლობალიზაციისა და ეთნოკულტურების ურთიერთმიმართების საკითხებსა და პრობლემებს განიხილავს. პარალელურად შეიქმნება ფოლკ-ვებგვერდი (www Folk ge), რომელზეც განთავსდება სრულყოფილი ინფორმაცია საქართველოს ეთნოგრაფიის, ეთნოკულტურისა და ეთნომუსიკის შესახებ. საფესტივალო დღეებში პროექტი „21-ე საუკუნის ოქროს ფონდი" კომპაქტ-დისკების საშუალებით უნიკალური ხალხური სიმღერების გამოცემას გეგმავს — ამ შემთხვევაში რაიონული და რეგიონული ტურების მიხედვით გამარჯვებული ლაურეატი — ანსამბლების შემოქმედება სიდიზე ჩაიწერება და ფესტივალის დასრულების შემდეგ — 2007 წელს გამოვა.

საერთო სახალხო დღესასწაულის დასკვნითი გალა-კონცერტი თბილისში გაიმართება — ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის თეატრისა და ეროვნული გალერეის სივრცეები ფოლკკულტურას დაეთმობა და ფესტივალის ლაურეატ შემსრულებელთა შემოქმედებას გავეცნობით.

ასე რომ, ბათუმში 30 სექტემბერს კულტურის სამინისტროსა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზატორობით, ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი იხსნება. იგი საქართველოს პრეზიდენტის უშუალო მხარდაჭერით იმართება... ბუნებრივია, შავიზღვისპირა ქალაქში მიხეილ სააკაშვილს ელიან...

**მზეხა მახარაძე**

## განცხადება

**მცხეთის რაიონის გამგეობას აუქციონზე გასაყიდად გამოაქვს მიწის მართვისა და განკარგვის რაიონული კომისიის მიერ დ. ზაჰესის ტერიტორიაზე შერჩეული 66 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი, მასზე კომერციული საქმიანობის მიზნით მინიმარკეტის ასაშენებლად.**

**საწყისი გასაყიდი ფასი 99,66 ლარი.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ მცხეთის რაიონის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას.**

**მისამართი: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. № 73 (მცხეთის რაიონის გამგეობა)**

**ტელ: 8 (2732) 27-27.**

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური — 022;**
**გენერალური პროკურატურა — 99-74-10;**
**შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;**
**საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;**
**ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;**
**იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;**
**ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;**
**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;**
**შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;**
**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;**
**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;**
**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;**
**თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;**
**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;**
**ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.**
**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.**

## ლარის კურსი

### 29 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1755 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7976 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1591 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0630 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3915 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4027 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5823 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 29 სექტემბერი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 21° | 14° |
| ბათუმი | 23° | 15° |
| სოხუმი | 25° | 14° |
| ქუთაისი | 24° | 16° |
| თელავი | 18° | 11° |

## დღის კალენდარი 29 სექტემბრისთვის

☼ ამოდის 05.55, ჩადის 17.52
) ამოდის 01.33, ჩადის 16.21

წლის 272-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 93 დღე.

### საეკლესიო კალენდარი:

**ხსენება მოწამე ქართველთა, ისააკ და იოსებისა, კარნუ — ქალაქში წამებულთა (808). დიდმოწამე ეფემია ყოვლადქებულისა (304); მოწამე სებასტიანესი (I); მოწამე მელიტინასი (II); მოწამე ვიქტორისა და სოსთენისა (დაახლ. 304); ღირსი დოროთეოზისა, ეგვიპტელ მეუდაბნოისა (IV); მოწამე ლიუდმილასი (927).**

### დაიბადნენ:

**1518 — იაკობო ტინტორენტო,** იტალიელი მხატვარი. გარდაიცვალა 1594 წელს.
**1547 — მიგელ სერვანტესი,** ესპანელი მწერალი. გარდაიცვალა 1616 წელს.
**1758 — ჰორაციო ნელსონი,** ინგლისური ფლოტის ადმირალი. გარდაიცვალა 1805 წელს.
**1821 — სულხან ბარათაშვილი,** ქართველი ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1866 წელს.
**1864 — მიგელ უნამუნო,** იტალიელი მწერალი და ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1936 წელს.
**1880 — ნიკო ლორთქიფანიძე,** მწერალი. გარდაიცვალა 1944 წელს.
**1901 — ენრიკო ფერმი,** იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1954 წელს.
**1904 — ნიკოლოზ ოსტროვსკი,** რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1936 წელს.
**1931 — ანიტა ეკბერგი,** შვედი კინომსახიობი.
**1931 — ჯეიმს ვოტსონ კრონინგი,** ამერიკელი ფიზიკოსი.

### გარდაიცვალნენ:

**1560 — გუსტავ I,** შვეციის მეფე.
**1910 — ჰომერ ვინსლოუ,** ამერიკელი გრაფიკოსი.
**1913 — დიზელ რუდოლფი,** გერმანელი ინჟინერი.
**1927 — აინტოვენ მილიამი,** ჰოლანდიელი ფიზიოლოგი — ელექტროკარდიოგრაფიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**მედიანიუსი.**

## კრიმინალი

### სტუმრად იყვნენ თუ საყაჩაღოდ?

**ახალციხის** რაიონულმა სასამართლომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე დასაქმებულ ნუგზარ, ზვიად, მიხეილ ხაბულიანებსა და ბადრი ჭელიძეს გუშინ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მათ ბრალად ედებათ ახალციხეში სავაჭროდ ჩასული აზერბაიჯანელი მოქალაქეების დაყაჩაღება და 17 ათასი ლარის გატაცება. პოლიციამ ეჭვმიტანილები ყაჩაღობიდან ერთ საათში ახალციხეში დააკავა და ბორჯომის რაიონულ განყოფილებაში გადაიყვანა, სადაც, როგორც დაკავებულები აცხადებენ, მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ და სახის არეში მძიმე დაზიანებები მიაყენეს. ნუგზარ, ზვიად, მიხეილ ხაბულიანები და ბადრი ჭელიძე თავს დამნაშავედ არ ცნობენ და აცხადებენ, რომ ისინი უკანონოდ დააკავეს. როგორც მათი ადვოკატი კახა მაღრაძე აცხადებს, ახალციხეში ისინი ავტომანქანით სტუმრად იყვნენ ჩასულები და არა საქურდლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ადვილად შეეძლოთ შემთხვევის ადგილიდან მიმალვა.

**ინტერპრესნიუსი**

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს ბატონ ჯანო ჯანელიძეს მეუღლის
ლეილა ხვინგია-ჯანელიძის
გარდაცვალების გამო.

---

ვახტანგ თორდია და რეზო ფირაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ბ-ნ ჯანო ჯანელიძეს მეუღლის
ლეილა ხვინგია-ჯანელიძის
გარდაცვალების გამო.

---

ქუთაისის სააქციო საზოგადოება სამკერვალო კომპანია „იმერის" სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მთლიანად კოლექტივი თანაუგრძნობენ ბატონ თემურ შავგულიძისა და ქალბატონ მაია სიმონიძის ოჯახს ღრმა მწუხარებაში
გიორგი შავგულიძის
გარდაცვალების გამო.
პანაშვიდი — ქუთაისის წმინდა გიორგის ეკლესიაში 30.IX 17 სთ. გამოსვენება 1.X 15 სთ.

---

სს „ეგრისის", შპს „ახალი ქსელების", შპს „ახტელის", შპს „ფოპტნეტის" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილ მუშაკს ავთანდილ ხმალაძეს მეუღლის და „ახალი ქსელების" ოპერატორს ნატო ხმალაძეს დედის ქალბატონ
მანანა ბარბაქაძე-ხმალაძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.